# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 11 ივლისი, 2006 წელი.

№ 132 (5473)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




ნუ გავყიდით, მოვუაროთ საქართველოს!

ხუბუა იურიდიული ნულია, – აცხადებენ პროტესტორები

იხ. მე-3 გვ.

სააკაშვილი ჩეჩენ მოთარეშეთა დაქირავებას ცდილობს

იხ. მე-8 გვ.



ბასაევის აღსასრული

იხ. მე-15 გვ.

# გურამ დონაძემ დაცვას დაურეკა, გირგვლიანი მოგვაცილეთო...




იხ. 2 გვ.

## აჰა, მოსკოვს შევეკითხები, გიგა ბატონო!..

იხ. 4-5 გვ.



## „არა, სხვისი შესანატრი რა მაქვს, თვარა კი...“

იხ. 4-6 გვ.



## გუშინ უმაღლეს სასწავლებლებში ეროვნული გამოცდები დაიწყო

## კახელებს ელმავლის ხმა მოენატრათ...



იხ. 5-6 გვ.

◉ დოკუმენტი

# ეროვნული კრება ქვეყნის გადარჩენისათვის ზრუნვის თავყრილობა იქნება

## ქართველ მოღვაწეთა, საქართველოს ეროვნული კრების მოწვევის ინიციატორთა დეკლარაცია

**ჩვენ, დეკლარაციის ავტორები, შევიკრიბეთ და დავასკვენით, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის 15 წელმა არ მოგვცა ის შედეგი, რომელიც ჩვენთვის ყველასათვის სასურველი იყო. ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველო კატასტროფულად აგვიანებს სტაბილურ სახელმწიფოდ გახდომას. გარე მიმართებებში ჩვენ გამუდმებით ან საომარ, ან წინასაომარ მდგომარეობაში ვართ, შიდა მიმართებებში — გამუდმებით ხელისუფლების განდევნისათვის ბრძოლაში, რისი პრეცედენტიც ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე ეტაპზე შევქმენით.**

**ჩვენ მივაქციეთ ყურადღება** კიდევ ერთ მძიმე შედეგს: ერთი მხრივ, ერი, რომელიც ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში ერთადერთი სუზერენია, ვერაფრით ვერ გახდა ქვეყნის პატრონი, მეორე მხრივ, საზოგადოებამ ვერაფრით შეიძინა სამოქალაქო ღირსებისა და სამოქალაქო პროტესტის გრძნობა.

**ჩვენ დავრწმუნდით,** რომ არ შეიძლება ქვეყნის ბედს ერთპიროვნულად განსაზღვრავდნენ მხოლოდ პოლიტიკოსები, რომლებმაც დღემდე ვერ შეძლეს, რომ ამაღლებულიყვნენ ვიწროპარტიულ და ვიწროჯგუფურ ინტერესებზე.

**ჩვენ ვაღიარეთ ისიც,** რომ ყველაფერ ამაში ჩვენი ბრალიცაა, პირველ რიგში — ინტელექტუალური ადამიანებისა, რომლებიც დიდი ხანია განერიდნენ პოლიტიკას და ამით ყველას სხვას მისცეს საშუალება — გაქცეულიყო პოლიტიკაში.

**ჩვენ არ მოგვწონს** გზა, რომლითაც ქვეყანა მიდის 15 წლის განმავლობაში. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ საჭიროა სისტემური გარდაქმნები, რადგანაც უკვე დაგროვდა მომაკვდინებელ საფრთხეთა მთელი კომპლექსი, რომელშიც არა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა შედის.

**ჩვენ შევთანხმდით,** რომ ყველას მივესალმებით, ვინც კანონიერების საფუძველზე აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას, ვადიანი თუ ვადამდელი არჩევნების გზით. ჩვენ ერთსულოვანნი ვართ იმაშიც, რომ არჩევნებს არ შეიძლება წარმართავდეს ის ანტიდემოკრატიული კანონი, რომელიც დღეს მოქმედებს ქვეყანაში და ფაქტობრივად უაზროს ხდის არჩევნებში მონაწილეობას. საარჩევნო სისტემის რეფორმა აუცილებელია იმისთვის, რომ წარმატებით დაგვირგვინდეს ახალი საქართველოს — ნამდვილად დემოკრატიული, ეროვნული, ქრისტიანული სახელმწიფოს — მშენებლობის პროცესი.

**ჩვენ ვხედავთ იმასაც,** რომ ქვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი ამოცანების განხორციელებას, მხოლოდ ხელისუფლება ან მხოლოდ პოლიტიკოსები ვერ შეძლებენ. დღეს ავანსცენაზე ის ადამიანები უნდა გამოვიდნენ, რომელთა მეთოდია მეცნიერული, სისტემური მიდგომები ყველაფრის, მათ შორის, რეფორმებისა და გარდაქმნების მიმართ.

**ჩვენ ვფიქრობთ,** რომ ეს ადამიანები უნდა გაერთიანდნენ. ასეთ გაერთიანებად ჩვენ გვესახება ეროვნული კრება — ეროვნული და სამოქალაქო ღირსების მქონე ადამიანების ზეპარტიული, საყოველთაო გაერთიანება. ჩვენ ვიწყებთ იმით, რომ შევქმნით ეროვნული კრების მოწვევის ინიციატორთა დარბაზს. ყველა, ვინც ამ დეკლარაციას გაიზიარებს, კრების წევრია.

**ჩვენ გვჯერა,** რომ ეროვნული კრება ქვეყნის წინსვლისათვის მზრუნველი თავყრილობა იქნება, სადაც სტრატეგიული საკითხების განხილვასთან ერთად დასაბამი მიეცემა მეცნიერული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური აზროვნების შერწყმას. საქართველოს არ ექნება მომავალი, თუ მასზე ზრუნვას ჩვენ ყველანი არ გავინაწილებთ.

**ჩვენ გვინდა ყველას ვუთხრათ:** დამთავრდა ანონიმური და ერთპიროვნული გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების დრო და დაიწყო სოლიდარული მოძრაობა ქვეყნის გადარჩენისათვის. ეს მით უმეტეს საჭიროა დღეს, როდესაც ხელისუფლების მიერ ჯიუტად განხორციელებულმა პოლიტიკამ ქვეყანაში ისევ მღელვარების ატმოსფერო შექმნა.

ჩვენ დავნერგავთ პრინციპს: **ქვეყანას მართავს ხელისუფლება — ხელისუფლებას მართავს საზოგადოება — საზოგადოებას წარმართავს ინტელექტი და ზნეობა.**

**ჩვენი კრება აღარ იქნება საჭირო მაშინ, როდესაც თანამედროვე ქართულ სახელმწიფოში ეს პრინციპი საბოლოოდ დაინერგება.**

**ჩვენთან მხოლოდ ის არ მოვა, ვისაც ამ პრინციპის ეშინია.**

◉ ვერსია

# გურამ დონაძემ დაცვას დაურეკა, გირგვლიანი მოგვაცილეთო...

გირგვლიანის საქმის განხილვა, როგორც გახსოვთ, პატარ-პატარა აქციების ფონზე მიმდინარეობდა. განაჩენის გამოცხადების დღეს პროტესტი უფრო მომძლავრდა, მაგრამ არც იმდენად, რომ ხელისუფლება შეეშინებინა. დაზარალებული მხარე სასამართლო პროცესზე გამოვლენილ ბევრ კანონდარღვევაზე მიუთითებდა, ხელისუფლება კი, პირიქით — კანონიერებასა და სამართლიანობაზე; დაზარალებული მხარე მკვლელობის შემკვეთების დასჯას მოითხოვდა, ხელისუფლების წარმომადგენლები კი ასეთი შეკვეთის არსებობას გამორიცხავდნენ, თუმცა, ხმამაღლა არასდროს უთქვამთ, სინამდვილეში რას ფიქრობდნენ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტზე.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ცნობილი სახის მონათხ-



რობზე დაყრდნობით მე დღეს ხელისუფლების პოზიციას გაგაცნობთ. როგორც გითხარით, პოლიტიკოსი, რომელმაც ხელისუფლებისეული ინტერპრეტაცია გამანდო, საპარლამენტო უმრავლესობის ცნობილი წარმომადგენელია, ამდენად, მისთვის ინკოგნიტოდ დარჩენა უმჯობესია. ამ პატარა საიდუმლოსთვის ბოდიშს გიხდით, მაგრამ, ვფიქრობ, მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია რესპონდენტის დაუსახელებლადაც ღირებულია.

მართალია, დონაძე, სანოძე და სხვები ამტკიცებდნენ, ჩვენ ამ ამბავთან არაფერი გვაკავშირებს, გირგვლიანისთვის ანგარიშის გასასწორებლად არავისთვის მოგვიხმიაო, მაგრამ, ბუნებრივია, მათი სიტყვებისა არავის სჯეროდა, მათ შორის, როგორც აღმოჩნდა, — არც ხელისუფლებას.

— სანდრო გირგვლიანმა ქალბატონების თანდასწრებით შეურაცხყოფა მიაყენა სუფრასთან მსხდომ მამაკაცებს. რა გასაკვირია, რომ მათ ეს არ მოითმინეს. მსგავს სიტუაციაში ნებისმიერი მამაკაცი ან მაშინვე სცემდა შეურაცხმყოფელს, ან მოგვიანებით. გურამ დონაძემ ბარში ჩხუბს თავი აარიდა და დაცვას დაურეკა, გირგვლიანი მოგვაცილეთო...

როგორც ვხედავთ, ხელისუფლების წარმომადგენლებიც აღიარებენ, რომ სანდროს თავიდან მოშორება სწორედ იმ ცნობილი სუფრის წევრების ინიციატივა იყო. მაგრამ ისინი მკვლელობის შეკვეთას გამორიცხავენ. ინფორმაციის წყაროს თქმით, „თავიდან მოცილება — არა მოკვლას, არამედ ჭკუის სასწავლებელ ცემას გულისხმობდა.

მოწმე ბუხაიძის ჩვენებაზე დაყრდნობით, დაზარალებული მხარე ამტკიცებს, რომ ოქროყანაში გირგვლიანი სხვებთან ერთად მელნიკოვმაც აწამა. რაკი მთავარმა მოწმემ ჩვენება რამდენჯერმე შეცვალა და თავის დროზე მელნიკოვი ვერ ამოიცნო, პროკურატურამ და სასამართლომ ბუხაიძის ნათქვამი მტკიცებულებად არ მიიჩნია. ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ სასამართლო პროცესზე მოწმემ მელნიკოვს იმ ფოტოსურათის ზეგავლენით დაადო ხელი, რომელიც მას ტრაგედიიდან ცოტა ხნის გასვლის შემდეგ აჩვენა ოპოზიციამ. მაშინ ბუხაიძემ დაადასტურა, რომ ფოტოზე აღბეჭდილი პიროვნება, ანუ ოლეგ მელნიკოვი, ოქროყანაში იმყოფებოდა, თუმცა, მოგვიანებით იგი ვერ ამოიცნო. რაც შეეხება ბიბილურიძეს, რომელიც, მთავარი მოწმის ჩვენების თანახმად, ოქროყანაში არ ყოფილა, ხელისუფლების წარმომადგენლები არც ადანაშაულებენ და არც ამართლებენ. — ზუსტად ვერაფერს გეტყვი, მაგრამ არა მგონია, ტყუილუბრალოდ ეკისრა პასუხისმგებლობა და შვიდი წლით წასულიყო ციხეში, — მითხრა რესპონდენტმა.

იმის მიუხედავად, რომ განსასჯელებმა დანაშაული აღიარეს, მოსამართლემ მათ პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელზე ნაკლები შეუფარდა. კითხვაზე — რატომ? — ხელისუფლების წარმომადგენლის პასუხი ასეთია:

— იმიტომ, რომ მან იცოდა, გირგვლიანი ბრალდებულებს არ მოუკლავთ.

* * *

ეს პაუზა იმიტომ გავაკეთე, რომ მინდოდა, თქვენთვის სულის მოთქმის საშუალება მომეცა. ახლა, ვფიქრობ, შეგვიძლია, განვაგრძოთ.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის მტკიცებით, ოქროყანაში აყვანილი სანდრო გირგვლიანი და მისი მეგობარი სცემეს, მაგრამ არა სასიკვდილოდ. უბრალოდ, მათი შეშინება უნდოდათ, სწორედ ამიტომ სცემეს და დასერეს. თუმცა, მისივე მტკიცებით, არც ერთი ჭრილობა არ ყოფილა სასიკვდილო. ერთი წუთით დავუშვათ, რომ ეს სიმართლეა, მაშინ რამ მოკლა სანდრო გირგვლიანი?

— მან გაქცევა სცადა, ლობეზე გადაძვრა, ღრმა თხრილში გადაიჩეხა და გარდაიცვალა.

ასეთია ტრაგედიის ხელისუფლებისეული ინტერპრეტაცია, რომლის ხმამაღლა გამოთქმასაც ერიდებიან — ხალხი არ დაგვიჯერებს და არასასურველი პროცესები მოჰყვებაო.

რესპონდენტის თქმით, ახალაია, სანოძე, დონაძე და მელნიკოვი იმ უბრალო მიზეზის გამო არ დაისაჯნენ, რომ ისინი მკვლელობის შემკვეთები არ არიან. თუმცა, თანამდებობების დატოვება მაინც მოუწიათ, რადგან იცრუეს და არ აღიარეს, რომ სწორედ მათ მოუხმეს თანამშრომლებს — ისინი თითქოს დროებით, გამოძიების დამთავრებამდე გადადგნენ, მაგრამ, მერწმუნეთ, რომ თანამდებობებს არ დაუბრუნდებიან, — აღნიშნა თანამოსაუბრემ. შეიძლება, ასეც მოხდეს, (ისე, ამბობენ, სამსახურში მაინც დადიანოძ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათ თანამდებობების გარეშე მაინც არ დატოვებენ მათი „რევოლუციური დამსახურების“ გამო.

ხელისუფლისა თუ ხელისუფალთა წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის ვანო მერაბიშვილსაც, რასაც სათანადოდ უფასებენ (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით). გირგვლიანის საქმემ მისი სავარძელი ვერ შეარყია, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი საქართველო დარწმუნებულია — ასეთ დროს, შინაგან საქმეთა მინისტრი უნდა გადადგეს.

**რუსუდან გახარია**

◉ ხმა ერის გასაგონად

# ქართველი ხალხი თავის ბედს თვითონ უნდა განაგებდეს

გუშინ საქართველოს თეატრალური საზოგადოების სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები — კულტურის, ლიტერატურისა და მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწენი, რათა მედიის საშუალებით საზოგადოებრიობისთვის ემცნოთ თავიანთი გადაწყვეტილება. მთავარი სათქმელი გაახმიანა სახელმწიფო და სანდრო ახმეტელის სახელობის პრემიების ლაურეატმა, რეჟისორმა ნუკრი ქანთარიამ, მან, კერძოდ, თქვა:

„— ქვეყანაში შექმნილმა ანტიეროვნულმა და ანტიდემოკრატიულმა პროცესებმა, რამაც ბოლო ხანებში იჩინა თავი, საფრთხე შეუქმნა არა მარტო კულტურას და მეცნიერებას, არამედ ადამიანის სიცოცხლესაც. ჩვენ, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა გადავწყვიტეთ, საკითხი დავსვათ ეროვნული კრების მოწვევის შესახებ. ეროვნული კრება, ვფიქრობთ, დაეხმარება ერის გაერთიანებაში. ამისთვის კონსულტაციები გვქონდა მთელი რიგი პარტიების ხელმძღვანელებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ამ იდეას თითქმის ყველამ დაუჭირა მხარი. ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ მათთან კონსულტაციებს და ხვალ, 12 ივლისს, დღის 3 საათზე მეტეხი-პალასში მოხდება კრების დაფუძნება“.

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ, საქართველოს სახალხო არტისტმა, რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ აღნიშნა:

„— ჩვენი ამოცანა არ არის პარტიის შექმნა, არც არჩევნებში მონაწილეობა, არც ხელისუფლებაში მოსვლა. ჩვენ ვართ საზოგადოება, რომელსაც აწუხებს ის მდგომარეობა, რაც სადღეისოდ საქართველოშია შექმნილი, საშინელი დაპირისპირებები, კონფრონტაცია. გვეყოფა ასეთი მდგომარეობა, საქართველოს ბედი მხოლოდ პარტიების საქმე არ არის, არც ხელისუფლებისა. ქართველი ხალხი თავის ბედს თვითონ უნდა განაგებდეს.

ჩვენი მიზანია, ის დრაკონული საარჩევნო კანონი, რომელიც ამჟამად არსებობს და ხელისუფლებამ თავისთვის მოირგო, შეიცვალოს. არსებული კანონით არჩევნების გამართვა დაუშვებელია. ხალხი დაიღალა რევოლუციებით, გადატრიალებებით. დემოკრატიული არჩევნები არის ერთადერთი გზა, რომელიც ყველასთვის მისაღები უნდა გახდეს, სხვანაირად საქართველოს ისევ კატასტროფა ემუქრება.

ჭეშმარიტად დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვებს ის მხარე, რომელსაც ხალხი დაუჭერს მხარს. დროა ხალხი ჩაერიოს თავის ბედში.

შეკრების დასასრულს პროფესორმა თემურ ნანეიშვილმა წაიკითხა საქართველოს მოღვაწეთა, საქართველოს ეროვნული კრების მოწვევის ინიციატორთა დეკლარაცია, რომელსაც ზემოთ ვაქვეყნებთ.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

აფორიაქებული განწყობით

# ამაღლებას გისურვებთ, კოპწია ქალბატონო!

## ღია წერილი საქართველოს პარლამენტის წევრს ნინო კალანდაძეს

**ორიგინალური ვერ ვიქნები.**

**მიმართვის თავაზიანი ფორმა სხვისგან უნდა ვისესხო.**

**ისიც რუსისგან.**

**ცნობილი პოეტისგან.**

**რუსების სიყვარულით არ ვაკეთებ ამას.**

**უბრალოდ ტონი მომწონს ძალიან.**

**ამიტომაც ვესესხები სხვას, კეკლუცო ქალბატონო!**

თანაპარტიელებთან ერთად ბრიფინგი გამართეთ. იქ ბრძანეთ, შეუპოვრები ვიქნებითო კონტრრევოლუციონერებთან ბრძოლაში.

შეიძლება სიტყვები იყოს ოდნავ განსხვავებული. აზრი ნამდვილად არ შემიცვლია.

აქვე უნდა მოგახსენოთ:

არც კონტრრევოლუციონერი ვარ, არც რევოლუციის მომწყობი.

ერთზე ვამახვილებ ყურადღებას.

ისიც მხოლოდ თქვენეულზე.

„დიდ ოთხეულთან" ერთად მიკროფონთან მდგარმა ბრძანეთ: **სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესიდან წამოსულები უნივერსიტეტის წინ „სამარცხვინო აქციის" მონაწილეებს შეუერთდნენო.**

კანონმდებელი ბრძანდებით და არ უნდა გეშლებოდეთ ასეთი რამ.

სულგანათლებული სანდრო გირგვლიანის სასამართლო არსად გამართულა.

ასამართლებენ მხოლოდ დამნაშავეს. იმ კურთხეულს არაფერი დაუშავებია. ადამიანურ ღირსებათა დაცვას შეეწირა, არამზადების წინაშე არ მოიხარა ქედი.

გაასამართლეს მის მკვლელობაში ბრალდებულთაგან რამდენიმე.

ეს ორი სხვადასხვა რამეა და თქვენთვის ულრუბლო დღესავით ნათელი უნდა იყოს.

**ეს ერთი.**

**მეორე:**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის ეროვნული, ვიმეორებ, ეროვნული უნივერსიტეტის წინ იმ დღეს გამართული ღონისძიების „სამარცხვინოდ" მონათვლა ნამდვილად არ არის ღვთისნიერი საქციელი.**

შეგნებულად არ ვიყენებ სხვა სიტყვას. **ქალბატონი ბრძანდებით და უფრო მკვახედ თქმის უფლებას არ მაძლევს მამაკაცური თავმოყვარეობა.**

საპროტესტო აქციაში იმ დღეს ასეულობით ღირსეული ადამიანი, მამულიშვილი მონაწილეობდა. მათ შორის რამდენიმე პროფესორი. **თითოეული მათგანის მიერ ერის სულიერ ამაღლებაში შეტანილი წვლილი გაცილებით მეტია, ვიდრე თქვენი და ჩემი ერთად აღებული, ისიც სულ ცოტა ორნიშნა რიცხვზე გამრავლებული.**

მიტინგში მონაწილეობდა, სიტყვითაც გამოვიდა რამდენიმე წლის წინათ რვა ათეულს გადაბიჯებული ჯუმბერ ჭუმბურიძე.

ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, რომ „ზეკაცობასთან" არც ჰიტლერი იყო მწყრალად.

შესაძლებელია, თქვენს გვერდითაც არიან ასეთები თუ არა, ასეთი მაინც.

ადამიანურად გთხოვთ:

**„იყავით ფრთხილად."**

გახსოვდეთ:



**უბრალოდ, ამ ხნის კაცის საქციელის „სამარცხვინოდ" მონათვლა, ისიც ასე საჯაროდ, ყოველგვარი ადამიანურის ფეხქვეშ გათელვაა, კოპწია ქალბატონო!**

ეროვნული უნივერსიტეტის პროფესურა, როგორც ჩანს, თქვენთვის მაინცდამაინც დიდად ღირებული არ არის, რამდენადაც განათლება გერმანიაში გაასრულეთ და სწორედ იმ შორეულ ქვეყანაში ხშირი მი-მოსვლის უჭირ-საჭიროებამ ოფლმოუდენლად მიგაბრძანათ პარლამენტარის სავარძლამდე.

**გოეთეს, ვერდის, კრანახის, სხვა მრავალ ღირსეულთა სამშობლოში, ჩანს, იმდენი რამე ნახეთ, ისწავლეთ, რომ სამშობლოსა და ეროვნული თავისთავადობისათვის, უნივერსიტეტის ავტონომიისათვის, მხოლოდ ავტონომიისათვის საქართველოსთანა პატარა ქვეყნის ბრძოლა არქაულ პროვინციალიზმად გეჩვენებათ.**

**ესეც მესამე.**

**მეოთხე:**

ეჭვიც არ არის, რომ თქვენ იქ გერმანულ ფილოსოფიაშიც კარგად ჩაიხედავდით.

გეტყობათ კიდევაც, კეკლუცო ქალბატონო.

ნიცშე შეგყვარებიათ განსაკუთრებით.

უფრორე „ზეკაცის" იდეა მოგწონებიათ.

სამოცდაერთი წლის წინათ საფუძვლიანად ამოძირკული „ზეკაცისა" და „ზეკაცობის" ლაქას დღემდე ვერ იშორებს გერმანელი ხალხი.

ამაყი, გამრჯე და გონიერი ერი.

უჭკუო არც ქართველი ყოფილა ოდესმე.

**საქართველო პატარა ყოველთვის ღვთის ბოძებული მიწებით იყო.**

**მცირე — მოსახლეობის რაოდენობით.**

**გონი მუდამ თავზე საყრელად ჰქონდა.**

**ნუ გაგელიმებათ, კეკლუცო ქალბატონო!**

გაჩენიდან დღემდე უსასრულოდ ბევრი სიბრძნე აქვს გახმოვანებული. მათ შორის ასეთიც: პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრაო კბილი.

არ ვიცი, თქვენ გყავთ თუ არა შვილი.

არ დავინტერესებულვარ. ნამდვილად არ მიყვარს სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა.

გყავთ?

გაგიზარდოთ უფალმა ჯანმრთელი და ლაღი.

არა?

მოგცეთ მამაზეციერმა.

აქედანვე გაუფრთხილდით.

არ გემუქრებით.

არც დამმუქრებელი ვარ, არც მუქარის შემსრულებელი.

**თხოვნა მაქვს სულ უბრალო: თქვენ თვითონ ნუ წაართმევთ შთამომავალთ თავაწეულად სიარულის უფლებას.**

**რაც შეეხებათ ეროვნულ უნივერსიტეტსა და მთლიანად საქართველოს, არა მგონია, მთლად თქვენს ირონიაზე იყოს დამოკიდებული მათი ბედ-იღბალი.**

ორთავეს უფრო მეტისთვისაც გაუძლიათ, კეკლუცო ქალბატონო!

კიდევ გაუძლებენ.

კაცი თუ არა, ღმერთი მაინც არის მოწყალე.

ღვთისმშობლის კალთა დაიფარავთ.

ერთს.

მეორეს.

**ესეც მეექვსე** და მოვრჩი.

ვერ ავედი ათამდე, ვერ შევბედე სახარებისეულს, სადაც გარკვევით წერია, გიყვარდესო მოყვასი საკუთარი თავივით.

მოყვასი არ ნიშნავს მაინცდამაინც სისხლით ნათესავს, მეუღლის, დედმამის მეგობრებსა და ახლობლებს.

ჩვენ ყველანი ერთმანეთის მოყვასები ვართ.

დამეთანხმებით, ალბათ, რომ ამის გაცნობიერება ნამდვილად არ არის იოლი და ადვილი.

ერთიც მინდა შეგახსენოთ. ეტყობა, მეხსიერებიდან ამოგივარდათ ამდენ დავიდარაბაში.

ეროვნული უნივერსიტეტი ხელოვნურად ამაღლებულ სუბსტრაქციაზე დგას.

ძველ ქართულ ტაძრებს აშენებდნენ ასე.

რაც უფრო უახლოვდები, მით უფრო მაღლდები, სულიან-ხორციანად იწმინდები, უფლისკენ მიიწევ თითქოს.

ამიტომაც მოგახსენეთ, უნივერსიტეტის წინ მომხდარის სამარცხვინოდ მოხსენიება არ არის-მეთქი ღვთიური საქმე.

ამ უნებლიე შეცოდების მიუხედავად, ამაღლებას გისურვებთ, კეკლუცო ქალბატონო!

თუნდაც იერარქიულ კიბეზე.

**მანდილოსნისადმი მოკრძალებით**

**რობერტ ძერია,**
**ჟურნალისტი.**

**მინაწერი: გაზეთში, ტელევიზიაში, ჟურნალში მუშაობის ხანგრძლივი დროის მანძილზე სახელსა და გვარს პირველად ვაწერ პროფესიას. მხოლოდ ახლა ვიგრძენი ამის აუცილებლობა, არამკითხე მოამბედ რომ არ მიმიღით.**

**იწამეთ ღმერთი, ნუ ჩამითვლით ამას საძრახისად და ამ უწყინარი წერილისთვის საქართველოს „სამარცხვინო" მოქალაქედ ნუ „მომნათლავთ" მამისტოლა კაცს.**

**რ.ძ.**

გაერო

# ანანის მოწოდება



**გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი ქართულ და აფხაზურ მხარეებს 2006 წლის თებერვალში „მეგობარი ქვეყნების" ჟენევის შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმებების შესრულებისაკენ, ძალის გამოუყენებლობისა და დევნილთა დაბრუნების დოკუმენტთა პაკეტზე მუშაობის დასრულებისაკენ მოუწოდებს. ამის შესახებ მხარეებს კოფი ანანმა აფხაზეთის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში მოუწოდა. ანანი მნიშვნელოვნად მიიჩნევს მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების ოპერატიულ შესრულებას, კერძოდ, აფხაზეთის უსაფრთხოებაზე ქართული მხარის მიერ გაზიარებულ მოსაზრებებს და აფხაზური მხარის მიერ აღებულ ვალდებულებას გალში ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნის, ქართველი ახალგაზრდების მიერ მშობლიურ ენაზე სწავლისა და გალის რაიონში გაეროს პოლიციელთა მისიის განლაგების შესახებ.**

მისი თქმით, „დანაშაულის წინააღმდეგ მხარეთა მიერ ერთობლივი ბრძოლა ხელს შეუწყობდა თბილისსა და სოხუმს შორის ნდობის ამაღლებას".

**ინტერპრესნიუსი**

ალმა მატერი

# ხუბუა იურიდიული ნულია, – აცხადებენ პროფესორები

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში გუშინ პროფესორ-მასწავლებელთა მორიგი საპროტესტო აქცია გაიმართა.**



ოპოზიციურ პარტიებთან შეთანხმების თანახმად განცხადებებს მხოლოდ პროფესორები აკეთებდნენ და მიკროფონთან არც ერთი პოლიტიკოსი არ მისულა.

თუმცა ამ შეთანხმების შესახებ, როგორც თვითონ განაცხადა, არაფერი იცოდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ირაკლი წერეთელმა, რომელიც უნივერსიტეტში მისი პარტიის რამდენიმე აქტივისტთან ერთად დროშების თანხლებით მივიდა და სიტყვით რომ გამოსულიყო, მეგაფონიც მოითხოვა. თუმცა წერეთელს აუხსნეს, რომ დღეს „მისი დღე არ იყო" და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის გაწბილებულმა თავკაცმა იქაურობა დატოვა.

ამის შემდეგ პირველი სიტყვა თსუ-ს ალტერნატიულმა რექტორმა ჯემალ მებონიამ წარმოთქვა, რომელმაც ოპოზიციურ პარტიებს „გადამწყვეტ მომენტში მხარდაჭერისთვის" მადლობა უძღვნა, შემდეგ კი მოჰყვა, თუ როგორ ანგრევს უნივერსიტეტს ლომაიასეული ფსევდორეფორმა და პროფესორ-მასწავლებლებს შესაძლებლობა რომ მისცენ, როგორ აქცევენ თსუ-ს ევროპული დონის მძლავრ საგანმანათლებლო სკოლად.

პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა კი იმ პროფესორების გვარსახელები ჩამოთვალა, რომლებმაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციას საკონკურსო კომისიების წევრობაზე ცივი უარი სტკიცეს. ასეთები საკმაოდ მრავლად აღმოჩნდნენ და მათ შორის ვახუშტი კოტეტიშვილისა და მზექალა შანიძის გვარებიც აღმოჩნდა.

პროფესორებმა მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს იმ კოლეგებს, კონკურსს რომ პროტესტი გამოუცხადეს, თავად კონკურსს კი უკანონოსთან ერთად გაკოტრებულიც უწოდეს.

აქციაზე სიტყვით გამომსვლელებმა კიდევ ერთხელ მოითხოვეს უნივერსიტეტიდან გიორგი ხუბუას წასვლა და იგი „იურიდიულ ნულად" მოიხსენიეს.

აღსანიშნავია, რომ გუშინვე უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა ინფორმაცია გაავრცელა, თსუ-დან პოლიციელები გავიყვანეთო. მართალია, თვითონ შენობაში ფორმიანთა ჭაჭანება არ არის, მაგრამ უნივერსიტეტის ბაღი და მიმდებარე ტერიტორია კვლავ პოლიციელებითაა გადატენილი.

**მანუჩარ მეგრელიშვილი**

ინფორმაცია

## პოლიცია მიდის, მაგრამ...

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაცვის პოლიციამ გუშინ დატოვა.**

**თსუ-ს ადმინისტრაციამ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს უნივერსიტეტის დაცვა 3 ივლისს სთხოვა, როდესაც ყოფილი დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრები რექტორის კაბინეტში შევიდნენ და რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, გიორგი ხუბუას მოსთხოვეს, დაეტოვებინა კაბინეტი.**

## „სოციალური დარვინიზმი უნივერსიტეტში"

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებს პატიმრობაში მყოფი „თანასწორობის ინსტიტუტის" წარმომადგენელი ირაკლი კაკაბაძე ეხმაურება. მისი წერილი „სოციალური და ანტიჰუმანური დარვინიზმი უნივერსიტეტში" გაზეთ „რეზონანსის" 10 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა.**

**ირაკლი კაკაბაძე უნივერსიტეტის მეცნიერთა და პედაგოგთა მიმართ განათლების მინისტრის კახა ლომაიას დამოკიდებულებას „ჯუნგლის კანონის სასტიკ და უსახურ გამოვლინებას" უწოდებს და აცხადებს, რომ რეფორმის განხორციელებას ჰუმანიზმი სჭირდება.**

**„ის, რასაც ლომაია აკეთებს, არის უსახო და ანტიეროვნული კარიერიზმი, რომელიც ამერიკის ინტერესებსაც ეწინააღმდეგება და, რა თქმა უნდა, საქართველოსაც. ლომაიამ თუ ვერ მონახა კომპრომისის ენა, ის დაიმკვიდრებს თანამედროვე, მოდერნიზებული და პოსტმოდერნიზებული სერგო ორჯონიკიძის სახელს", — ნათქვამია წერილში.**

**კაკაბაძე მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების განსამუხტად კომპრომისი და დიალოგი აუცილებელია.**

## დედაქალაქის მერს ადანაშაულებენ?

**დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ახალი მემარჯვენეები" თბილისის მერს გიგი უგულავას ამომრჩევლის მოსყიდვაში ადანაშაულებენ. „ახლები" მერს შეახსენებენ, რომ ამომრჩევლის მოსყიდვა სისხლის სამართლის დანაშაულია.**

**საკრებულოს ფრაქცია „ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარემ გიორგი მოსიძემ განაცხადა, რომ უგულავას აგრესიული პიარ-კამპანიისთვის დახარჯული საბიუჯეტო თანხების საფარქვეშ, მოსახლეობის წინასაარჩევნო „მოსყიდვა" მიმდინარეობს.**

**„პენსიონერებისთვის - 4 მილიონი ლარი, სტუდენტებისთვის - 2 მილიონი ლარი და მეცნიერებისთვის - 700 ათასი ლარი — ეს ის თანხაა, რომელიც ამ სოციალურ ჯგუფებზე სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით დაიხარჯება", — აცხადებს მოსიძე. მისი თქმით, თბილისის ბიუჯეტის 24 მლნ. ლარით გაზრდა საკრებულოს ჯერ არ განუხილავს, ფული კი უკვე იხარჯება, „მათ შორის 100 ათასი - სტუდენტური პროგრამით დასაქმებული ახალგაზრდების კეპებისა და მაისურების შესაძენად". „უგულავას წესად ექცა სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში, საკრებულოს მიერ განუხილავი და დაუმტკიცებელი საბიუჯეტო თანხების ხარჯვა. ეს ერთი მხრივ უკანონობაა, მეორეს მხრივ კი არჩევითი ორგანოს დისკრედიტაცია", — აცხადებს მოსიძე.**

**ინტერპრესნიუსი**

ინფორმაცია

## რატომ ძვირდება ნავთობი?

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი აცხადებს, რომ საერთაშორისო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასები საკმაოდ მაღალია და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. მათ შორის, უმთავრესია ირანის პრეზიდენტის განცხადება, რომ ნავთობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომპოვებელი ეს ქვეყანა შეწყვეტს ნავთობის ექსპორტს.

ნავთობის ფასის ზრდას ისიც განაპირობებს, რომ ზაფხულობით, შვებულებების პერიოდთან დაკავშირებით, ნავთობპროდუქტების მოხმარება, ტრადიციულად, პიკს აღწევს ხოლმე. სხვა ფაქტორებიდან აღსანიშნავია რამდენიმე ნავთობმომპოვებელ ქვეყანაში (მაგალითად, ნიგერიასა და ვენესუელაშიძ ნავთობის მოპოვების შემცირება. ასევე ის, რომ ნავთობგადამმუშავებელი ქარხნები ველარ აკმაყოფილებს ნავთობზე გაზრდილ მოთხოვნილებას. ამ ფაქტორების შედეგად, ნიუ-იორკისა და ლონდონის ბირჟებზე „შავი ოქროს“ ფასი 74-75 დოლარის ფარგლებში მერყეობს. რამდენიმე დღის წინათ კი ნიუ-იორკის ბირჟაზე ნავთობის რეკორდული ფასი აღინუსხა — მან 75 დოლარს გადააჭარბა.

ვანო მთვრალაშვილის თქმით, მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასის დაწევის პერსპექტივა ჯერჯერობით არ ჩანს. ეს მდგომარეობა საქართველოზეც აისახება. თუმცა, განვლილ პერიოდთან შედარებით, ნავთობპროდუქტების ფასები უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შემცირებულია. ნავთობპროდუქტები ევროპაში თითქმის ორჯერ ძვირია, ვიდრე საქართველოში, რადგან იქ ეს პროდუქცია მაღალ ფასად იბეგრება. დღეისთვის საქართველოში დიზელის 70-80 პროცენტი აზერბაიჯანიდან შემოდის. დიზელს ვიღებთ თურქმენეთიდან და ევროპის ქვეყნებიდანაც.

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ხელმძღვანელის თქმით, ნავთობპროდუქტების ფასების მომატება საქართველოში ჯერჯერობით მოსალოდნელი არ არის.

## ავადმყოფ ბავშვთა მშობელთა პროტესტი

ინვალიდი ბავშვების მშობლებმა, ბავშვებთან ერთად გუშინ თბილისში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან, შიმშილობის აქცია დაიწყეს. ჰიდროცეფალიითა და ცერებრალუ-



რი დამბლით დაავადებული ბავშვების მშობლებმა ამერიკის საელჩოს გასულ კვირას შუამდგომლობით მიმართეს და საქართველოს ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენა სთხოვეს, რათა მძიმედიაგნოზიან ინვალიდ ბავშვებს სახელმწიფომ დახმარება გაუწიოს.

ერთ-ერთი ბავშვის მშობელმა განაცხადა, რომ თუ 10 ივლისის დღის ბოლომდე პასუხს არ მიიღებენ, ინვალიდი ბავშვების მშობლები ოპოზიციის საპროტესტო აქციებში ჩაერთვებიან.

ინტერპრესნიუსი

ბარიერთან!

# არა, მოსკოვს შევეკითხები,

ამ ხელისუფლებამ თავისი უკუღმართობის გამოისობით უკვე ვინ დათვლის, რამდენი მეტსახელი მიიკერა.

არ ვიცი, დაუძახა თუ არა ვინმემ მას ეს სახელი, რომლის მისადაგებასაც მისთვის ახლა ვაპირებ.

თუ დაუძახა, მეც გავიმეორებ.

თუ არადა, ხელისუფლების ამ ახალი სინონიმის ავტორობას დავიჩემებ.

**გლახა ჭრიაშვილი.**

ალბათ ყველამ იცით ილიასეული პიესას წამგვანებული მოთხრობა: „გლეხთა გათავისუფლების პირველ-დროების სცენები“, რომლის ერთ-ერთი პერსონაჟიც სწორედ გლახა ჭრიაშვილია. კაცი, ვინც პოსრედნიკთან თავისი გაჭირვების შესაჩივლებლად მისულა, მაგრამ სათქმელს თავს ვერ აბამს, ბევრი არც არაფერი აქვს სათქმელი და ამიტომაც გამუდმებით ერთსა და იმავეს იმეორებს, ჩაჰკირკიტებია ერთ ამბავს და უვლის გარშემო. დაიწყებს, ვერ ამთავრებს, ისევ თავიდან დაიწყებს, ისევ ვერ ამთავრებს და ა. შ.

ჩვენი ხელისუფლების საქმეც სწორედ ასეა.

არა აქვს მნიშვნელობა, პრესაა, ტელევიზიაა, სარეკლამო რგოლია, დებატებია, თოქ-შოუა თუ სხვა რამეა, პრეზიდენტით დაწყებული ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი ერთით იწყებს და იგივეთი ამთავრებს.

რომ დაიგო გზები, შეიღება ფასადები, განათდა თბილისი, გაკეთდა შადრევნები, მოემატა პენსიას, შეიქმნა პატრული, გაძლიერდა ჯარი, პოლიციას აცვია ახალი ფორმა და მიმდინარეობს განათლების რეფორმა.



გავიგეთ, გვესმის, ვხედავთ და არც არავინ გაურბის იმის აღიარებას, რომ:

თბილისის ცენტრალურ უბნებში ფეხი გუბეში არ გვეფლობა და ავტომანქანა ორმოში არ იმტვრევა.

თუმცა:

დედაქალაქის ზოგიერთ გარეუბანში ისეთი გზებია, შალვა ნათელაშვილის თქმისა არ იყოს, სტაჟიანი კენგურუც კისერს წაიტეხს.

ძალიან ლამაზია შეღებილი ფასადები, ყოველ შემთხვევაში შეუღებავს სჯობს.

თუმცა:

შეღებილ სახლებში სახურავიდან წყალი ჩადის, იატაკია აყრილი, კედელია გაზზარული და კორპუსში ლიფტი არ მუშაობს.

არც შადრევნები დაიწუნება, მით უმეტეს, რომ მათგან ზოგი მომღერალია და ზოგიც მოცეკვავე.

თუმცა:

ამ შადრევნებში წყალი მეტიხანობა არ მოდის. თუ მოდის, საღამოსპირს, როცა ისედაც გრილა და არა შუადღეს, როცა ისეთი მზე აჭერს, ასფალტზე კვერცხი შეიწვება.

ყველა ვხედავთ და ვაღიარებთ, რომ თბილისი სინათლის ქალაქია და ძველსა და ახლანდელ ღამის თბილისს შორის შედარებაც არ არი.

თუმცა:

ეს სინათლის ქალაქი გაძვირებული სინათლის ქალაქი გახდა და ნაგვისა და შარდის სუნით აყროლებული მიწისქვეშა გადასასვლელების ქალაქად დარჩა.

კარგია, რომ პენსია ჯერ გაორმაგდა და მერე ხუთი ლარიც მოემატა.

თუმცა: ეს 33 ლარი პენსიონერებს გაძვირებული შაქრის, მარილის, საპნის და სხვა საჭირო რამეების შესაძენად არაფრისდიდებით არ ჰყოფნით.

კარგია, რომ შეიქმნა პატრული, რომელიც ქუჩაში დარჩენილ მთვრალ კაცებს სახლამდე აცილებს, ტელეკამერების წინ ცოლ-ქმრის ჩხუბს აკვარახჭინებს და ხშირად დაყაჩაღებულ ტაქსის მძღოლებს მანქანებსაც აპოვნინებს.

თუმცა:

ეს პატრული უნივერსიტეტში შედის და იქიდან მხცოვან პროფესორმასწავლებლებს ძალის გამოყენებით აძევებს.

რა ჯობს იმას, რომ ჯარი გაძლიერდა, კარგი ფორმა აცვია და კარგად აჭმევენ.

თუმცა:

ამ ჯარში ხშირად ხდება ხელჩართული ჩხუბები, თან ჯგუფურად. ზოგი ჯარისკაცი ამას ეწირება, ზოგი კი მეტად საეჭვო ვითარებაში თავს იკლავს.

კარგია, რომ მიმდინარეობს განათლების რეფორმა.

თუმცა:

ეს რეფორმა თბილისის სახელმწიფო დაფინანსების გარეშე დარჩენილ სახელმწიფო უნივერსიტეტში ფაკულტეტებს აუქმებს და უპირველეს ცოდნის ტაძარს ავტონომიისა და პროფესიონალი, დამსახურებული პროფესორების გარეშე ტოვებს.

ასეა. მედალს ორი მხარე აქვს.

ხელისუფლების მედლის ავერსზე გარკვეული წარმატებები კი აღბეჭდილა, მაგრამ რევერსზე ამ წარმატებათათვის ჩრდილისმიმყენებელი „რაღაც-რაღაცებიც“ არის ამოტვიფრული.

„რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“...

ხელისუფალთაგან „ვეფხისტყაოსანი“ ზოგიერთს მაინც ექნება წაკითხული.

ტყეში რად ვექებთ პანტასა

# „არა, სხვისი შესანატრი რა მაქვს, თვარა კი...“

## როდემდე უნდა გვქონდეს ბეღლები ცარიელი

**ადამიანს უჰაეროდ შეუძლია იარსებოს ხუთი წუთი, უწყლოდ — ხუთი დღე, უსაკვებოდ კი — ხუთი კვირა. ჰაერი და წყალი ჯერჯერობით სამყოფი გვაქვს, თუმცა იმასაც ვაბინძურებთ და ვწამლავთ. რაც შეეხება ეროვნულ პროდუქტებს, ის დღითი დღე ძვირდება, მცირდება და ხარისხი უფუჭდება, მათზე მოთხოვნა კი იზრდება. საქართველოს მაღაზიები და ბაზრები გადატენილია თურქული და ირანული პომიდვრითა და კიტრით, ბერძნული ციტრუსებით, შუა აზიის ლობიოთი, ბრაზილიური, ჰოლანდიური და არგენტინული ქათმებით, ინდური ხორცით... ზელანდიიიდან, ავსტრალიიდან, ჩინეთიდან და, ღმერთმა უწყის, კიდევ რომელი ქვეყნიდან არ შემოაქვთ საკვები პროდუქტი.**

**ქართველმა კაცმა შეიძლება ინატროს და, თუ მოიწადინა, აწარმოოს კიდეც ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, როგორიცაა ბანანი და ანანასი, ფინიკი და კაკაო, ზეთისხილი ან კაუჩუკი, პურის ან რძის ხე და ბოლოს — დრაკონის ხე, რომლის წვენი უძველესი დროიდან გამოიყენება ცხედრის ბალზამირებისთვის (ღმერთმა არ დაგვაჭიროს). მით უფრო, წარმოუდგენელია, რომ ვერ შეძლოს საკუთარი წარმოების ნივრის, ხახვის, კარტოფილის, პომიდვრისა და კიტრის, სამარცვლე და მწვანე ლობიოთი თავის უზრუნველყოფა.**



უნიკალური ბუნებრივი რესურსების, საუკეთესო კლიმატური პირობებისა და ოდითგანვე ცნობილი გამრჯე ხალხის ქვეყანაა საქართველო. ერთ სულ მოსახლეზე იმდენივე სახნავ-სათესი ფართობი მოდის, რამდენიც დაახლოებით გერმანიასა და ჰოლანდიაში, თუმცა ჩვენს ერთეულ ფართობზე 2-3-ჯერ ნაკლები ბოსტნეულის, კარტოფილის, მარცვლეულის მოსავალს ვიღებთ, ვიდრე ისინი. ძალზე ჩამოვრჩებით საქონლის წველადობასა და ხორცის წარმოებაში. ამიტომ ეროვნული საკვები პროდუქტის წარმოების ამაღლება უპირველესი ამოცანაა ჩვენი ქვეყნისთვის. მაგრამ ვინ აღრიცხავს, თუ რა მოჰყავს გლეხკაცს, რა სახის პროდუქცია, რა არის პრიორიტეტული, რა უნდა შემოვიტანოთ, რომ დავაბალანსოთ ხალხის მოთხოვნა.

ხშირია შემთხვევა, რომ ქართველი გლეხკაცის მიერ მოყვანილი ხორბალი ვერ გაყიდულა, რადგან იმ პერიოდში უცხოეთიდან დიდი რაოდენობით იყო შემოტანილი იგივე პროდუქტი. ეს მოსაწესრიგებელია. **დავაცადოთ ქართველ გლეხკაცს მოწეული პროდუქციის (მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის და სხვაძ რეალიზაცია და შემდეგ შემოვიტანოთ იგივე სახის ნაწარმი.** აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ოფიციალურ გერბზეა აღნიშნული **„მრეწველობისა და ვაჭრობის საფუძველია სოფლის მეურნეობა“.**

ჩვენთან საჭიროა სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის უფრო ქმედითი, რეალური ურთიერთობების დამყარება. ჩინური სიბრძნეა: **„შენ დათესავ მარცვალს, მიიღებ ერთ მოსავალს, თუ დარგავ ხეს, ათი წლის შემდეგ ის გამოისხამს ნაყოფს, და თუ შეასწავლი ხალხს მოვლა-მოყვანას, მაშინ ბარაქიანი იქნება მომავალი ასი წლის ყოველი წელიწადი“.** ასევეა ნათქვამი: **„თუ ადამიანს აჩუქებ თევზს, ის მაძღარი იქნება ერთხელ, ხოლო თუ შეასწავლი მას თევზაობას, ის მაძღარი იქნება მთელი ცხოვრება“.**

ამიტომაც საჭიროა ქმედითი საკონსულტაციო სამსახურის ჩამოყალიბება, როგორც ეს ხდება მოწინავე უცხოეთის ქვეყნებში. გლეხმა უნდა იცოდეს, რა ხერხითა და მეთოდით აწარმოოს ინტენსიურად, მცირე თვითღირებულებითა და მაღალხარისხოვნად, ესა თუ ის სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელიც მიზანშეწონილია ლოკალურ მიწის ფართზე. ამასთან ერთად, ის უნდა იყოს გარანტირებული მოწეული მოსავლის რეალიზაციით. ამიტომ საჭიროა პროგნოზირება და დაგეგმვა, საჭირო სურსათისა და კონტრაქტების წინასწარ მოგვარება — გლეხი — შემკვეთი (შუამავალი) და მყიდველი. არასწორი

იხ. 6 გვ.

# ლილა ბატონო!..

მართალია, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს (გვარს არ დავასახელებ) რუსთაველი და გრიგოლ ორბელიანი ერთმანეთში ერევა, მაგრამ მერე რა.

ეგ, არაფერი.

თუმცა ხელისუფლებისეულ „სინათლეზე“ ლაპარაკისას მის თანმხლებად „სიბნელის“ დასახელება ცოტა არ იყოს მსუბუქი ნათქვამია.

ამ „სინათლეს“ უფრო ბნელი, წკვარამი უკუნეთი ფარავს და ამიტომაც, როცა ხელისუფლების მიღწევებს თვალს ვერ მოვუხუჭავთ, ვერ გავუყუჩდებით იმასაც, რომ:

დედაუნივერსიტეტი დაღუპვის პირასაა.

სანდრო გირგვლიანი დაღუპულია, მისი მკვლელობის შემკვეთები კი დაუსჯელნი არიან.

ადამიანის უფლებები ფეხქვეშაა გათელილი.

სპეცრაზმი ეკლესიაში შედის და იქაუროებას არბევს.

ღმერთო შეგცოდე და 1937 წელიც კი დაგვიბრუნდა. აბა რა ჰქვია განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების დისკრედიტაციას, მათ დაპატიმრებას მხოლოდ იმის გამო, რომ ხელისუფლებას აკრიტიკებენ და მის შეცდომებზე ხმამაღლა გაჰკივიან.

მაგალითი უამრავია.

მათ შორის ყველაზე ცინცხალი.

სინდისის პატიმრები:

ირაკლი კაკაბაძე, ზურა რთველიაშვილი, ლაშა ჩხარტიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი.

თუ საზოგადოება გონს არ მოეგო და ხელისუფლებაც გონზე არ მოიყვანა, ვინ იცის კიდევ რამდენი იქნება ასეთი.

რამდენი სანდრო გირგვლიანი.

რამდენი ირაკლი კაკაბაძე.

საოცარი კი ის არის, რომ როცა ქვეყანაში ასეთი ცოდვის ტრიალია, დიდ გულზე ისევ უშუბლისძარღვო ხელისუფალნი არიან და პრეტენზიული სახეებით ქართულ მედიას უბღვერენ: მოვლენებს უსამართლოდ აშუქებთ, ტენდენციურები ხართ, ჩვენს მიღწევებზე არაფერს ამბობთ და მხოლოდ ჩვენს საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებს უთმობთ მეტწილ ყურადღებასო.

წურას უკაცრავად.

ჯერ ერთი, ქვეყანაში ათასი მოგვარებული და ერთი მოუგვარებელი პრობლემაც რომ იყოს, პრესამ იმ ერთზე უნდა იყვიროს გამუდმებით მანამ, სანამ ხელისუფლებას არ აიძულებს მის მოსაგვარებლად ხელი გაანძრიოს.

მეორეც. ხელისუფლების მიღწევებზე, თავის დროზე საკმარისად ითქვა და დაიწერა. კიდევ მაშინ ითქმება და დაიწერება, როცა ხელისუფლებას ახალი მიღწევები ექნება.

ერთი და იგივე წარმატებებზე გამუდმებული ლაპარაკი და წერა პრესის საქმე არ არის.

მით უმეტეს ამდენი პრობლემისა და უბედურების ფონზე.

ეს რეკლამისა და პიარის საქმეა.

თუმცა თავად PR-ით მოსულდგმული ხელისუფლებას PR-ისა და ჟურნალისტიკის ფუნქციები ერთმანეთში ერევა.

PR-ის ფუნქცია: საზოგადოებრივი აზრის შექმნა.

ჟურნალისტიკის ფუნქცია: კონკრეტული პრობლემების გადაჭრაზე ზრუნვა. ხელისუფლების იძულება, ამ პრობლემების მოგვარებისთვის გაისარჯოს.

ამ რამდენიმე დღის წინათ, საგანგებო პრესკონფერენციაზე, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის იმ ლიდერებმა მოაწყვეს, ბოლო დღეებში საზოგადოებისა და გაერთიანებული ოპოზიციის საგრძნობი გამოღვიძებისა და გააქტიურობის გამო შეფუცხუნება სახეებზე აშკარად რომ ეტყობოდათ, ქალბატონმა მაია ნადირაძემ ბრძანა:

ტელევიზიები საინფორმაციო გამოშვებებს ოპოზიციის მიტინგებითა და სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესით იწყებენ, ბუშისა და სააკაშვილის შეხვედრას კი მე-7 და მე-8 ნიუსად გადმოსცემენო.

ქალბატონ უმრავლესობის ლიდერს, თუ ბევრის არა, იმდენის ცოდნა მაინც უნდა მოეთხოვებოდეს, რომ ქვეყნისთვის უპირველესი სწორედ მისი საშინაო პოლიტიკა, პრობლემები და ვითარებაა და მხოლოდ ამის შემდეგ არის საგარეო საქმეები.

ამიტომ მედიასაც სწორედ ის აინტერესებს, რაც ქვეყნის მთავარი პრობლემაა და ყველა სხვა საკითხზე აქტუალურია.

ესეც რომ არა, ქართული პრესისთვის ბუშისა და სააკაშვილის შეხვედრიდან, გარდა იმისა, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა შტატების პრეზიდენტს დაბადების დღე მიულოცა, იმან კი ჩვენსას მეგობარი უწოდა და მეუღლესთან მოკითხვა დააბარა, სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ ყოფილა.

მაია ნადირაძის მტკიცებით კი, როცა ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები ჩიხშია შესული და საყოველთაო მღელვარება სუფევს, მთავარი ინფორმაცია ვაშინგტონში გამართული ბუშისა და სააკაშვილის ფამილარული შეხვედრა ყოფილა.

იმავე პრესკონფერენციაზე ყურისმომჭრელი იყო გიგა ბოკერიას ნათქვამიც: საქართველოში ყველაზე მაგარ ჟურნალისტად ის მიიჩნევა, ვინც ხელისუფლებას აკრიტიკებს და მათ შორის ხშირად დაუმსახურებლადო.

მისი ნათქვამის ბოლო ნაწილში ბატონ ბოკერიას დავეთანხმები:

ვინც ვინმეს დაუმსახურებლად აკრიტიკებს, ის „მაგარ ჟურნალისტად“ კი არა, საერთოდ ჟურნალისტად არ არის მისაჩნევი.

რაც შეეხება ბოკერიას ნათქვამის პირველ ნაწილს. სათქმელი რომ შემოვაბრუნოთ, ბატონო გიგა, ხომ არაფერი დაშავდება?

ყველაზე მაგარ ხელისუფლებად ის მიიჩნევა, რომელიც ჟურნალისტს კრიტიკის შანსსა და საფუძველს არ უტოვებს.

ამიტომაც, უფალო ხელისუფალნო, სანამ ქვეყანაში ამდენი კი არა, თუნდაც ერთი მოუგვარებელი პრობლემა იქნება, პრესის თავისუფალი და ობიექტური ნაწილის მხრიდან კრიტიკა გარანტირებული გაქვთ.

მე შენ გეტყვი, მოსკოვს შევეკითხები.

**ჯაბა ხუბუა**

### ინფორმაცია

#### მეორე ადგილი ქართულ ფილმს

**რეჟისორ დავით გოგუაძის დოკუმენტურმა ვიდეოფილმმა „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი“ უკრაინაში ჩატარებულ სატელევიზიო ფილმებისა და პროგრამების მე-13 საერთაშორისო ფესტივალ „აგროსვით 2006“-ში მეორე ადგილი დაიკავა. იგი ნომინაციაში „ჩემი მშობლიური მხარე“ გავიდა.**

#### სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცეს

**საქართველოს ხელისუფლებამ ცხინვალის რაიონის სოფელ ერგნეთთან თავმოყრილ რუსეთის მოქალაქეებს როკის გვირაბის გავლით გუშინ რუსეთში დაბრუნების უფლება მისცა.**

**ხელისუფლებამ რუსეთის მოქალაქეებს როკის გვირაბის გავლით სამშობლოში დაბრუნება მას შემდეგ აუკრძალა, რაც რუსეთმა ზემო ლარსის საბაჟო გამშვები პუნქტი ჩაკეტა.**

**შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილის გელა ზოზიაშვილის თქმით, ხელისუფლებამ ზემოხსენებული გადაწყვეტილებით, მხოლოდ ერთი პრეცედენტი დაუშვა და აკრძალვა კვლავ ძალაში რჩება.**

**პრეცედენტის დაშვების მიზეზი კი, ზოზიაშვილის ინფორმაციით, ის არის, რომ ერგნეთთან თავმოყრილი მოქალაქეები წინასწარ არ იყვნენ ინფორმირებულნი ზემოხსენებული აკრძალვის შესახებ. ასევე პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილის განმარტებით, ერგნეთთან თავმოყრილ რუსეთის მოქალაქეებში რამდენიმე ავადმყოფი იყო, ერთ-ერთი ოჯახი კი რუსეთში მიცვალებულის გადასვენებას ცდილობდა. ამიტომაც ხელისუფლებამ კეთილი ნება გამოიჩინა და ადამიანებს როკის გვირაბის გავლით რუსეთში გამგზავრების საშუალება მისცა.**

#### იზოლაციის დასაძლევად

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის“ ორგანიზებით ქართველი ჟურნალისტები გუშინ სამცხე-ჯავახეთში გაემგზავრნენ. ჟურნალისტთა ჯგუფის მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკური და სოციალური პრობლემების გაცნობაა. პროექტი, სახელწოდებით „სამცხე-ჯავახეთის რეგიონთან მიმართებაში არსებული საინფორმაციო ვაკუუმის დაძლევა“, ეუთოს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.**

**ხუთდღიანი ვიზიტის მსვლელობისას ახალციხეში, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში ჟურნალისტები ოცზე მეტ შეხვედრას გამართავენ. პროექტის კოორდინატორის შორენა რატიანის ინფორმაციით, შეხვედრები შედგება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებების ლიდერებთან და არასამთავრობო სექტორთან.**

#### საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში

**ბორჯომში 650-მდე დევნილი ბავშვი გაემგზავრა 10 ივლისს. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ბორჯომის პარკში ერთდღიანი ექსკურსია-დასვენება საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.**

**აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები 12-დან 18 წლამდე მოზარდების ბორჯომში ექსკურსია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის ინიციატივაა.**

**მედიანიუსი**

### დოს მარილი აკლიაო

**ამას წინათ დასავლეთ საქართველოში კიდევ ერთი „ცხელი წერტილი“ გაჩნდა — ზოგიერთი საგარეუბნო მატარებლის მოძრაობა შეაჩერეს. მიზეზი ძალზე „უბრალო“ გახლდათ — წამგებიანიაო. დღეს ამ მიზეზით ბევრი რამ არ შეიძლება... არ შეიძლება თუნდაც კახეთისკენ სახალხო მატარებლის მიმოსვლის განახლება.**

# კახელებს ელმავლის ხმა მოენატრათ...

## როგორ ვუშველოთ საგარეუბნო რკინიგზას

### „ლირიკული“ გადახვევა

**თელავიდან ფეხადგმული თბილისის მატარებელი გზადაგზა დაიხუნძლებოდა და მოჩინდრიკობდა მხიარული ყაყანით. ემატებოდა და ემატებოდა ხალხი! ყველა იღიმებოდა, ყველას რაღაცა უხაროდა — თითქოს დიდი ხნის ნანატრ ბალ-მასკარადზე ჩქარობდნენ და ერთი სული ჰქონდათ, როდის ჩავიდოდნენ დედაქალაქში. ბარჯისხევში მატარებელი ერთს კიდევ ამოიქაქანებდა. მგზავრები ძირს ჩახტებოდნენ — ვინ მრგვლად მოხარშულ დედალს იყიდდა, ვინ — შოთებს. გაიშლებოდა პურ-მარილი. იყო ერთი გადაპატიჟ-გადმოპატიჟება, სადღეგრძელოებში ენამახვილობა, ღვინო-არყით თავის მოწონება. ნელა მიირწეოდა მატარებელი და როგორც კი კაჭრეთი გამოჩნდებოდა, ყველა ფეხზე წამოიშლებოდა, ყველა ფანჯარას მიაწყდებოდა: სწორედ აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს თბილისიდან და თელავიდან მომავალი სახალხოები.**

— მშივრებო, გადმოდით, ლუკმა გატეხეთ, ამომშრალი ყელი გაისველეთ! — ეპატიჟებოდნენ თელაველები თბილისელებს.

— გოიმებო, დიდი ხანია, ქალაქში არ ყოფილხართ? ეგ ძვლები თან წაიღეთ, გამოგადგებათ!

იყო ერთი ხორხოცი. გაივლიდა რამდენიმე დღე და ეს ადამიანები როლებს გაცვლიდნენ — ვინ „მშიერად“ გადაიქცეოდა და ვინ — „მაძღრად“.

ათ წელზე მეტია, კაჭრეთის სადგურმა მოისვენა: იქ აღარც „მაძღრები“ ხვდებიან ერთმანეთს და აღარც „მშივრები“ — სახალხო მატარებელმა თქვენი ჭირი წაიღო. ახლა ავტობუსებსა და სამარშრუტოებს მიმოჰყავთ მგზავრები.

მაგრამ ქირიზე ქირია ეს „სიამოვნება“. სამარშრუტოებით მგზავრობა ჯერ სამი-ოთხი ლარი ღირდა, მერე მაზანდამ თანდათან აიწია და ახლა, ვგონებ ათ ლარსაც გადააჭარბა!

მიწის მუშას დედაქალაქში თავისი ნაამაგარის ჩამოტანა ძალიან გაუჭირდა.

ბაზარსაც ცეცხლი წაეკიდა, რადგან იქ გადამყიდველები გაპაპაჯგვრდნენ. კარტოფილს, ბადრიჯანს, კიტრსა და პამიდორს ოქროს ფასი დაედო.

### ყველაფერი ეს დაწყევლილი ფულია?

რამ განაპირობა სახალხო მატარებლების გაუქმება? მიზეზი, ალბათ, ბევრია. უპირველესი მაინც ის არის, რომ შპს „საქართველოს რკინიგზას“ მათი შენახვა ძვირი უჯდება, მთავრობას კი მათთვის არ სცხელა.

საჭირო სტატისტიკაზე ხელი მიმიწვდებოდა და ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს გაზეთში შესაბამის მონაცემებსაც ვაქვეყნებდი. 2002 წლის 22 ოქტომბერს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული წერილი „ღირს კი არაფრის გამო „ქვების სროლა“? იმაზეც მოგვითხრობდა, როგორ გაძნელდა სარკინიგზო განშტოებების შენახვა — ისინი საკუთარ ხარჯებსაც ველარ ფარავდნენ. მაგალითად, 48-კილომეტრიანმა ზესტაფონ-საჩხერის უბანმა რკინიგზის სალაროს 435,3 ლარი მისცა, წაღებით კი 2123,9 ათასი წაიღო, რიონი-ტყიბულის მონაკვეთის მაჩვენებელი შესაბამისად 64 და 1270,8, ბროწეულა-წყალტუბოსი — 31.7 და 409,6, ხაშური-ვალესი — 168,4 და 2333,5, ნატანები-ოზურგეთისა — 9 და 537,6, ინგირი-ჯვარისა — 2,3 და 424, დედოფლისწყარო-წნორისწყალი-თელავისა — 1843,5 და 3698,9, ბორჯომი-ბაკურიანისა — 7,1 და 651 ათასი ლარი. სულ 2001 წელს განშტოებებმა „საქართველოს რკინიგზას“ მისცეს 3068,5 ათასი ლარი, მოხმარებით კი 16016,1 ათასი ლარი მოიხმარეს. ზარალმა 13 889,3 ლარი შეადგინა.



არ ჩამაივლის მატარებელი და აი, ჩემი ურემი!

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასეთი ხარჯების გაწევა სარისკო იყო — არც ერთი მეწარმე ასეთ „ქველმოქმედებას“ არ ეწევა. მით უმეტეს, როცა საქმე ერთ წელიწადს კი არა, რამდენიმე წელიწადს ეხება.

მაშინ შპს „საქართველოს რკინიგზა“ მაინც მიდიოდა რისკზე, რადგან არ სურდა, რომ რეგიონებსა და ცენტრს შორის კავშირი მოშლილიყო: ადამიანებს, საწარმოებს რკინიგზა ჰაერივით სჭირდებოდათ. განშტოებებმა თავისი ფუნქცია მხოლოდ არეული ცხოვრების გამო დაკარგეს. ბევრგან სწორედ ამიტომ გაუქმდა როგორც სატვირთო შემადგენლობის, ისე სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა.

ოდესღაც გაპრიალებულ რელსებს ჟანგი მოედო, ბალახში ჩაკარგულ [illegible] ჩალპა. ათასში ერთხელ ჩავლილ ორიოდე [illegible] მემანქანეს [illegible] თებს, რომ ხიფათს არ გადაეყაროს, შემადგენლობა სადმე არ გადაეჩეხოს...

### „დამოკლეს მახვილი“ ყვარლის თავზე

მიუხედავად ყველაფრისა, შეიძლება თუ არა კახეთის რკინიგზის „გაცოცხლება“? თურმე, შეიძლება, ოღონდ, საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებები. 2002 წლის აპრილში დავესწარი „ევროკავშირის ტასისის

იხ. 6 გვ.

◎ ტყეში რად ვიქებთ პანტასა

# „არა, სხვისი შესანატრი რა მაქვს, თვარა კი...“

(მეოთხე გვერდიდან)

დაგეგმვის გამო ადრე ხან კიტრის დეფიციტი იყო, ხან ნიორის, ხან ხახვის და ხან კარტოფილის.

იგივე ამბავი ხდებოდა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში — ხან გუთნები იყო ჭარბი, ხან — ტრაქტორები და ხან — კომბაინები. გლეხებს არა აქვთ იმის დრო და საშუალება, რომ „იწოწიალონ“ შხამ-ქიმიკატების, ტექნიკური საშუალებების ძებნისთვის და იმარჩიელონ, ვარგისია თუ არა ისინი. სხვისი შვილების როლში გამოდის დღეს გლეხკაცი, მიწა მივეცით, თოხი და ბარი კი დავაკელით. სიმართლე რომ ვთქვათ, ენდემურ ქართულ ხილს თუ ბოსტნეულს, პურის მარცვალს თუ ლობიოს, ციტრუსებს თუ ყურძენს თავისი გემოთი და კალორიულობით ვერ შეედრება სხვა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი. ისტორიულად ცნობილია ქართული ღვინო, კაკალი და წაბლი. ძველი ბერძნების ცნობებში აღნიშნეს ჩვენი მცენარეებისა და პირუტყვის ენდემურობა (დამახასიათებელია მხოლოდ განსაზღვრული ადგილმდებარეობისათვის).

საქართველოს შესახებ (მე-6-მე-4 სს. ძვ.წ.აღ.) აღნიშნულია: აქ აშენებენ ყოველნაირი ჯიშისა და კარგი ხარისხის მსხალსა და ვაშლს დიდი რაოდენობით. ბლომად ხარობს აქ აგრეთვე ლეღვი და ბროწეული. ზოგი ხეხილი აქედან შემდეგში სხვა ქვეყნებში გავრცელდა. მაგალითად, კოლხეთის ქალაქ კერასუნტიდან რომაელებმა პირველად შეიტანეს ევროპაში ბალი, რომლის სახელი ევროპულ ენებში კერასუნტის სახელთანაა დაკავშირებული. პურეულიდან დასახელებელია ხორბალი, ასლი და ქერი. ტექნიკური მცენარეებიდან უკვე მე-5 საუკუნეში (ძვ.წ.აღ.) განთქმული იყო კოლხური სელი და მისი ქსოვილი, რომელიც საზღვარგარეთ გაჰქონდათ. ცნობილი იყო ასევე შავი ზღვისპირის ფუტკარი, ხშირი და მდიდარი ღალით. არისტოტელე წერს: **„ფასიდზე არის პატარა ძროხები, რომელთაგანაც თითოეული ბევრ რძეს იძლევა“.** ეს ქართული ძროხა პატარა ტანის, მაგრამ კარგი მეწველი, დღემდე არის ჩვენში შემონახული (მაგალითად, ხევსურეთში). ადრე საქართველოში ბამბა, ზეთისხილი და ბრინჯიც მოჰყავდათ...



მუშახელის ნაკლებობა ადრეც ქრონიკული იყო საქართველოში. უმაღლესი სასწავლებლების მომრავლებამ გამოიწვია მუშახელის მკვეთრი შემცირება, დიპლომიანი ქართველის მენტალიტეტი — ის როგორ იკადრებს ბარს ან თოხს — ყველასათვის ცნობილია. პროფტექნიკური სასწავლებლები და ტექნიკუმები გაქრა, მალე ტრაქტორისტი და კომბაინერი სანატრებელი და უცხოეთიდან მოსაწვევი გახდება. არც ჯიშთა გამოცდის სადგურებია და არც მანქანათა გამოცდისა. მარტო ლამაზი დიზაინის ტექნიკური საშუალებები, როდი გამოდგება ჩვენს პირობებში უგამოცდელოდ შემოტანილმა ნებისმიერმა სასოფლო-სამეურნეო კულტურამ და მანქანა-იარაღებმა შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს ისედაც მძიმე პირობებში მყოფ გლეხობას.

**დღეისათვის ქვეყანაში არ არის ისეთი ერთიანი სამსახური, რომელიც, სოფლის მშრომელების მოთხოვნით, რომელიმე სასოფლო-სამეურნეო კულტურის ინტენსიური ტექნოლოგიით მოვლა-მოყვანისთვის საჭირო ყველა კომპონენტით (როგორიცაა ტექნოლოგიური, ტექნიკური, ქიმიური, მელიორაციული და სხვა საშუალებებით) უზრუნველყოფდა მათ და პრაქტიკულადაც დაეხმარებოდა სიახლის ათვისებაში.**

ყურადღებას იმსახურებს ამ მხრივ ზოგიერთი უცხოეთის ქვეყნის გამოცდილება. ასე მაგალითად, გერმანიაში არსებობს ფირმა „აგროპარტნერსი“. მის ფუნქციებში შედის ფერმერებისთვის, გარკვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მიზნით, ინტენსიური ტექნოლოგიების შესწავლა. ის ამუშავებს აგროტექნიკას, აწარმოებს ფინანსურ გარიგებას, ამყარებს კავშირს მომწოდებელთან ქიმიკატების, თესლის მიღებისა და სხვა საკითხების მოსაგვარებლად. შესრულებულ სამუშაოზე ანაზღაურება კი მოსავლიანობის გაზრდით მიღებული მოგებიდან გაიცემა. მოსავლიანობის გაზრდასთან ერთად ისინი უზრუნველყოფენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასაც. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების (როგორიცაა ახალი ტექნიკური საშუალებების, თესლისა და პირუტყვის ჯიშები, სოფლის მეურნეობის გაძღოლის მოწინავე მეთოდების, ფერმერების მომზადების დონის ამაღლების და სხვ.) სწრაფად განსახორციელებლად აშშ-სა და კანადაში შემუშავებულია და განვითარებულია „ექსტენშენ სერვისის“ სისტემა, რომელსაც ეძახიან მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის სისტემას. კოლეჯებთან, უნივერსიტეტებთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან შექმნილია განყოფილებები და სამმართველოები, რომლებშიც მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჯგუფი ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე მუშაობს.

ასეთი სამსახურები სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე მეცნიერებს ორ ჯგუფად ჰყოფს. პირველ ჯგუფში შედიან უშუალოდ კვლევა-ძიებითა და კონსტრუირებით დაკავებული თანამშრომლები, ხოლო მეორე ჯგუფში ისინი, ვინც კვლევა-ძიებით მიღებულ დადებით შედეგებს მიაწვდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს — ფერმერებს. ამ ჯგუფის სპეციალისტები მეცნიერული ენის პრაქტიკულ ენაზე მთარგმნელები არიან. ისინი უდიდესი პოპულარობით და პატივისცემით სარგებლობენ ფერმერებს შორის. ზოგჯერ მათ ვერ წარმოუდგენიათ ამ ბიუროს გარეშე არსებობა. სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის სპეციალისტებს უშუალო რაიონებში აქვთ პატარა კანტორა და ჰყავთ 2-3 თანაშემწე. ისინი არიან ყოველმხრივ განვითარებული სპეციალისტები, რადგანაც ფერმერები მათ სხვადასხვა საკითხზე მიმართავენ საკონსულტაციოდ.

**უდიდეს ეფექტს მისცემდა ჩვენს ქვეყანას მსგავსი სამსახურების შექმნა. საქართველო ხომ აგრარული ქვეყანაა და ამიტომ სოფელს სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება.**

მოკლე ექსკურსის მერე მინდა გადავიდეთ დღევანდელ დღეზე. „დეზერტირების ბაზარში“ ვიყავი. ჩემი ყურადღება მიიპყრო კარგად გამოყვანილმა ძროხისა და ღორის ხორცმა, რომელიც დიდი ძეხვის ფორმის იყო, უძვლო და იყიდებოდა ბევრად იაფად (5 ლარი), ვიდრე ჩვეულებრივი ხორცი (8 ლარი).

რა გაგვიჭირდა საიმისო, რომ ჩვენი ხალხი საეჭვო წარმოშობის პროდუქტებით იკვებებოდეს? ნუთუ ადგილზე ვერ უნდა ვაწარმოოთ ხალხისთვის საჭირო საკვები პროდუქტი და ძირითადად იმპორტული საკვების იმედად ვიყოთ? მიწა მარტო ადამიანის დასამარხავად კი არა, უწინარესად მისი გამოკვებისთვის გაუჩენია უფალს...

**სადღეისოდ ქართველი მშრომელი გლეხი დილემის წინაშეა — რა ქნას, თხილი გააშენოს თუ რძის ხე, პურის ხე, კაკაოს, კაუჩუკის, ყავისა, ზეთისხილი თუ სხვა რამე, ამოძირკვოს ვენახი, ჩაი, ციტრუსი და იმპორტული მზა პროდუქციით იარსებოს, შეეშვას ლიმონათის, ნატურალური წვენის სმას და შეიყვაროს პეპსი, კოკა-კოლა, ფანტა და სხვა გამაგრილებელი სასმელი?**

**არადა, რამდენი ხილი და ბალჩეული იკარგება, რომლებისგან შეიძლებოდა ძვირფასი ნატურალური პოუდერის (ფხვნილის) დამზადება. საკვები პროდუქტების დამზადების საკმაოდ დიდი არეალი გვაქვს, გაქანება კი — მოკლე. ჩვენი ხალხის დევიზი უნდა იყოს: „გაუმარჯოს ყველაფერ ეროვნულს და შემდეგ უცხოურს“.**

**გივი გეთია,**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

◎ დოს მარილი აკლიაო

# კახელებს ელმავლის ხმა მოენატრათ...

(მეხუთე გვერდიდან)

„ბისტრო პროექტის“ კონფერენციას, რომელიც ადგილობრივი სამრეწველო და ბუნებრივი ნარჩენების გამოყენებას მიეძღვნა. იქ საუბარი იყო კახეთზეც, კერძოდ, დედოფლისწყაროსა და ყვარელზე. ამჯერად უფრო ყვარლის მაგალითით შემოვიფარგლები, ვინაიდან, ის რაც უნდა მოგახსენოთ, სცილდება ამ რეგიონის საზღვრებს.

საზოგადოება არაერთხელ იყო ინფორმირებული იმ საშიშროების შესახებ, რაც დიდი ილიას მშობელ ქალაქს მდინარე დურუჯისაგან ემუქრება (ერთი წერილი — „სანამ ყვარელი დურუჯს ჩაუნთქავს“ ამა წლის ივნისში გაზეთმა „კვირის პალიტრამაც“ დაბეჭდა). დურუჯი ზღვის დონიდან 2800 მეტრზე იღებს სათავეს და დიდი ქანობის გამო თავბრუდამხვევი სისწრაფით ეშვება ბარისკენ. მას ყოველწლიურად 300 ათას ტონამდე თიხა-ფიქალი ჩამოაქვს. საბჭოთა პერიოდში მდინარის „მოსარჯულებლად“ წელიწადში 500 ათასი მანეთი იხარჯებოდა. 90-იანი წლების დასაწყისიდან დაფინანსება შეწყდა. იმის შემდეგ მდინარის კალაპოტი ივსება და ივსება, გამოტანით კი არავის გამოაქვს.

არადა ყვარელმა ერთხელ უკვე იწვნია მისი გამანადგურებელი ძალა — ამ ნახევარი საუკუნის წინათ ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. თუ კალაპოტი დროზე არ გაიწმინდა, უბედურებისგან დაზღვეული ახლაც არავინ არის. ამაზე არაერთხელ იყო მსჯელობა წინა ხელისუფლების დროსაც. ექსპრეზიდენტმა ისიც კი განაცხადა, 50 ათას ლარს გამოვყოფთ და კალაპოტის გაწმენდას დავიწყებთო. მაგრამ იმედი როგორც გაჩნდა, ისევე მინავლდა: ეტყობა, პრეზიდენტის მითითება მიაყურისძირეს. ახლა მდინარის მარჯვენა სანაპიროზე საქართველოს გზების დეპარტამენტი რკინის ბადურით შეკრულ კედელს აშენებს. როგორც ამბობენ, კედელი ყვარელს საიმედოდ დაიცავს. ღმერთმა ქნას!

### ავაშენოთ ცემენტის ქარხანა?

**„ბისტრო პროექტის“ კონფერენციაზე ყვარლის თიხა-ფიქალზეც იყო საუბარი. აღმოჩნდა, რომ იგი ძვირფასი ნედლეულია ევროსტანდარტის ცემენტის საწარმოებლად. თიხა-ფიქალის გამოწვა ბევრად იაფი ჯდება, ვიდრე კლინკერისა. ბუნებრივი აირის ფასების მიხედვით ის მერყეობს 14-17 დოლარს შორის, კლინკერის გამოწვის ფასი კი 35 დოლარს უტოლდება. ამავე ნედლეულიდან შეიძლება სხვა ძვირფასი სამშენებლო მასალების — მოსაპირკეთებელი ფილების, საკედლე ბლოკის, აგურის, კრამიტის წარმოებაც. ანგარიშგასაწევია, რომ ნედლეულის მარაგი ამოუწურავია. სავსებით შესაძლებელია, რომ პირველ ეტაპზე თუნდაც 100 ათასი ტონა წლიური წარმადობის ქარხანა აიგოს. ასეთი ქარხანა, მეცნიერთა წინასწარი გაანგარიშებით, დაახლოებით 1,5 მილიონი დოლარი დაჯდება. ოთხიოდე წელი დასჭირდება ვალის გასტუმრებას, მეხუთე წელი კი 500-600 ათასი დოლარ მოგებასაც მოიტანს.**

დავუშვათ და ქარხანა აშენდა. იქნება თუ არა მის პროდუქციაზე მოთხოვნილება? 2002 წელს შიდა ბაზარზე 400 ათასი ტონა ცემენტი გაიყიდა. დღევანდელი სამშენებლო ინდუსტრია, ცხადია, გაცილებით მეტს მოითხოვს. 100 ათასი ტონა ცემენტის საწარმოებლად 60 ათასი ტონა თიხა-ფიქალია საჭირო. ეს ის მასაა, რომელსაც ყოველწლიურად დურუჯიდან გამოიტანენ. ამჟამად იქ 10 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი ნედლეულია. აქვე დავძენთ, რომ ანალოგიური ნედლეული კახეთის სხვა რეგიონებშიც არის.

### სად დურუჯი და სად კახეთის რკინიგზა?

**აშენდება თუ არა ცემენტის ქარხანა ყვარელში, ჯერ არავინ იცის, ამიტომ უპრიანია იმ ქარხანას მივხედოთ, რომელიც დიდი ხანია, პროდუქციას იძლევა — მხედველობაში მაქვს რუსთავის (იქნებ კასპისაც?) ცემენტის ქარხანა. ყვარლის თიხა-ფიქალის აქ გამოყენება მისი პროდუქციის ხარისხს სასურველ დონეზე აიყვანდა.**

თუ მეცნიერთა ამ ჩანაფიქრს ხორცი შეესხმება, გამოდის, რომ რკინიგზის აღდგენასაც აზრი მიეცემა, მით უმეტეს, რომ კახეთი მარტო ყვარლის თიხა-ფიქალი არ არის. ამიტომ აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც გაითვალისწინებენ ქვეყნის მრავალმხრივ ინტერესებს. ეს დღეს და ხვალ არ მოხდება, მაგრამ საქმე ადგილიდან ხომ უნდა დაიძრას? აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სახელმწიფომ რეგიონების სიცოცხლისუნარიანობისათვის სახსრები ბიუჯეტიდანაც უნდა გაიღოს. „კეთილმოწყობით“ გატაცებული ხელისუფლება ამ საშიშ პროცესს ჯიუტად ვერ „ამჩნევს“. რაღა შორს წავიდეთ, აგერ, ყურისძირში, ნავთლუღის სარკინიგზო კვანძი ლამის მთლიანად გზის მეორე მხარეს მდებარე ბაზარმა მიიერთოს — იქაც ალებ-მიცემობაა გაჩაღებული და ირგვლივეთი ნაგავს მიაქვს.




ახლა წარმოიდგინეთ, რა ვითარებაა თითქოს უპატრონოდ მიტოვებულ, ოდესღაც მართლაც სისხლსავსე პერიფერიის რკინიგზის სადგურებში? **შენობა-ნაგებობები ყველგან გაპარტახდა, ეზოებს სარეველები მოედო.**

**და ეს იმ „უბრალო“ მიზეზით, რომ იქ აღარ ისმის ელმავლის მხიარული დაგადუგი...**

**ელგუჯა ლებანიძე**

ნამდვილი ამბავი

# ღვთის ძალა შეეწია

**ნაღდი ქალაქელია – ფიქრის გორაზე გაზრდილი, მშრომელ ოჯახში დაბადებული. ახალგაზრდობიდან შეება ცხოვრებას. რასაც მიაღწია, თავისი გულმოდგინეობით. მრავალ კაცშია განაწილებული და უამრავი ნაცნობი ჰყავს. ჭირში ღმერთმა მოგცეთ – კაცურად იცის გვერდზე დგომა. ლხინსაც არ გამოაკლდება – გულით მოილხენს. უყვარს გაჭირვებულის დახმარება, გინდა უცნობი იყოს. დღეს არაფრის მქონე, მაინც არ იშლის თავისას, თუმცა, შესანახიც, სახლში ბევრი ჰყავს.**

კომუნისტების დროს რაიონში ქარხნის დირექტორად მუშაობდა. რა დასამალია და ცოტ-ცოტა ფულსაც შოულობდა. ქარხანაში სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით სრულდებოდა. მუშიდან დაწყებული რაიონის ხელმძღვანელობით დამთავრებული, ყველა კმაყოფილი ჰყავდა. მიდიოდა ცხოვრება თავისი გზით. მაისის ერთ დილით თანამშრომელმა მოაკითხა და უთხრა: მილიციის და პროკურატურის თანამშრომლებმა ქარხანა დალუქესო. ასეთი „სტუმრების“ მოსვლა რასაც ნიშნავდა, ყველამ კარგად იცოდა. ცოტა შეშინდა, მაგრამ გული არ გაუტეხია. იცოდა, რომ დოკუმენტები წესრიგში ჰქონდა, მაგრამ ხათაბალა მაინც ელოდა...

მოწესრიგდა და რაიონში სამსახურში გასწია. მანქანა სიონთან გააჩერა. ეზოში შევიდა. ხედავს, საპატრიარქოს აივანზე ზურგით დგას და წიგნს კითხულობს ილია II. ძალა მოიკრიბა და შეძახა: „თქვენო უწმინდესობავ!“ კათოლიკოსი შემობრუნდა.

„რა გაგჭირვებია შვილო?“ – თავისი ტკბილი ხმით შეეკითხა ილია II.

„რაღაც შარში ვარ გახვეული და იქნებ დამლოცოთ.“ კათალიკოსმა ჯვარი გადასახა და დალოცა. ეკლესიაში შევიდა. უკვე ბინდდებოდა ბინდებოდნენ სანთლები. კეთილი თვალებით იყურებოდნენ ხატები. თითო სანთელი ყველგან დაანთო. წმინდა გიორგის ხატთან დაიჩოქა, შეევედრა: „ღმერთო ძლიერო, მთლად მართალი კაცი არ ვარ, შემინდე მე ცოდვილს. ბოდიში, ასეთი საქმისთვის, რომ გაწუხებ, რა ვქნა, წვრილშვილისა და მოხუცი მშობლების პატრონი ვარ და იქნებ გადამარჩინო. თუ გადავრჩი, შესაწირი ჩემზე იყოს.“

დაჩოქილი კარგა ხანს ევედრებოდა უფალს. გულმოცემული გამოვიდა გარეთ. შვიდი თვე იჯახირეს შემმოწმებლებმა, ქარხანას ლუქი ახსნეს და წავიდნენ.

ქარხნის თანამშრომლებს სიხარისე დაუბრუნდათ. ახალგაზრდა დირექტორმაც გულით გაიხარა, იწამა, რამაც გადაარჩინა. ერთ დღეს დანაპირების შესასრულებლად საპატრიარქოს მიაკითხა. თითქოს დამთხვევა იყო. ეზოში უწმინდესი და უნეტარესი ილია II სეირნობდა. მიადგა ჭიშკარს. ძალიან ღელავდა, არ იცოდა, რა ექნა. წრიალებდა. შორიახლოს ახალგაზრდა ეკლესიის მსახური იმყოფებოდა. კათალიკოსი მიხვდა და მსახური გამოგზავნა.

„რა გაგჭირვებიათ?“ – მიმართა მსახურმა.

მისული მოუყვა ყველაფერს, რაც გადახდა.

– მსახური გაბრუნდა და კათალიკოსს მოახსენა მთხოვნელის განზრახვა.

უკან მობრუნებულმა კი უთხრა: უნეტარესმა და უწმინდესმა გადმოგცათ, თუ შესაძლებლობა გაქვთ, წმინდა პანტელეიმონის ეკლესიის მშენებლობას დაეხმარეთო.

გახარებული წამოვიდა. იმ დღესვე მიაკითხა პანტელეიმონის ეკლესიას ვერის სასაფლაოზე. წინამძღვარს – ნოდარ გიგაურს ქაღალდში გახვეული ფული გადასცა. დიდხანს ეხვეწა წინამძღვარი, გვარი ან სახელი მაინც მითხარიო. „არ არის საჭირო“, – უპასუხა მომსვლელმა, – ერთი ვერელი კაცი ვარ. ღვთისმოსავი ოჯახიდან“ და ჩქარი ნაბიჯით დაუყვა დაღმართს. რამდენიმე დღის შემდეგ ტელევიზიით გადაიცა რეპორტაჟი ეკლესიათა მშენებლობის შესახებ. სხვებთან ერთად გამოვიდა პანტელეიმონის ეკლესიის წინამღვარიც. მან ილაპარაკა მომხდარ ამბავზე. აღნიშნა, რომ მოვიდა ვიღაც ახალგაზრდა ჭაღარა კაცი, რომელმაც საგრძნობი თანხა შეწირა ჩვენს ეკლესიასო, არც გვარი გვითხრა და არც სახელიო.

ამ შემთხვევიდან დიდი ხანი გავიდა, რაც ზემოთ მოგიყევით დღემდე არავინ იცოდა.

დანარჩენს თვითონ ამ ჩანახატის მთავარი პერსონაჟი ომარ პაიჭაძე მოგიყვებათ.

**ზაურ გომართელი**

სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ

# რა ვიხატე და... რა იხატება!

**გალერეა „კოპალაში“ მემორიალურ ექსპოზიციაზე გაიხსენეს მხატვარი... მისი გახსენება იყო ხელოვანებისთვის ძალიან ემოციური და დიდ ტკივილთან გათანაბრებული...**

**„იმიტომ კი არ ვმუშაობ, რომ ჩემმა ნამუშევრებმა გააოცოს ვინმე ან დაამშვენოს მსოფლიოს მუზეუმები, არა! ჩემთვის მხატვრობაა სიცოცხლე, სარკე, სადაც საკუთარ თავს ყოველდღე ვხედავ და არ უნდა მრცხვენოდეს ყოველი დღის დამთავრება... “ –**



ასე დაუწერია და... ამით ყველაფერი თქვა **ოთარ ჩხარტიშვილმა,** რომელიც სიცოცხლეში განდევნილივით ცხოვრობდა... მისი თავისუფალი ხელოვნება პარტიულ მუშაკებს ნერვებს უშლიდა, მონაწილეობდა მოსკოვში „იზმაილოვის პარკში“ ოსკარ რაბინის ცნობილ „ბულდოზერულ“ გამოფენაზე, ანუ 1974 წლის არასანქცირებულ ნონ-კონფორმისტ მხატვართა ნამუშევრების ექსპოზიციაზე... ეს პერიოდი უმტკივნეულო არ ყოფილა დაუმორჩილებელი მხატვრის ცხოვრებაში, თუმცა იმედგაცრუებამ შემოქმედებითი კრიზისი მაინც ვერ წარმოქმნა... „ხუთწლიანი ომის“ შემდეგ უპრეცედენტო რამ მოხდა: ოთარ ჩხარტიშვილის ნონკონფორმისტული გამოფენა თბილისში შედგა... 250 აკრძალული ექსპონატი „მხატვრის სახლში“... როგორ დაუშვეს?! ეს ხომ აბსურდია?! – ფიქრობდა ყველა, მაგრამ ეს იყო რეალობა... ეს იყო არაორდინარული ხელოვნება... გავა დრო და, ამ არაორდინარულ შემოქმედებაზე ავტორი იტყვის:

**„ჩემი შემოქმედება უწინარესად იყო იარაღი, ტოტალიტარიზმთან და ათეიზმთან დასაპირისპირებლად, რასაც დიდი სიყვარულით ვაკეთებდი, რადგან ეს ჩემი წილი საკეთებელი იყო... 30 წელი ჯიუტად ვიდექი ჩემს პოზიციაზე და ერთი წუთითაც არ მიღალატია მისთვის, შრომის პროცესში არასოდეს ველოდებოდი საზღაურს და არც იმის იმედი მქონდა, ოდესმე თუ გამიღიმებდა ბედი... ჩემს სათქმელს სხვა ვერ იტყოდა. ჩემი ოჯახი ბევრს ითმენდა, როგორც ეკონომიკურ, ისე მორალურ ზემოქმედებას. ოჯახი ითმენდა იმიტომ, რომ ისინი ხედავდნენ ჩემს საქმეს გადაყოლილი რომ ვიყავი, ამიტომ ჩემთან ბრძოლას აზრი არ ჰქონდა... “**

1968 წლიდან მის სახელს ანტისაბჭოთა იარლიყი ჰქონდა... ეს სტატუსი ტოტალიტარიზმის დამხობასთან ერთად ჩამოსცილდა და... შემოქმედებაში პარადოქსული თვალთვალიც შეწყდა... მხატვრობა მისთვის იყო საკუთარი მეობის გასამართლება... სიმბოლური კომპოზიციები ინტელექტუალური აზროვნების შედეგი, ყველასგან განსხვავებული, თავისუფალი და... თამამი. ეს სითამამე, მხატვრების თქმით, ოთარ ჩხარტიშვილის სადიპლომო ნამუშევრიდან იღებდა სათავეს, როცა 60-იან წლებში აკადემიიდან სამჯერ გარიცხულმა სტუდენტმა უარი თქვა აგრალურ-ტრაფარეტული დიპლომის გაკეთებაზე და დიპლომის თემად აირჩია საკუთარი ოჯახი – „ჩემი კერია“.





**– აკადემიის არქივში ინახება ოთარ ჩხარტიშვილის სადიპლომო ნამუშევარი, როცა მე ეს უზარმაზარი ტილო ვნახე, ეს იყო ჩემთვის შოკი. ეს არის საოცარი ნამუშევარი თავისი შესრულების კულტურით და ეს ნამუშევარი იყო თავისუფლების სიმბოლო იმ ახალგაზრდა ხელოვანისთვის და მთლიანად იმ პერიოდის მხატვრობისთვის. მე კარგად მახსოვს ოთარის სიტყვები, როცა პირველად მივედი „მხატვრის სახლში“ – არ გაჩერდე, გააკეთე ის, რაც გინდა და არ ითამაშო! თავისუფლება მისი პიროვნული არსის გამოხატულება იყო მხატვრობაში და ამასვე ასწავლიდა სხვას. მისი ხელოვნება ეს არის თავისუფლება ბრძოლაში და მან მარადიულად ცოცხალი დატოვა თავისი ხელოვნება. ჩემი აზრით, სამწუხაროა ის, რომ ეს უკომპრომისო მხატვარი ფართო საზოგადოებისთვის იმდენად არ არის ცნობილი, რამდენადაც მხატვართა ვიწრო წრეში, ამიტომაც ჩვენ ყველას უნდა გავაცნოთ ეს დიდი ხელოვანი. –** ამბობს მხატვარი **გია ბუღაძე.**

... მემორიალურ ექსპოზიციაზე წარმოდგენილია გარდაცვლილი მხატვრის მარად ცოცხალი ექსპონატები: ზეთით შესრულებული არაჩვეულებრივი ფერწერა, საინტერესო კომბინაციებით პოპარტები და ქანდაკებები...

დაბოლოს, გალერეაში შეუძლებელი გამოდგა საუბარი უცრემლებოდ, ამიტომაც მხატვრის ქალიშვილს მამაზე ბევრი არც არაფერი უთქვამს: – „მამაჩემმა სიცოცხლეში თქვა, მე რომ არ ვიქნები, მაშინ აღიარებენ ჩემს ხელოვნებასო.“





**მზეხა მახარაძე**

**სურათებზე: ოთარ ჩხარტიშვილი და მისი ნამუშევრები.**

პერიოდიკა

# მეშვიდეც მაგარი ნომერია

**გამოვიდა ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ მეშვიდე ნომერი.**

**ჟურნალი აგრძელებს ზაირა არსენიშვილის მეტად საინტერესო რომანის „კოლაჟი მთვარის შუქზე“ ბეჭდვას.**



პროზის რუბრიკით ასევე წარმოდგენილია **რევაზ მიშველაძის** ნოველები **„სავალალო ამბავი“** და **„ლომი“.** **„სავალალო ამბავი“** საქართველოს „უგვირგვინო მეფის“, აკაკი წერეთლის ცხოვრების პერიპეტიებს ასახავს.

პოეზიის რუბრიკით იბეჭდება უდროოდ დაღუპული უნიჭიერესი პოეტის **ლილინო ცახურის** ( ნუგზარ ბერაძის ძ, **ვაჟა ხორნაულისა** და **დალილა ბედიანიძის** ლექსები.

თარგმანის რუბრიკაში წარმოდგენილია – იტალიელი მწერლის **ლუიჯი პირანდელოს „ცხენი მთვარეზე“** (თარგნა **ზაალ ბოტკოველმა**ძ.

წერილები – **რამაზ პატარიძის** – „როდის დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“;

**ნოდარ შანიძის ვერსია – „აბდულმესია შა(მძთელი“;**

**მანანა ჩიტიშვილის – „სამშობლოს ქვაზე პოეზიით დალურსმული“** ცნობილი პოეტის, პროზაიკოსისა და პუბლიცისტის ნიკოლო მიწიშვილის დაბადებიდან 110 წლისთავს ეძღვნება.

თეატრის რუბრიკით ქვეყნდება **ნათელა ურუშაძის – „გაფანტული ანარეკლები“.** წერილში ხატოვნადაა გადმოცემული დიდი მსახიობის აკაკი ხორავას სცენური და პიროვნული ღირსებები.

მხატვრობა – წარმოდგენილია **თამთა შავგულიძის – „ჩიტების გამყიდველი“ ემიგრაციაშია“** და **მამუკა დოლიძის „არტისტიზმი და სიცოცხლე“,** რომელიც გამოჩენილი მხატვრის, **ზურაბ ნიჟარაძის** შემოქმედებას ეძღვნება, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალის ყდა და შიდა გვერდები გაფორმებულია ზურაბ ნიჟარაძის ფერწერულ ტილოთა ილუსტრაციებით.

ფოტოარქივის რუბრიკაში წარმოდგენილია ტიციან ტაბიძის, ანდრეი ბელის, პაოლო იაშვილის, გრიგოლ რობაქიძის, სანდრო შანშიაშვილის და სხვა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ამსახველი ფოტომასალა.

ჟურნალის პროექტის ავტორი და ხელმძღვანელია **ვაჟა ოთარაშვილი.**

გამოცემის სპონსორია **მაგთიკომი.**

**გურამ შატაიძე**

ლიტერატურული კურიერი

# შექსპირული მარათონი

**სტრატფორდში, გენიალური ინგლისელი დრამატურგის მშობლიურ ქალაქში, დაიწყეს დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული თეატრალური პროექტის განხორციელება. ერთი წლის განმავლობაში ამ ქალაქის სამეფო შექსპირის თეატრი უჩვენებს უილიამ შექსპირის სუყველა პიესას, უკლებლივ!**



ფესტივალი მისადაგებულია მწერლის დაბადებისა და გარდაცვალების დღისადმი, რაც ტრადიციულად ერთ რიცხვში – 23 აპრილს აღინიშნება პროექტი, რომელსაც „თხზულებათა სრული კრებული“ ეწოდა, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თეატრალური აქციაა კოლექტივის ბიოგრაფიაში. იდეა ის არის, რომ ბარდის ყველა 37 პიესა, იმათ რიცხვში ისე ნაკლებცნობილი, როგორიც არის „მეფე იოანე“, ზედიზედ მიდიოდეს, ფაქტობრივად, შეუსვენებლივ.

23 სპექტაკლს თვით სამეფო შექსპირის დასი დადგამს, დანარჩენებს უცხოელი მსახიობები ითამაშებენ: ბრაზილიელები, ინდოელები, გერმანელები, ჩინელები, იტალიელები, ამერიკელები; სამხრეთაფრიკელები და რუსეთელები. საერთოდ, უცხო ენებზე გაიმართება 10 დადგმა.

სპეციალურად საფესტივალოდ სამეფო შექსპირის დასის შენობის გვერდით აიგება თეატრი ღია ცის ქვეშ. წარმოდგენები მოეწყობა აგრეთვე თეატრში „კორტიარდი“, რომელიც ივნისში უნდა გაიხსნას წმინდა სამების ეკლესიაში – აქ განისვენებს უილიამ შექსპირის ცხედარი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი ჩეჩენ მოთარეშეთა დაქირავებას ცდილობს

**არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ მომავალ საომარ ოპერაციებში მიიღებენ მონაწილეობას ჩეჩენი მოთარეშეები და მათი მოკავშირე საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ასეთი განცხადება გააკეთა თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციაში დიმიტრი მედოევმა.**



„ქართულ-ჩეჩნურ კავშირურთიერთობამ ახალი განვითარება ჰპოვა თბილისის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის აშკარა ანტირუსული კურსის გამო, – აღნიშნა მედოევმა. – ჩეჩენი ტერორისტების და სააკაშვილის გუნდის მთავარი ამოცანაა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა კავკასიის ნებისმიერ კუთხეში. მათი მიზნები აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს, მით უმეტეს, რომ ამ ადამიანებს უჭერენ მხარს საზღვარგარეთ მოქმედი თითქმის ერთი და იგივე ფინანსურ-პოლიტიკური ცენტრები“.

მედოევის ხელთარსებული ინფორმაციით, საქართველოს პანკისის ხეობაში ამზადებენ ინტერნაციონალურ ბრიგადას ძმების ისმაილოვების მეთაურობით, რომელთა გადასროლასაც როკის გვირაბის ზონაში აპირებენ. ბრიგადის ძირითად ნაწილს შეადგენენ ვაინახები (ჩეჩნები და ინგუშებიძ, მათ შორის – პანკისის ხეობის მკვიდრი ქისტები. „ბრიგადას გადაისვრიან როკის გვირაბის ზონაში იმ მიზნით, რომ გაუმაგროს ზურგი მოწინააღმდეგის ძირითადი ძალების სადესანტო ოპერაციას, – განმარტა მედოევმა. – ოპერაციის მიზანი როკის გვირაბის ბლოკირება. ამის პარალელურად დაიწყება გზების ბლოკირება და ეცდებიან კონტროლი დაუწესონ ცხინვალისა და სამხრეთ ოსეთის დანარჩენი ნაწილის ირგვლივ მდებარე მნიშვნელოვან მაღლობებს. შემდეგ კი დაიწყება ცხინვალის ალყა“.

არ არის გამორიცხული, რომ ამ გეგმის განხორციელების წინ, საქართველოს სპეცსამსახურებმა თავიანთი აგენტურის მეშვეობით სცადონ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა ლიკვიდირება და პარალიზება (მათი დატყვევება და მძევლად აყვანაძ, გამოიყენონ ის მეთოდები და ახალი ტაქტიკა, რომელსაც მიმართა ისრაელმა ამ ბოლო ხანებში პალესტინაში ვითარების გამწვავების დროს (წერტილოვანი დარტყმები ჰაერიდან, პალესტინელი მინისტრების დაპატიმრებაძ, დასძინა რუსეთის ფედერაციაში თვითაღიარებული რესპუბლიკის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა. ეს კამპანია, სავარაუდოდ, უნდა დაიწყოს 10-20 ივლისის პერიოდში, დააზუსტა მედოევმა.

ჩეჩენი საველე მეთაურები თავიანთ მებრძოლებთან ერთად უკვე მონაწილეობდნენ 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს ერთ-ერთი გაბატონებული სიმაღლის დაკავებისათვის გაჩაღებულ საომარ მოქმედებაში. 2000 წელს მათ სცადეს ასევე სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის ტერიტორიაზე შეეგზავნათ ჩეჩენი ეროვნების პირთა ჯგუფი, რომლებიც გაანადგურეს რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებმა.

„ჩეჩნებისა და საერთაშორისო ტერორიზმის ძალების ჯგუფების მონაწილეობას სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შესაძლო საომარ მოქმედებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩეჩენთა „წინააღმდეგობისთვის“ ფრონტის გაფართოების მიზნით, აგრეთვე ეს მათთვის იქნება ხელსაყრელი როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე ფინანსური თვალსაზრისით, – მიაჩნია დიმიტრი მედოევს. – ოსეთის კამპანიაში ქართველთა მხარეზე ბრძოლის შემთხვევაში, მათ შეიძლება მოსთხოვონ თავიანთ სპონსორებს დამატებითი სახსრები. ხოლო ჩეჩნები თუ შეძლებენ თავიანთი მოქმედების გააქტიურებას სამხრეთ ოსეთში, სახელმწიფო საზღვრის ოსეთის მონაკვეთიდან რუსეთის ფედერაციისთვის დარტყმების მისაყენებლად, დასახული მიზნის ფასი ერთიორად გაიზრდება“.

როკის მიმართულებით ქართველთა და ჩეჩენთა ძალებისთვის საომარი ოპერაციის წარმატებად დასრულების შემთხვევაში, საქართველო შეძლებს სამხრეთ ოსეთის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების, კერძოდ გვირაბის გაკონტროლებას, რომელიც სამხრეთ ოსეთს რუსეთთან აკავშირებს. ამასთან, ჩეჩენთა ძალებს მიეცემათ ანტირუსული ფრონტის გაფართოების შესაძლებლობა და ისინი ქართველებთან ერთად შეძლებენ რუსეთის საზღვრის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის გაკონტროლებას, რუსეთი კი მიიღებს ახალ პანკისის ხეობას, მაგრამ გაცილებით უფრო დიდი მასშტაბით, რაც დასახავს მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარების დესტაბილიზაციის შესაძლებლობას, – დაასკვნა დიმიტრი მედოევმა. ამის შედეგად, გარეშე ძალების ხელშეწყობით მოქმედი ჩეჩენთა და ქართველთა რაზმები პარალელურად დაუწესებენ კონტროლს კავკასიის ორ უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო პუნქტსაც – ტრანსკავკასიის მაგისტრალს და საქართველოს სამხედრო გზას, – მიაჩნია მედოევს.

**10 ივლისი.**

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# კონსორციუმის შექმნა ეწინააღმდეგება აფხაზეთის ინტერესებს

**აფხაზთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოძრაობამ „აიდგილარამ“ („ერთობა“ძ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ 2006 წლის 3-4 მაისის ოქმი შავი ზღვის რკინიგზათა კონსორციუმის შექმნის შესახებ ეწინააღმდეგება აფხაზეთის კონსტიტუციას და ინტერესებს.**

როგორც ცნობილია, უკვე კარგა ხანია სხვადასხვა დონეზე განიხილავენ თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამჭოლი სარკინიგზო მოძრაობის აღდგენის საკითხს. აშკარაა, რომ ამ საკითხს აქვს არა მარტო ეკონომიკური, არამედ ეროვნულ-სტრატეგიული მნიშვნელობაც. მაგრამ, 2006 წლის 19 იანვარს, აფხაზური მხარის მონაწილეობის გარეშე, რუსეთმა, საქართველომ და სომხეთმა მიაღწიეს პრინციპულ შეთანხმებას სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის მიზნით საერთაშორისო კონსორციუმის შექმნის შესახებ, 3-4 მაისს კი, აფხაზეთის წარმომადგენლის მონაწილეობით, მოაწერეს ხელი „სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმს“. ჩვენი აზრით, ეს გადაწყვეტილებები პრაქტიკულად უგულებელყოფენ აფხაზეთის რესპუბლიკის ფუძემდებლურ ინტერესებს. ამასთან დაკავშირებით, 2006 წლის 3 ივლისს აფხაზეთის ტელევიზიით გადაიცა რესპუბლიკის მთელი რიგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების და პარტიების განცხადება, რომელშიც გამოთქმული იყო შეშფოთება იმის გამო, რომ აღნიშნულ დოკუმენტებში აფხაზეთი არ ფიგურირებს როგორც ზემოაღნიშნული საერთაშორისო კონსორციუმის ოფიციალური სრულუფლებიანი სუბიექტი. მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ მოესმინა ჩვენი მოქალაქეების აზრი, გაეანალიზებინა ამ რთული პროგრამის ყველა დეტალი და ნიუანსი, აფხაზეთის ხელმძღვანელობამ მოსახლეობისათვის დეზინფორმაციის განზრახ მიწოდებაში სასწრაფოდ დაადანაშაულა რესპუბლიკაში მოქმედი საზოგადოებრივი გაერთიანებები, პარტიები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და პარლამენტის დეპუტატები.

ასრულებდა რა დაკისრებულ მოვალეობას, აფხაზეთის პრეზიდენტთან არსებული სამთავრობო ინფორმაციის სამმართველოს უფროსმა კრისტიან ბჟანიამ იმავე დღეს საპასუხო გამოსვლის დროს, სცადა ტელემაყურებლების დარწმუნება იმაში, თითქოს ბუნებაში საერთოდ არ არსებობდეს არანაირი გადაწყვეტილება კონსორციუმის შესახებ, მორიგებები, ხელმოწერილი დოკუმენტები, „რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის“ ცნება, აგრეთვე ამ საკითხის თაობაზე ვიცე-პრემიერის და პრეზიდენტის გამოსვლები და სხვ. აღსანიშნავია, რომ ბჟანიას ეს გამოსვლა შეიცავდა ცინიკურ, შეურაცხმყოფელ და ფრიად დაუსაბუთებელ გამოხდომებს ცალკეულ პიროვნებათა მისამართით. ყოველივე ეს აშკარად მიუღებელია იმის გათვალისწინებით, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ხშირად მოუწოდებს თანამოქალაქეებს კონსტრუქციული დიალოგისა და აფხაზეთისთვის საარსებო მნიშვნელობის პრობლემათა შესახებ აზრის გაზიარებისკენ. სახელმწიფო მშენებლობისა და საერთაშორისო აღიარების გზაზე ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი „წყალქვეშა ლოდი“ გველის და რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და საზოგადოებას შორის ამჟამად პრაქტიკაში დანერგილი დიალოგის ფორმა, ალბათ, ვერ მოიტანს სასურველ შედეგს. მოვუწოდებთ აფხაზეთის პრეზიდენტს, რომ განახორციელოს 2006 წლის 3-4 მაისის ოქმის დეზავუირება, რადგან ეს დოკუმენტი ეწინააღმდეგება აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და ინტერესებს.



**10 ივლისი.**

ГазетаСНГ

# დაიხურა საქართველო-რუსეთის საზღვარი

**გასულ უქმე დღეებში რუსეთმა გადაკეტა „ზემო ლარსის“ საკონტროლო-გამტარი პუნქტი, რომელიც ერთადერთია რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე.**

საზღვრის ასეთი მოულოდნელი გადაკეტვა უკავშირდება სარემონტო სამუშაოებს, თუმცა ამან უკვე გამოიწვია სერიოზული პრობლემები და აჟიოტაჟი. რუსებს თავიანთი გეგმების შესახებ წინასწარ არაფერი უცნობებიათ ქართული მხარისთვის, ამიტომაც, არაფერი გაკეთებულა საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან უამრავი ადამიანის და ავტომობილის თავმოყრის თავიდან ასაცილებლად – საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „ზემო ლარსის“ საკონტროლო-გამშვები პუნქტის უშუალო სიახლოვეს უკვე შეგროვდა ასამდე ავტომანქანა და სულ ცოტა ასი ადამიანი, რომლებიც ელიან რუსეთის მიმართულებით საზღვარზე გადასვლის ნებართვას.

როგორც მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუბერნატორმა ვასილ მაღლაფერიძემ განაცხადა, რუს მესაზღვრეებს მისთვის უთქვამთ, რომ საზღვარი ოთხი თვის განმავლობაში იქნება დახურული, თუმცა ოფიციალურ დონეზე ისინი აღნიშნავდნენ, რომ ეს მხოლოდ ორ კვირას გასტანდა. „ნებისმიერ შემთხვევაში, რუსებს ეს ჩვენთვის უნდა შეეტყობინებინათ“, – მიაჩნია მაღლაფერიძეს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მერაბ ანთაძემ სპეციალურ ბრიფინგზე დაადასტურა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსეთის მხარემ საზღვარი გადაკეტა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე. „უფრო მეტიც, შაბათს, მთელი დღის განმავლობაში ვერ შევძელით მიგვეღო რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან ვერანაირი განმარტება და ვერც პასუხი იმის თაობაზე, თუ როდის გაიხსნება „ზემო ლარსის“ საკონტროლო-გამტარი პუნქტი“, – თქვა მინისტრის მოადგილემ. ანთაძის მტკიცებით, რუსეთმა უხეშად დაარღვია სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მსგავსი სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულები არიან ეს ერთმანეთს წინასწარ შეატყობინონ. ამასთან, საქართველო საგარეო-პოლიტიკური უწყების წარმომადგენელს არ გამოურიცხავს, რომ რუსეთის მხარის ასეთი მოქმედება გახდა თავისებური რეაქცია ვაშინგტონში მიხეილ სააკაშვილის ამ ცოტა ხნის წინათ გამართული წარმატებული ვიზიტის პასუხად.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ შესრულდეს სასაზღვრო სფეროში ნაკისრი ვალდებულებები და დაზუსტდეს სასაზღვრო სამუშაოთა დასრულების კონკრეტული ვადები“, – განაცხადა ანთაძემ და აღნიშნა, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე შექმნილი სიტუაციის შესახებ უკვე ოფიციალურად აცნობეს საერთაშორისო ორგანიზაციებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა თქვა, რომ ეს უსიამოვნო ინციდენტია. „ფაქტობრივი ეკონომიკური ემბარგოს პირობებში, რომელიც რუსეთმა შემოიღო, „ზემო ლარსის“ საკონტროლო-გამტარი პუნქტს საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აღარ ენიჭება. ყოველივე ამის შედეგად ზარალდება მეზობელი სახელმწიფო – სომხეთი, რომელსაც რუსეთი ყოველთვის მიიჩნევდა და ახლაც მიიჩნევს თავის ერთგულ სტრატეგიულ პარტნიორად“, – აღნიშნა ნოღაიდელმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

მისმა სომეხმა კოლეგამ ანდრანიკ მარქარიანმა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე შექმნილ სიტუაციას უწოდა შემაშფოთებელი სომეხი სასოფლო-სამეურნეო საქონლის მწარმოებლებისთვის. „ჩემთვის ცნობილია, რომ საზღვრის მახლობლად თავმოყრილია სომხური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით დატვირთული ათობით ტრაილერი, რომლებიც რუსეთში აპირებდნენ ჩასვლას. რადგან ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენ ხანს იქნება ჩაკეტილი საზღვარი, უკვე ვცდილობთ, რომ ჩვენი პროდუქციის მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხი გადავწყვიტოთ საზღვაო გზით – ფოთის ან ნოვოროსიისკის ნავსადგურებიდან, მაგრამ მაინც იმედი გვაქვს, რომ „ზემო ლარსის“ საკონტროლო-გამტარი პუნქტი უახლოეს დღეებში გაიხსნება“, – აცნობა ჟურნალისტებს მარქარიანმა.

**10 ივლისი**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА







დღეს აფხაზეთში





# ბლოკადური დემოკრატია



ვიქტორ ეროფეევი

## პოლიტიკა მწერლის საქმე არ არის, მაგრამ აფხაზეთში მიღებული შთაბეჭდილებები ძალზე ძლიერია

*ჩვენი რედაქციისგან: ვიქტორ ეროფეევი არცთუ ურიგო მწერალია, მაგრამ, როგორც იტყვიან, დღევანდელ სინამდვილეს ვიწრო თვალით, ანუ თავის სასარგებლოდ უყურებს და, ამ თვალსაზრისით, სხვისას თავისი ურჩევნია. ქართული ანდაზისგან (წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო) განსხვავებით, აფხაზური ანდაზის თანახმად, წყალწაღებული თურმე გველს ეჭიდება. ამ წერილის წამკითხველი თავად მიხვდება, ვინ ხავსია და ვინ — გველი... წყალწაღებული თავისთავად იგულისხმება*

**სოხუმის სანაპიროზე (დღეს ამ ქალაქს ჰქვია „სუხუმ“, რადგან მან დაკარგა 1930-იან წლებში სტალინის მიერ დამატებული ქართული „ი“ძ, ღია კაფეში, რომელსაც ეწოდება „აკოფთან“, აფხაზმა ძია მიშამ მომიტანა ფინჯანი მაგარი თურქული ყავა. ამ ადამიანს სახეზე უაზრო ღიმილი შეჰყინვოდა — იგი ჭკუიდან შეიშალა ამ ცამეტი წლის წინათ, მას შემდეგ, რაც ორივე ვაჟი დაეღუპა ქართულ-აფხაზური ომის დროს. ჩვენ — აფხაზების ჩრდილოელ მეზობლებს, ტრადიციულად ზანტ და ნაკლებად ცნობისმოყვარე ადამიანებს, ცოტა რამ თუ გვსმენია ამ ომის შესახებ. მაგრამ მთელს აფხაზეთში შექმნილია საბრძოლო დიდების მუზეუმები, კლდეებსა და ხიდებზე შეხვდებით მემორიალურ დაფებს. აფხაზეთის ისტორია ორ ნაწილად იყოფა — „ომამდე“ და „ომის შემდეგ“. ყოველ სუფრაზე აფხაზები ფეხზე დგებიან, როცა სვამენ თავიანთ დაღუპულთა ხსოვნის სადღეგრძელოს. სამოქალაქო თვითშეგნება აფხაზეთში ლიტონი სიტყვები არ გეგონოთ.**

ამ ბოლო ხანებში კვლავ გამწვავდა ვნებათაღელვა ქართულ-აფხაზური პოლიტიკური დაპირისპირების ირგვლივ. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაჟინებით აცხადებს, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში კი მზად არის ილაპარაკოს მხოლოდ ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების შესაძლებლობაზე, მაგრამ, სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში, იგი მოუყრის თავს ჯარებს საქართველოს საზღვართან და დანაღმავს მას. რა იმალება ამ სიტყვიერი ომის მიღმა?

აშკარაა, რომ აფხაზეთი არასდროს აღარ დაბრუნდება საქართველოს შემადგენლობაში. ომმა თავისი საქმე გააკეთა: აფხაზებს ურჩევნიათ ამოწყდნენ როგორც ხალხი, ვიდრე დანებდნენ. მაგრამ აფხაზეთში, ისე რომ არ დალოდებიან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას, უკვე დააბრუნეს ათასობით ქართველი ლტოლვილი, რომლებმაც ეს ტერიტორია დატოვეს ქართველთა ჯარების უკან დახევის დროს, რადგან გაურბოდნენ შურისძიებას ადგილობრივ მცხოვრებთა მხრიდან. არადა, შურისძიება ნამდვილად იყო და ამას არც მალავს აფხაზური მხარე. თუმცა იმას, რომ გამარჯვებული აფხაზები, თითქოს, ქართველთა მოჭრილი თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ, როგორც ამას მიხეილ სააკაშვილი ამბობს, აფხაზეთის ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს.

მაგრამ იმედი, როგორც იტყვიან, თვით ყველაზე უიმედო ადგილზეც ჩნდება.

თვალი გადავავლოთ აფხაზეთს — ეს არის პატარა ქვეყანა, 220-კილომეტრიანი ბრწყინვალე სუბტროპიკული სანაპიროთი, რომელსაც არ ცნობს მსოფლიოს არც ერთი სახელმწიფო. ზოგიერთები აფხაზეთს პრომოსკოვურად განწყობილ ბანანის რესპუბლიკად მიიჩნევს, თუმცა, ჩინებური კლიმატის მიუხედავად, იქ ბანანი მაინც არ ხარობს. ზოგიც მას საქართველოს მეამბოხე რეგიონად მოიაზრებს, რომელმაც თბილისთან საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი მას შემდეგ, რაც 1992-1993 წლებში სრული კრახით დასრულდა ქართველთა სადამსჯელო ოპერაცია, რომელსაც აშკარად ჰქონდა მაროდიორობის ხასიათი და გენოციდის ნიშნები (დაიღუპა 3500 კაცი, მთელი აფხაზური მოსახლეობის 3 პროცენტზე მეტიძ. ამ ბოლო წლების განმავლობაში აფხაზეთმა გაუძლო საერთაშორისო იზგოის ყველა გამოცდას, და ბლოკადაც დღემდე არ მოუხსნიათ. იქ არ დაფრინავენ თვითმფრინავები, არ შედიან ხომალდები (იშვიათი გამონაკლისის გარდაძ, არ არსებობს არც ფოსტა, არც ვალუტა (მიმოქცევაშია რუსული რუბლიძ. აფხაზეთში ჩასვლა შესაძლებელია მხოლოდ მანქანით, ან მატარებლით — სოჭიდან.

საქართველო ახლა აფხაზეთს სთავაზობს ფედერაციის პრინციპებზე დაფუძნებულ ფართო ავტონომიას, სწორედ იმას, რაც სურდა აფხაზეთს კონფლიქტამდე, მაგრამ გამანადგურებელი ომის შემდეგ თბილისის უკვე არავის აღარ სჯერა. როცა მოვხვდი აფხაზეთის ოჩამჩირის რაიონში, გამაოგნეს გაპარტახებულმა სოფლებმა, უამრავმა გადამწვარმა სახლმა. . თვით ოჩამჩირეში კი ომის შემდგომი მოსახლეობის საერთო რიცხვიდან — 70 ათასიდან, ახლა მხოლოდ 4 ათასი კაცი ცხოვრობს. მაგრამ აფხაზებმა უკვე დაიწყეს თავიანთი საკურორტო ინფრასტრუქტურის აღდგენა ჩრდილოეთ, ომის შედეგად შედარებით ნაკლებად დაზარალებულ რაიონებში. განსაკუთრებით ეს ეხება გაგრას და ბიჭვინთას — იქაური რელიქტური ფიჭვნარით და ბზის ხეებით. მაღალმთიან რიწის ტბასთან თავისუფლად შეგიძლიათ მისვლა — აფხაზები ირწმუნებიან, რომ არავინ წაგართმევთ მანქანას. გასულ წელს აფხაზეთი მასპინძლობდა მილიონზე მეტ ტურისტს, ძირითადად — რუსეთიდან.



ამ წელიწადნახევრის წინათ გამართულმა პრეზიდენტის დემოკრატიულმა არჩევნებმა (მასზე კრემლს სურდა „გაეყვანა“ მისთვის მისაღები კანდიდატი, როგორც ეს უკრაინაშიც სცადა, მაგრამ მაინც გაიმარჯვა „ხალხის რჩეულმა“ძ, როგორც ვხედავ, გამოიღო თავისი ნაყოფი. ქვეყანა ირჩევს ახალ კურსს, რომელსაც მე ბლოკადურ დემოკრატიას ვუწოდებდი. ათწლეულის განმავლობაში შოკში მყოფი აფხაზეთი იშუშებს ჭრილობებს და თავის მომავალს ხედავს დემოკრატიულ გარდაქმნებში, სამოქალაქო საზოგადოების დამყარებაში, ევროპული ღირებულებების დანერგვაში. ჟურნალისტები, მწერლები, ისტორიკოსები, ახალი ათონის მართლმადიდებლური მონასტრის მღვდლები, რაიონული ადმინისტრაციების ხელმძღვანელები მეუბნებოდნენ, რომ მათზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა სერბეთის და ჩერნოგორიის ე.წ. ცივილიზებულმა „განქორწინებამ“. მაგრამ გაეროს მაღალი თანამდებობის მოხელემ ბულგარელმა ივო პეტროვმა, რომელიც სოხუმში მეთვალყურეთა მისიაში მუშაობს, გამიზიარა თავისი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო აღიარება აფხაზეთს ახლო მომავალში ნამდვილად არ ელის.

მაინც, რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს და რატომ ხდება ყოველივე ეს? ჩვენ ყველამ ვიცით, რომ პატარას არ უნდა აწყენინო, რადგან ეს ცოდვად ითვლება. თუ აფხაზეთი მიიჩნევს თავს ისტორიულად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, თუ იგი არაერთგზის აჯანყებულა როგორც მეფის კოლონიზაციის, ისე ქართული კულტურის თავსმოხვევის წინააღმდეგ, როგორც ეს სტალინის მმართველობის წლებში ხდებოდა, მაშ რატომ ხდება, რომ აფხაზეთს, რომელიც დაიცვა დამოუკიდებლობა სისხლისმღვრელ კონფლიქტში, ყოველმხრივ უშლიან ხელს?

აფხაზთა პრეზიდენტს — 57 წლის სერგეი ბაღაფშს, ყოფილ კალათბურთელს და აგრონომს, პრაგმატულად მოაზროვნე კაცის რეპუტაცია აქვს. მე მას შევხვდი უბრალო მონადირულ ქოხში, რომელიც ჯერ კიდევ ბაღაფშის პრეზიდენტობამდე ააშენეს. ქოხისკენ მიმავალი გზა ოღროჩოღროა. პრეზიდენტს არ სურს ჰქონდეს რაიმე განსაკუთრებული „საგზატკეცილო“ უპირატესობები. ეზოში სახელდახელოდ გაშლილი სუფრა წმინდა მამაკაცური იყო — თვით ბაღაფშის ქართველი ცოლი, აფხაზური სუფრის ტრადიციული კანონების თანახმად, მაგიდას არ უჯდა, მით უმეტეს ეს დაუშვებელი იქნებოდა იმიტომ, რომ ჩვენს გვერდით იყო მისი მამამთილი, თავგამოდებული მეთევზე. დიასახლისი მხოლოდ სტუმრების მომსახურებით იყო დაკავებული. რა თქმა უნდა, რთულია აფხაზეთის მოდერნიზაციის გზა. მაგრამ ბაღაფში დარწმუნებულია, რომ აფხაზეთს აქვს ყველა რესურსი — როგორც ბუნებრივი, ისე მორალური, რათა გახდეს მსოფლიო დემოკრატიული გაერთიანების ღირსეული წევრი. ამისთვის კი, როგორც მას მიაჩნია, საჭიროა ყოველდღიური მუხლჩაუხრელი შრომა. ასეთ სიტყვებს კავკასიაში იშვიათად თუ გაიგონებ კაცი!

მე ვერ შევნიშნე ქართველების მიმართ ბაღაფშის სიძულვილი. დემოკრატიის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი, ამავდროულად ნიშნავს მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზის არჩევას. საქართველოსთან მომავალში ომის გაჩაღების შესაძლებლობას ბაღაფში, პრინციპში, გამორიცხავს, რადგან მიაჩნია, რომ ეს არავის არ აძლევს ხელს. ამით მას სურს მოხსნას აფხაზეთში არსებული დაძაბულობა და მოიზიდოს უცხოელი ინვესტორები. ხოლო მიხეილ სააკაშვილი თუ არ შეწყვეტს ზემოქმედებას აფხაზეთზე, როგორც ამას ბაღაფშის სიტყვებიდან მივხვდი, ეს ნაწილობრივ სოხუმის წისქვილზეც კი მიუშვებს წყალს. მოსკოვი ხომ მხარს უჭერს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, საქართველოსგან განსხვავებით, რომელიც ოცნებობს ნატოში გაწევრებაზე. საქართველოს ხელისუფლების სათავეში პრომოსკოვურად განწყობილი პოლიტიკოსი რომ მოვიდეს, რუსეთი, ალბათ, დაკარგავდა ინტერესს თავისუფალი აფხაზეთისადმი და მას საქართველოსთან შეერთებისათვის უბიძგებდა. აფხაზებს აქვთ ასეთი ანდაზა: „წყალწაღებული გველს ეჭიდებოდაო“, მაგრამ აფხაზეთის პრეზიდენტს ყველაზე ნაკლებად სურს ის, რომ მოსკოვი იხილოს ამ „გველის“ როლში. როგორც მრავალი აფხაზი, ბაღაფშიც შინ რუსულად ლაპარაკობს, აღზრდილია რუსულ კულტურაზე.

**აფხაზების რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობა რუს დემოკრატიულ ოპოზიციას იმის საბაბს აძლევს, რომ ისინი პუტინისადმი გადაჭარბებულ სიმპატიებში დაადანაშაულოს. მაგრამ ამ „გეოპოლიტიკურ პატიმარს“, როგორც აფხაზეთს უწოდა ერთ-ერთმა ამერიკელმა ანალიტიკოსმა, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩრდილოელ მეზობელთან. სხვა საქმეა ის, რომ დღევანდელი აფხაზეთი სულაც არ ცდილობს მოსკოვის პოლიტიკური კურსის იმიტირებას. შესაძლოა, აფხაზეთი გახდეს კავკასიაში გონივრული პოლიტიკის პირველი მერცხალი. ამ კუთხეს ნამდვილად სჭირდება საერთაშორისო გაგება. სწორედ ამ გრძნობით ვტოვებ აფხაზეთს.**

**ვიქტორ ეროფეევი,**
მწერალი

ОГОНЁК № 27.

სურათებზე:

1. ბიჭვინთა — რუსი ტურისტების საყვარელი კურორტი.

2. ომის კვალი, რომელიც სამუდამოდ დარჩა როგორც ქართველების, ისე აფხაზების ხსოვნაში.

3. ბანანების რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩინებული მწვადით აქ ნამდვილად გაგიმასპინძლდებიან.

◉ წიგნი

# დაბერების მთავარი ფაქტორის საიდუმლო

**მაღალპრესტიჟულმა ამერიკულმა სამეცნიერო გამომცემლობამ NOVA-მ (ნიუ-იორკიძ ინგლისურ ენაზე დასტამბა პროფესორ თეიმურაზ ლეჟავას მონოგრაფია „ადამიანის ქრომოსომები და დაბერება: 80-დან 114 წლამდე“. ეს 157-გვერდიანი წიგნი დაბეჭდილია უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე, შეიცავს 16 ცხრილსა და 25 ფერად ილუსტრაციას, ღირს 71 დოლარი. ტირაჟი – 1000.**

NOVA მთელ მსოფლიოში ცნობილი გამომცემლობა, წელიწადში 300-400 დასახელების მეცნიერულ მონოგრაფიას უშვებს. აქ გამოქვეყნებული წიგნი პრინციპულად ახალი სიტყვა უნდა იყოს შესაბამის დარგში და ბუნებრივია, არსებითად განსხვავებული უკვე არსებული ლიტერატურისაგან – სხვანაირად არც გამოსცემენ. ქართველი მკვლევარის ნაშრომმაც, რასაკვირველია, წინასწარ გაიარა უცხოელი ექსპერტების მკაცრი რეცენზირება და უმაღლესი შეფასება და მწვანე შუქი მოიპოვა.

წიგნში შესწავლილია ქრომოსომების (უჯრედში არსებული მემკვიდრული სტრუქტურებისძ ფუნქციური მახასიათებლები ადამიანის დაბერებისას (80 წლის ასაკიდან და ზემოთძ; პირველად არის წარმოდგენილი ქრომოსომათა ფუნქციური ცვალებადობა – ჰეტეროქრომატინიზაცია. დაბერებისას, რაც პირველადია მუტაციურ და რეპარაციულ პროცესებთან შედარებით (მუტაცია – მემკვიდრულ სტრუქტურათა დარღვევები; რეპარაცია – ამ დარღვევათა აღდგენადობა, რომელიც მეორადია ჰეტეროქრომატინიზაციასთან შედარებითძ; ასევე პირველად არის წარმოდგენილი სურათი, რომ დაბერების დროს, როცა ხდება გარკვეული გენების ინაქტივირება, დაკავშირებული დაბერების პათოლოგიათა წარმოშობასა და სასიცოცხლო ციკლის შემოკლებასთან – თურმე სინთეზურ-ცილოვან ბიორეგულატორებს შესწევთ ჩაკეტილი გენების გახსნის უნარი, რითაც ხორციელდება პათოლოგიების აცილება და სასიცოცხლო ციკლის გაგრძელება.

შესაბამისად პირველად დადგინდა, რომ ქრომოსომათა ჰეტეროქრომატიზაცია დაბერების ღერძული ფაქტორი გახლავთ. ავტორის ეს ფუნდამენტური შედეგი მრავალგზის




აღიარებული და ციტირებულია ამ დარგში მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა მიერ (მათ რიცხვში, ამერიკელთაგანაცძ.

რა თქმა უნდა, ასეთი მონოგრაფიის შექმნა თეიმურაზ ლეჟავას მრავალწლიან პროფესიულ გარჯას მოჰყვა, საიდანაც რამდენიმე მომენტს გამოვყოფთ: ჯერ კიდევ 1960-იან წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში გენეტიკის ლაბორატორიის დაარსება; საერთაშორისო სიმპოზიუმის – „დაბერების ციტოგენეტიკის“ შემოღება (უკვე გაიმართა 3 ფორუმი თბილისში და ერთიც იაპონიაში, ჰიროსიმაშიძ; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნიკალური სპეციალობის ჩამოყალიბება – ბიოსამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკა, მოწოდებული იმ სპეციალისტთა მოსამზადებლად, რომლებიც პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ჩაატარებენ სხვადასხვა გენეტიკური დაავადების წარმოშობის ასაცილებლად (მკვდრადშობადობები, სპონტანური აბორტები, მემკვიდრული ავადმყოფობები, კიბო – გარემოს დამაბინძურებელ ფაქტორთა მოქმედების შედეგიძ.

სწავლების დონე თუ როგორია ამ მიმართულებით, ეს ჩანს თუნდაც ბატონი თეიმურაზის აღზრდილი ახალგაზრდა ქალბატონის, დოქტორ ნინო ტაბატაძის მაგალითზე, რომელიც ჩიკაგოს უნივერსიტეტშია მიწვეული და რომელზეც აღფრთოვანებით წერენ ამერიკელი პროფესორები (მკითხველს ცალკე ვპირდებით ამ წერილების გაცნობასძ.

კიდევ რამდენიმე სიტყვა „ადამიანის ქრომოსომებისა და დაბერების“ დამწერზე. ეს მისი მესამე მეცნიერული მონოგრაფიაა. თსუ-ის გენეტიკის კათედრის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა აგრეთვე 100-ზე მეტი შრომისა და გენეტიკის რამდენიმე ხაზით 3 სახელმძღვანელოს ავტორია. უნივერსიტეტშივე უძღვება გენეტიკაში, ციტოლოგიაში, ჰისტოლოგიაში, ემბრიოლოგიაში, ალერგოლოგიასა და იმუნოლოგიაში ხარისხების დაცვის სამეცნიერო საბჭოს. 17 საკანდიდატო დისერტაციის უშუალო ხელმძღვანელია და 2 სადოქტოროს კონსულტანტი.

ბატონი თეიმურაზის მეუღლე ნელი სალაძე გახლდათ გამოჩენილი მხატვრული ტანმოვარჯიშე, არის საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოში დასახელებული იყო საუკუნის მწვრთნელად. ქალბატონი ნელი კვლავაც აქტიურად ილვწის ტანმოვარჯიშე გოგონების აღსაზრდელად.

ნელი სალაძესა და თეიმურაზ ლეჟავას შვილებიც სასახელო ჰყავთ. დოქტორი ალექსანდრე ლეჟავა, მოლეკულური გენეტიკის სპეციალისტი, ტოკიოში მუშაობს. ნინო ლეჟავა საერთაშორისო ჟურნალისტია.

**თამაზ ეზანოიძე**

◉ ჰიპოკრატეს კუთხე

# რისი დაპირისპირება შეგვიძლია ონკოსაფრთხისათვის

**სადღეისოდ კიბო მესამე ადგილზეა სიკვდილიანობის მიხედვით – გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისა და ტრავმების შემდეგ. ფიქრობენ, რომ კიბოს ტიპთა უმეტესობის გამოჩენის რისკი მკვეთრად იზრდება ორგანიზმის დაბერებასთან ერთად. ეს სენი ხდება ყოველი მეოთხე მამაკაცისა თუ ქალის სიკვდილის მიზეზი 50-65 წლის ასაკში. ტენდენცია კი ისეთია, რომ ბოლო დროს ავთვისებიან ახალწარმონაქმნებს უფრო ახალგაზრდებსაც გამოუვლენენ ხოლმე...**

სამწუხაროდ, კიბოსაგან ასპროცენტიანი დაცვა მეცნიერებას აქამდე ვერ მოუფიქრებია. ბევრი ონკოლოგი ამ საშინელი სენის ასაცდენად იყენებს ფიტო, ესე იგი მცენარეულ საშუალებებს – იმუნური სისტემის მასტიმულირებელთ. ისინი ჯანსაღ უჯრედებს იცავენ თავისუფალი რადიკალების, სხვადასხვა კანცეროგენის, ქიმიური აგენტების მხრივ დაზიანებისგან, რომელთაც შემდგომ ონკოკერის განვითარებისაკენ მივყავართ. სწორედ ასეთ მიზნებს ემსახურება რუსეთელი და ფინელი სწავლულების მიერ შემუშავებული ნატურალური ფიტოკომპლექსი **პლანტიოქსი.**

როგორია იმისი მოქმედების მექანიზმი? პლანტიოქსი 23 ნატურალურ ინგრედიენტს შეიცავს, რომლებიც, საბოლოოდ, 100 ორგანულ შენაერთად წარმოსდგებიან. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ეს ნივთიერებანი ანტიკანცეროგენულ და მაიმუნომოდირებელ ქმედებას ეწევიან. პლანტიოქსის შემადგენლობაში შემავალ კომპონენტებს შესწევთ არა მხოლოდ ახალწარმონაქმნთა ფორმირებისა და და განვითარების აშორების უნარი, არამედ უკვე ჩამოყალიბებულ სიმსივნეზე მამუხრუჭებელი ზეწოლისაც. ისინი დაბლოკავენ ავთვისებიანად კეთილთვისებიანი ახალწარმონაქმნების გადაგვარებას.



მართალია, პლანტიოქსი, ეს ნოუ-ჰაუ რუსეთელ სწავლულთა კუთვნილებაა, მაგრამ ფინეთში იწარმოება, სადაც ფარმაცევტული დარგი მაღალ დონეზეა და არის კიდევაც აუცილებელი საწარმოო ბაზა შემადგენლობით ასეთი რთული (23-ინგრედიენტიანი!ძ პრეპარატის გამოსაშვებად. გარანტირებულია მისი მაღალი ევროპული ხარისხი.

პლანტიოქსი გამოიყენება კეთილთვისებიან და ავთვისებიან ახალწარმონაქმნთა პროფილაქტიკის მიზნით, აგრეთვე ონკოწარმონაქმნთა მკურნალობის ტრადიციული კურსების გავლისას. მისი მიღებით ავადმყოფები უფრო მალე მოდიან ჯანზე, ნაკლებად ზიანდებიან ჯანსაღი უჯრედების მემბრანები, ორგანიზმიდან უფრო ჩქარა გამოიდევნებიან რადიონუკლიდები და ტოქსინები.

საქმე ისიც არის, პლანტიოქსი ორგანიზმში ააქტიურებს აპოპთოზის – სიმსივნური უჯრედების თვითგანადგურების პროცესს.

ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში წამლით სარგებლობაში კონსულტაციის მიღება, აგრეთვე პრეპარატის შეძენა შეიძლება მხოლოდ „ჯანმრთელობის ცენტრში“ (მოსკოვიძ, ტელეფონი – 730-28-96 (ცხადია, მოსკოვურიძ.

# მორიელი კიბოს წინააღმდეგ

**ყველაზე საშიში მწერის შხამს სიმსივნის განკურნვაში დახმარება შეუძლია. საქმე ისაა, რომ ყვითელი მორიელის საწამლავში შემავალი ერთ-ერთი ცილა, ავადმყოფის ორგანიზმში მოხვედრილი, ტვინის სიმსივნეთაგან ლამის ყველაზე ხშირის – გლიომის უჯრედებთან დაკავშირებას ესწრაფვის.**

ეგ კია, რომ თვით შხამი კიბოს უჯრედებს ვერა ჰკლავს; სამაგიეროდ, ძალუძს სიმსივნისაკენ იმის „ტრანსპორტირება“, რაც უჯრედს მოსპობს, მაგალითად, რადიოაქტიური იზოტოპებისა.



კომპანია Transmolecular-ში შექმნეს სინთეტიკური „კოქტეილი“, რომელშიც მორიელის შხამისგან მიღებული ცილა იოდის რადიოაქტიურ იზოტოპთან იყო შეერთებული. ამჟამად აშშ-ში 54 კაცი „ატესტირებს“ საკუთარ თავზე ასეთი „კოქტეილის“ საცდელ ნიმუშს.

– ჩვენზე შთაბეჭდილება პრეპარატის ერთობ დაბალმა ტოქსიკურობამ მოახდინა, თუმცა ის შ ხამისაგან, თანაც უსაშინელესი შხამისაგანაა დამზადებული, – ამბობს ალაბამის უნივერსიტეტის რადიაციული ონკოლოგიის პროფესორი ჯონ ფაივიში. – ვიმედოვნებთ, რომ მკურნალობის ახალი მეთოდი მაღალ ეფექტიანობას გამოავლენს.

# ქალები უფრო მალე ბერდებიან, სამაგიეროდ, უფრო დიდხანს ცოცხლობენ

**ამერიკელი მეცნიერები საოცარ დასკვნამდე მივიდნენ, თუმცა ევოლუციის პოზიციიდან ეს დასკვნები აზრს მოკლებული არ არის. სიცოცხლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული ნაკლებად სასიკეთო პროგნოზის მიუხედავად, მამაკაცები ქალებზე ნელა ბერდებიან. მაგალითად, მოხუცებულობის შორსმხედველობა მათ საშუალოდ უფრო გვიან უვითარდებათ, რეაქციის სიჩქარეს კი ისინი უფრო დიდხანს ინარჩუნებენ, ვიდრე ქალები.**

ყოველივე ეს ამერიკელმა მეცნიერებმა დაბერების პროცესებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის შესწავლისას დაადგინეს. შესაბამისად, სხვადასხვა სქესის სიცოცხლის სხვადასხვა ხანგრძლივობა დაბერების ბიოლოგიურ მიმდინარეობას კი არ ასახავს, არამედ იგი სხვა ფაქტორებით განისაზღვრება, მაგალითად, რისკისთვის მზადყოფნის ხარისხით, მიაჩნიათ ბრენტ გრევესის ჯგუფის წევრებს მიჩიგანიდან.

ევოლუციის თვალსაზრისით, ეს აზრს მოკლებული არ არის. ასე მაგალითად, სწრაფი დაბერება მამაკაცებში გაცილებით უფრო მეტად შეამცირებდა შთამომავლობის მიღების შანსებს, ვიდრე ქალებში, ვინაიდან მამაკაცები ბევრად უფრო გვიან აღწევენ მაქსიმალურ ნაყოფიერებას.

გარდა ამისა, ქალების დაბერება გარკვეულ ასაკში აღარანაირად არ მოქმედებს კვლავწარმოებაზე, მაშინ როცა მამაკაცის დაბერება ამცირებს მის შანსებს იყოლიოს შთამომავლობა.



◉ გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– ვმუშაობ თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში პედაგოგად, ვარ საპენსიო ასაკის. გთხოვთ, განმიმარტოთ, მაქვს თუ არა უფლება დავინიშნო პენსია და მივიღო იგი მუშაობის გაგრძელების შემთხვევაში?**

**ნინო მჭედლიშვილი.**

– ქალბატონო ნინო, შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, თქვენ სრული უფლება გაქვთ დაინიშნოთ პენსია და მიიღოთ იგი მუშაობის გაგრძელების შემთხვევაში. აღნიშნულ საკითხზე, სათანადო საბუთებით გირჩევთ მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონულ განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

* * *

**– ვარ საბავშვო ბაღის აღმზრდელი, 37 წლის. ამ რამდენიმე თვის წინათ მოვხვდი საავტომობილო კატასტროფაში და საექიმო კომისიამ II ჯგუფის ინვალიდად მცნო. გთხოვთ, განმიმარტოთ, რომ შევძლო მუშაობის გაგრძელება, მომეცემა თუ არა 33 ლარი პენსია მუშაობის პერიოდში?**

**ნესტან თავაძე.**

– თუ თქვენ შეძლებთ მუშაობას საბავშვო ბაღში აღმზრდელის თანამდებობაზე (ეს სამედიცინო ექსპერტიზის ბიურომ და თქვენი სამსახურის ადმინისტრაციამ უნდა გადაწყვიტონძ, მუშაობის პერიოდში პენსია სრულად მოგეცემათ.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

◉ სხვადასხვა ტალღაზე

# „ჰუქონის“ სასწაული

**იყო ახალგაზრდა კაცი, რომლის სახე მაშინვე ამხელდა ალკოჰოლთან მჭიდრო მეგობრობას: არყის სუნი, ამღვრეული შემოხედვა, მოკანკალე ხელები... სანახაობა ვერაფერი სასიამოვნოა.**

ჰოდა, ამ გალოთებულ ახალგაზრდას მამამ აშშ-დან ჩამოუტანა სამკურნალო სასმელი, სახელად „ჰუქონი“ (ცნობილი მდინარისა და ყურეს მიხედვითძ. ორთვიანი „დასალევი“ კურსი გაიარა და განსაცვიფრებელი შედეგიც მიიღო: სრული გულგრილობა ალკოჰოლისადმი და ზიზღი ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობის მიმართ.

**აშშ-ში ყველა ალკოჰოლიკს არა ჰყავს მამა და არც იქ გასამგზავრებელი ფული აქვს. სრული ინფორმაციის მიღება „ჰუქონის“ გამოყენებისა თუ შეძენის თაობაზე შეიძლება ტელეფონით: 799-32-74.**

# უკვდავების მედალიონი

**პრესაში 1998 წლიდან იბეჭდება სტატიები მოსკოველ გერონტოლოგზე ნ. ისაევზე და იმის თეორიაზე „ორგანიზმის ციკლირება“. თითქოს მეცნიერს გამოეგონოს ხერხი, თუ როგორ უნდა შეაჩეროს კაცმა დაბერების პროცესი და აღარ იავადმყოფოს.**



რამდენად ეფექტიანია მისი მეთოდი? საუკეთესო დამამტკიცებელ „მოდელად“ თვით ავტორი წარმოდგა, რომელმაც ათიოდე წლის წინათ თავისთავზე გამოსცადა მთელი გამოგონება, „უკვდავების მედალიონად“ მონათლული. ჰოდა, 10 წელია არც ბერდება და ერთხელაც არ დაავადებულა.

მედალიონი გაკეთებულია ლითონის კულონის ფორმით და გულზე სატარებელია. შიგნით, მატრიცაზე, ჩაწერილია დაბერების მაბლოკირებელი ინფორმაცია. ეს ინფორმაცია ხელსაწყო „ტრასფერ-П“-ს დახმარებით (რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის სამინისტრო, სარეგისტრაციო ნომერი 95/311-120ძ მედალიონზე იმ ორიგინალური პრეპარატიდან გადაიტანება, რომელიც ავტორის მიერ დაპატენტებულია, როგორც ბიოლოგიური სუბიექტის ონთოგენეზის მმართველი ბიოლოგიურად აქტიური პრეპარატი (პატენტი №2193412ძ.

„უკვდავების მედალიონი“ არა მარტო აჩერებს დაბერებას, არამედ ამაღლებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს ახალ დაავადებებთან, ძველებს კი „აკონსერვებს“ დაბერების შეჩერებასთან დაკავშირებით. მაგალითად, კარგ შედეგს იძლევა ვენების ვარიკოზული გაფართოებებისას, გულის ტკივილებისას, ართრიტების, უძილობის, მამაკაცების პოტენციის დაქვეითების, ჰიპერტონიკთა წნევის აწევის, ქალების კლიმაქტერიული სინდრომისა და სხვა პრობლემების დროს.

**მოსკოვური ტელეფონია: (495ძ 221-11-45**

### თანამშრომლობა

# ბიზნესის წამოწყება გაიოლდება

**საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მისიაა სიცოცხლისუნარიანი ინვესტირების ხელშეწყობა, კერძო სექტორის განვითარება, მცირე და საშუალო ბიზნესის გაფართოება.**

**ამ დღეებში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. იგი მიზნად ისახავს ლიცენზირების, ნებართვების პროცედურების დახვეწას მსოფლიოში აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.**

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია სამინისტროს დახმარებას გაუწევს არსებული პროცესების გაუმჯობესებასა და კონკრეტულ ლიცენზიებსა და ნებართვებთან დაკავშირებული დარგობრივი კანონმდებლობის შექმნაში. მხარეებმა უკვე შეიმუშავეს არსებული ლიცენზირებისა და ნებართვების პროცესის სქემები შვიდ ძირითად სფეროში, რომელიც, უპირველესად, მცირე და საშუალო ბიზნესს შეეხება. ლიცენზიის მსურველები თევზჭერის, წიაღისეულის, ტყით სარგებლობის, მიწისქვეშა სივრცის გამოყენების დარგებში მალე ლიცენზიებს გამჭვირვალე და გამარტივებული პროცედურებით მიიღებენ. გამარტივება ასევე შეეხება წყლის აღების და ბიოლოგიური პესტიციდების წარმოების ნებართვასაც. კორპორაცია სამინისტროსთან ერთად ასევე შეიმუშავებს სალიცენზიო აუქციონის ზოგად წესებს, რაც აღნიშნულ პროცესებს უფრო ნათელს გახდის აუქციონის მონაწილეებისათვის.

მხარეები ასევე აპირებენ ინსპექტირების რიგი სხვა ღონისძიებების განხორციელებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შერჩევით ინსპექტირების სისტემას. იგი მიზნად ისახავს ამ ბიზნესსაქმიანობის შემოწმებას, რომლებსაც რაღაც საფრთხის შექმნა შეეძლებათ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს მიმართ. ასეთი მიდგომა ბიზნესის დიდ ნაწილს გაათავისუფლებს ინსპექტირებისათვის საჭირო დამატებითი რესურსების გამოყოფისაგან და ამავდროულად აღადგენს ინსპექტირების რეალურ დანიშნულებას, რაც საზოგადოების დაცვაში გამოიხატება.



გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან გრძელვადიანი თანამშრომლობა, მათი გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

პროექტის მენეჯერი გიორგი გელოვანი დარწმუნებულია, რომ სამწლიანი ერთობლივი მუშაობის შედეგად ქვეყანაში მივიღებთ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად მომუშავე ლიცენზირებისა და ინსპექტირების სისტემებს. წიაღისეულის გამოყენების მიმართულებით გაიოლდება ბიზნესის წამოწყება. იმოქმედებს ერთი სარკმლის პრინციპი, ყველა საბუთი ერთ ორგანიზაციაში ჩაბარდება და ლიცენზიის გაცემის საქმეც გამარტივდება. ასეთ დროს, რა თქმა უნდა, მეტი გამჭვირვალობაა და მოქალაქესაც აღარ სჭირდება, ირბინოს სხვადასხვა ორგანიზაციებში.

ამუშავდება მეორე მექანიზმიც „დუმილი თანხმობის ნიშანია", რაც იმას ნიშნავს, რომ თუ უარყოფითი პასუხი არ მიიღეს, ე. ი. თქვენი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და ლიცენზია გაიცემა.

**კორპორაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის თაკო რაზმაძის აზრით, პროგრამა სტიმულს მისცემს ადამიანებს მოიფიქრონ და შექმნან სხვადასხვა სახეობის მცირე საწარმოები, რომელთა ლიცენზიის აღება აღარ გაუჭირდებათ, არც შემმოწმებლები შეაწუხებენ. ჩვენი პროექტის მიხედვით მხოლოდ ის ობიექტები შემოწმდება, რომლებიც ეკოლოგიურ საფრთხეს უქმნიან საზოგადოებას. შეირჩევა რისკის ჯგუფში შემავალი ორგანიზაციები და ამის მიხედვით მოხდება მათი შემოწმება. ასე რომ, მცირე ბიზნესის წამოწყებას ამ მიმართულებით ადმინისტრაციული ბარიერები აღარ შეუშლის ხელს.**

**ლალი ქინქლაძე**

### ანტირეფორმა

# მასწავლებელო, წიგნი არა მაქვს!

**წიგნი, სასკოლო სახელმძღვანელო რომ კარგია, ვინ არ იცის. მას რომ გაეცნო, უნდა შეიძინო, მაგრამ დღეს... შეიძინო?!. არადა, ჩვენმა შვილებმა წიგნი კი უნდა იცოდნენ!**

ამაზე დარდობენ, მსჯელობენ შინ და გარეთ ჩვენი მშობლები.

– უმცროსი მეშვიდე კლასში მყავს, უფროსი ბიჭის შარშანდელი სახელმძღვანელო წელს მას არ გამოადგება, ახალი უნდა იყიდოთო, არადა, რით განსხვავდება? – იმას თუ თეთრი ყდა ჰქონდა, ამას ალბათ ყავისფერი ექნება, იაფიც არ გეგონოთ... – ავტობუსის სიღრმიდან ისმოდა ქალბატონის შეშფოთებული ხმა და ვინ იცის, რამდენ იქ მყოფს სექტემბრისთვის საფაციფუცო საქმე შეახსენა და რამდენი კიდევ, მათ შორის მეც, მშობელ-მოსწავლე-მასწავლებლის წინაშე დასმულ ყოველწლიურ თავსატეხზე ჩააფიქრა...

ალბათ, რთული არ არის წარმოიდგინოთ ნებისმიერ კლასში არსებული მდგომარეობა: მოსწავლეების უმრავლესობა უწიგნოდ, ნაწილი – „არასათანადო", ვიღაცისთვის მიუღებელი ავტორის სახელმძღვანელოთი, მცირედი – საჭირო წიგნით და მასწავლებელი – მთელი წლის განმავლობაში მაინც და მაინც ახლად გამოსული სახელმძღვანელოს მოთხოვნით!

სახელმძღვანელოებით მოზარდთა უზრუნველყოფის საქმეში სრული ქაოსი და უწესრიგობაა. თვითონ განსაჯეთ, განათლების სამინისტროს ნებართვით, ნებისმიერი კერძო პირი, ვინც მეტ მარიფათს გამოიჩენს, სახელმძღვანელოს ბეჭდავს. და თუ რომელიმე საგანში ერთდროულად სამი სახელმძღვანელო დამტკიცდა, დაავალებენ სკოლებს: ერთმა ამით უნდა ისწავლოთ, მეორემ – იმითო!.. მშობელიც მიდის და რის ვაივაგლახით იძენს წიგნი, – ამიხსნა ერთ-ერთი წიგნის მაღაზიაში სასკოლო სახელმძღვანელოების ყიდვა-გაყიდვის პრინციპში უკეთ გარკვეულმა გამყიდველმა, თუმცა, ვინაობის გამხელა არ ისურვა.



ის, რაც საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ქაოსი და გაწუკითხაობაა, განათლების მესვეურთათვის სწავლების ახლებური მეთოდების ძიებად და სასწავლო პროგრამების გამარტივება-გამრავალფეროვნებად აღიქმება.

რეფორმაა, ბატონო, რეფორმაა!

პროცესი ყოველწლიურად ახალ-ახალ სახელმძღვანელოებს ბადებს, არადა თითოეული კლასისათვის თაროებზე გასაყიდად მოთავსებული ზოგიერთი საგნის რამდენიმე ალტერნატიულ სახელმძღვანელოს ერთმანეთს, ან წინამორბედ, უკვე დრომოჭმულად მიჩნეულ წიგნებს თუ შევადარებთ, განსხვავება მცირედია: უმნიშვნელო რაღაც დამატებულია, რაღაც ამოღებულია, ან წიგნის ფორმატია შეცვლილი... ეს ავტორს სჭირდება იმისათვის, რომ მომავალ სასწავლო წელს ბავშვმა „ახალი" წიგნი შეიძინოს და, თუნდაც გასულ წელს გამოცემული სახელმძღვანელოთი ვერ ისარგებლოს – საკუთარი დაკვირვების შედეგებს მაცნობს წიგნების მეორე გამყიდველი და თვალსაჩინოებისათვის მესამე კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოს მიჩვენებს, რომელიც შარშანწინ თუ ერთ წიგნად იყიდებოდა და ოთხი ლარი ღირდა, შარშან – ორ ნაწილად, ორ კრებულად გაყვეს და თითოეული სამნახევარი ლარი ღირს.

ასე რომ, სწავლების გამარტივება სახელმძღვანელოდან ტექსტობრივი მასალის შემოკლება-ჩამატებას გულისხმობს; გამრავალფეროვნება კი – არაერთი კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის, სხვადასხვაგვარი ტესტებისა და თითქმის ყველა საგნისთვის სათანადო რვეულების ბეჭდვას. შედეგად, მეშვიდე კლასამდე მოსწავლისთვის საჭირო სახელმძღვანელოების ღირებულება საშუალოდ სამოცდაათ ლარს, მეშვიდე კლასის ზემოთ კი ას ლარს შეადგენს, რაც, სიღარიბის ზღვარზე მყოფი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას დიდ სადარდელს უჩენს. წლეულს წიგნების ღირებულება, სავარაუდოდ, 30-40 პროცენტით მოიმატებს, ეს კი – „მასწავლებელო, წიგნი არა მაქვს! – მოსწავლეებისთვის გაკვეთილის არცოდნისგან თავის დაძვრენის საუკეთესო ფრაზის მარადიულობის შემცველი იქნება.

**როდემდე ვიტყუოთ თავი ამ უზნეო რეფორმით და როდემდე ვძარცვოთ ჩვენი გაღატაკებული მოსახლეობა?**

**სოფო გელიტაშვილი**

### აბა, შენ იცი, აბიტურიენტო!

## გუშინ მეორე ეროვნული გამოცდები დაიწყო

**უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების მსურველთა სია შარშანდელთან შედარებით 2000-ით გაიზარდა და წელს ცენტრში 32791 განაცხადი შევიდა.**

ფაკულტეტებს შორის კვლავ ლიდერობენ იურიდიული, ეკონომიკის სხვადასხვა დარგისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტები. საგრძნობლად იმატა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩაბარების მსურველთა რაოდენობამ, აგრეთვე სამშენებლო ფაკულტეტზე, გადამმუშავებელ, ტექნოლოგიურ, ნავთობის, ბენზინის, გაზის, ტრანსპორტისა და ექსპლოატაციის სპეციალობებზე.

წლეულს გამოცდების ფორმატი იგივე რჩება.

შარშანდელისგან განსხვავებით, წელს აბიტურიენტებმა ტესტებზე პასუხები ცალკე დარიგებულ ფურცლებზე ჩამოაყალიბეს. თითოეულ აბიტურიენტს აქვს ინდივიდუალური კოდი, რომლითაც მხოლოდ საკუთარი ნაშრომის ნახვა შეუძლია.

თითო ნაშრომს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად 3 სპეციალისტი შეაფასებს.

წელს ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის ფორმატი შეიცვალა. თუ შარშან ის ითვალისწინებდა ისეთი ტიპის საკითხებს, რომლებიც აბიტურიენტისგან აუცილებელ საზეპირო ადგილების ცოდნას მოითხოვდა, წელს ენობრივ კომპეტენციაზეა ყურადღება გამახვილებული. ყურადღება ექცევა, თუ რამდენად ფლობს აბიტურიენტი ენას, რათა ჩაიწეროს მოსმენილი ლექცია.

**ნათელა ფაილოძე**

## პირველი საგამოცდო

**ქართული ენისა და ლიტერატურის პირველ საგამოცდო სესიას 7771 აბიტურიენტი აბარებს.**

პირველი საგამოცდო სესია, რეგისტრაციის შედეგების შესაბამისად, 8129 აბიტურიენტს უნდა ჩაებარებინა, თუმცა 358 აბიტურიენტი საგამოცდო ცენტრებში არ გამოცხადდა, აქედან შვიდი აბიტურიენტი გამოცდაზე დაგვიანების გამო არ დაიშვა. უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს თორმეტი ქალაქის თოთხმეტ საგამოცდო ცენტრში დღეს დილით დაიწყო.

7.00 საათზე საქართველოს ეროვნული ბანკის ფილიალებიდან ტესტები საპატრულო პოლიციის, უშიშროების სამსახურის თანამშრომლებისა და დამკვირვებლების თანხლებით 14 საგამოცდო ცენტრში განაწილდა.

8.00 საათზე აბიტურიენტთა რეგისტრაცია, ხოლო 9.00 საათზე ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა დაიწყო.



* * *

**რუსთავის საგამოცდო ცენტრში ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტირების პირველი დღე დილიდან უხმაუროდ და გართულების გარეშე დაიწყო.**

აბიტურიენტთა რეგისტრაცია 8.50 წუთზე უკვე დასრულებული იყო და ტესტირების დაწყებამდე ინსტრუქციების წაკითხვაც დროულად მოხდა. სულ რუსთავის საგამოცდო ცენტრში 33 სექტორია, თითოეულ სექტორი 15 აბიტურიენტზეა გათვლილი. დღევანდელ ტესტირებაზე კი 21 სექტორი იყო დატვირთული. თითოეულ სექტორში ვიდეოთვალია დამონტაჟებული და აბიტურიენტთა მშობლებს საგამოცდო ცენტრის გარეთ, ტესტირების პროცესზე თვალყურის დევნების საშუალება სპეციალურ მონიტორზე აქვთ. რუსთავის საგამოცდო ცენტრის კოორდინატორის ნუგზარ ჩიტაიას განცხადებით, ტესტირების პირველ ნაკადში სულ 387 აბიტურიენტი უნდა გამოცხადებულიყო, თუმცა რეგისტრაცია 376-მა გაიარა. დღეს, დილით ტესტირებაზე 11 აბიტურიენტი არ გამოცხადდა.

**ინტერპრესნიუსი**

### კრიმინალი

## განა რამდენ ხანს უნდა დაიმალოს?

**თბილისის №1 კლინიკური საავადმყოფოდან 10 ივლისს 17 წლის პატიმარი მინდია გოგოჭური გაიქცა. ერთ-ერთი ვერსიით, დაკავებულმა გაქცევა საპირფარეშოს ფანჯრიდან მოახერხა. დილიდან საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებულნი არიან საპატრულო პოლიციის თანამშრომლები და კინოლოგები, თუმცა, პატიმრის პოვნა ვერ ხერხდება.**

თვითმხილველები, რომლებიც ვინაობას არ ამხელენ, ამბობენ, გოგოჭური საპირფარეშოში შევიდა, იქიდან გამოსულმა კი პირდაპირ ცენტრალურ გასასვლელს მიაშურა და უპრობლემოდ დატოვა საავადმყოფოს შენობა, როდესაც ბადრაგი მას პალატაში ელოდებოდა.



საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ყველა იმ ავტომანქანის საბარგულს ამოწმებენ, რომლებიც საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრაობენ.

მინდია გოგოჭური 8 ივლისს, სოლოლაკში მომხდარი ჩხუბის დროს დააკავეს.

**ინტერპრესნიუსი**

# განცხადება

## „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1350 ლარი);

2. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1250 ლარი);

3. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სამმართველოს უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1100 ლარი);

4. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი – 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);

5. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);

6. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სამმართველოს „ნატოს“ კლასიფიცირებული ინფორმაციის განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 900 ლარი).

7. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სამმართველოს „ნატოს“ კლასიფიცირებული ინფორმაციის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);

8. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1100 ლარი);

9. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);

10. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);

11. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი სამმართველოს უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1100 ლარი);

12. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი სამმართველოს მთავარი სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);

13. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) ყველასათვის უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე – პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვთ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

● **საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება (ამასთან პრიორიტეტულია: საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები; იურიდიული; სახელმწიფო მართვა; პოლიტოლოგიური ან ისტორიული);

–სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის სულ მცირე 5 წლის სტაჟი;

– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

– საქართველოს კონსტიტუცია, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონები, საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა.

– კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა.

● **საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება (ამასთან პრიორიტეტულია: საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები; იურიდიული, სახელმწიფო მართვა; პოლიტოლოგიური ან ისტორიული);

–სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის სულ მცირე 4 წლის სტაჟი;

– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

– საქართველოს კონსტიტუცია, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონები, საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა.

– კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა.

● **საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე.**

– უმაღლესი განათლება (ამასთან პრიორიტეტულია: საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები; იურიდიული, პოლიტოლოგიური; დასავლეთ ევროპა ან ისტორიული);

–სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის სულ მცირე 3 წლის სტაჟი;

– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

– საქართველოს კონსტიტუცია, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა.

– კომპიუტერის მუშაობის ცოდნა.

● **საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება (ამასთან პრიორიტეტულია: საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები; იურიდიული, პოლიტოლოგიური; დასავლეთ ევროპა ან ისტორიული);

–სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის სულ მცირე 6 თვის სტაჟი;

– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

– საქართველოს კონსტიტუცია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა.

– კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა.

● **საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება (ამასთან პრიორიტეტულია: საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები; იურიდიული, პოლიტოლოგიური, დასავლეთ ევროპა ან ისტორიული);

– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

– საქართველოს კონსტიტუცია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა.

– კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა.

● **საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სამმართველოს „ნატოს“ კლასიფიცირებული ინფორმაციის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;

– სახელმწიფო საიდუმლოებასთან I დონის დაშვება;

– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

– სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და „ნატოს“ უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრული კლასიფიცირებული ინფორმაციის დაცვისა და წარმოების ნორმების ცოდნა;

– კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა.

● **საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სამმართველოს „ნატოს“ კლასიფიცირებული ინფორმაციის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;

– სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება;

– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

– სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და „ნატოს“ უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრული კლასიფიცირებული ინფორმაციის დაცვისა და წარმოების ნორმების ცოდნა;

– კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა.

● **საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება (ამასთან პრიორიტეტულია: საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები; იურიდიული; პოლიტოლოგიური; დასავლეთ ევროპა ან ისტორიული).

–სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის სულ მცირე 3 წლის სტაჟი.

– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

–საქართველოს კანონმდებლობის ცოდნა, საქართველოს კონსტიტუცია, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობა.

– კომპიუტერით მუშაობის ცოდნა.

● **საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება (ამასთან პრიორიტეტულია: საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები; იურიდიული; პოლიტოლოგიური; დასავლეთ ევროპა ან ისტორიული);

–სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის სულ მცირე 6 თვის სტაჟი;

– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

– საქართველოს კონსტიტუცია, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;

– კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა.

● **საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება (ამასთან პრიორიტეტულია: საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები; იურიდიული; პოლიტოლოგიური; დასავლეთ ევროპა ან ისტორიული);

– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

– საქართველოს კონსტიტუცია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;

– კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა.

● **საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება (საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები ან იურიდიული);

–სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის სულ მცირე 3 წლის სტაჟი;

– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

– საქართველოს კონსტიტუცია, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონები, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ ვენის 1969 წლის კონვენცია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;

— კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა.

● **საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

— უმაღლესი განათლება (საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები ან იურიდიული);

—სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის სულ მცირე 6 თვის სტაჟი;

— ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

— საქართველოს კონსტიტუცია, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონები, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ ვენის 1969 წლის კონვენცია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;

— კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა.

● **საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი სამმართველოს წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

— უმაღლესი განათლება (საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები ან იურიდიული)

— ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

— საქართველოს კონსტიტუცია, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონები, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ ვენის 1969 წლის კონვენცია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;

— კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა.

კონკურსს ატარებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

საბუთები მიიღება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

**დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. № 20. ტელ: 91-20-58.**

**საჯარო სამსახურის ბიურო.**

## ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ავტოტრანსპორტის პრივატიზებას:

| № | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | 1991 | 1300 | 100 | 400 |
| 2 | [illegible] | [illegible] | 1997 | 2300 | 100 | 800 |
| 3 | [illegible] | [illegible] | 1990 | 2300 | 100 | 500 |
| 4 | [illegible] | BMW-524 [illegible] | 1990 | 5800 | 200 | 1800 |
| 5 | [illegible] | [illegible] | 1985 | 800 | 50 | 250 |
| 6 | [illegible] | [illegible] | 1988 | 1000 | 100 | 300 |
| 7 | [illegible] | [illegible] | 1996 | 4400 | 200 | 1500 |
| 8 | [illegible] | [illegible] | 1985 | 1900 | 100 | 400 |
| 9 | [illegible] | [illegible] | 1987 | 1000 | 100 | 250 |

განაცხადები მიიღება აუქციონის ჩატარებამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში, 2006 წლის 9 აგვისტოს ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 14.00 სთ-დან 17.00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 10 აგვისტოს 14.00 საათზე. მისამართი: თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 4, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოში.

ინფორმაცია გამოქვეყნებულია 2006 წლის 8 ივლისის № 27 გაზეთ „მესაკუთრეში“-ში.

## ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ავტოტრანსპორტის პრივატიზებას:

| № | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | 1991 | 1300 | 100 | 400 |
| 2 | [illegible] | [illegible] | 1997 | 2300 | 100 | 800 |
| 3 | [illegible] | [illegible] | 1990 | 2300 | 100 | 500 |
| 4 | [illegible] | BMW-524 [illegible] | 1990 | 5800 | 200 | 1800 |
| 5 | [illegible] | [illegible] | 1985 | 800 | 50 | 250 |
| 6 | [illegible] | [illegible] | 1988 | 1000 | 100 | 300 |
| 7 | [illegible] | [illegible] | 1996 | 4400 | 200 | 1500 |
| 8 | [illegible] | [illegible] | 1985 | 1900 | 100 | 400 |
| 9 | [illegible] | [illegible] | 1987 | 1000 | 100 | 250 |

განაცხადები მიიღება აუქციონის ჩატარებამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში, 2006 წლის 9 აგვისტოს ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 14.00 სთ-დან 17.00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 10 აგვისტოს 14.00 საათზე. მისამართი: თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 4, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოში.

ინფორმაცია გამოქვეყნებულია 2006 წლის 8 ივლისის № 27 გაზეთ „მესაკუთრეში“-ში.

## განცხადება

**2006 წლის 1 აგვისტოს 12 საათზე დანიშნულია სს „ოქროს საწმისი“ მ. ს. ნ. სი-ის აქციონერთა საერთო კრება.**

**მისამართი: თბილისი, გორგასლის ქ. №40.**

**დღის წესრიგი:**

**1. წლიური ანგარიშისა და ბალანსის დამტკიცება;**
**2. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;**
**3. 2006 წლისათვის აუდიტორის არჩევა;**
**4. ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოში.**

**სს-ის აქციონერებს გთხოვთ აქციონერთა საერთო კრებაზე დასასწრებად წარმოადგინოთ „ამონაწერი რეესტრიდან“, რისთვისაც მიმართეთ დამოუკიდებელ რეგისტრატორს შპს „ეროვნული რეესტრი“, მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №74, მე-9 სართული, 901-ე ოთახი.**

**სამეთვალყურეო საბჭო.**

**შპს „რკინიგზის რეფრიჟერატორული და იზოთერმული ვაგონების გადაზიდვის კომპანია“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: ზესტაფონის ქ. № 22 ა, ტელ: 56-80-14; 94-21-70.**

შპს „სნო“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: თბილისი, აღმაშენებლის გამზირი 119/1. ტელ.: 94-31-79.

**„ამხანაგობა „ახალი მენეჯმენტი“ წყვეტს ფუნქციონირებას და ხდება მისი ლიკვიდაცია, წესდებით გათვალისწინებული ფუნქციების ამოწურვის გამო“.**

**დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: კარგარეთელის ქ. №1.**

**მიმდინარეობს შპს „ადექს სერვისის“ ლიკვიდაცია.**

**დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ ტელ: 899-500894.**

**ფინანსური პოლიცია**

# უნივერსიტეტის ქონებასაც იტაცებენ...

**ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოში მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.**

საქმე ეხება ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტს, სადაც ფინანსური პოლიციის წინასწარი ინფორმაციით დარღვევებია აღმოჩენილი. გამოძიების ინფორმაციით, უნივერსიტეტში ადგილი აქვს ქონების მითვისება–გაფლანგვას. ჩატარდება საბუღალტრო დოკუმენტაციის კომპლექსური რევიზია, რაც მითვისებული და გაფლანგული თანხის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს.

* * *

**ამავე დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველომ უაქციზო სიგარეტის შენახვის ფაქტზე ენგურ ჭუბაბრია დააკავა.** ჭუბაბრია ქალაქ ხაშურში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს, სადაც ის 5 ათას კოლოფ უაქციზო სიგარეტს რეალიზაციის მიზნით ინახავდა. ექვმიტანილი ფინანსურმა პოლიციამ უკვე დაკითხა და წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანა.

* * *

**ასევე იმერეთის სამმართველომ რეგიონში მდებარე ექვს ტოტალიზატორში დარღვევები აღმოაჩინა. ფინანსურმა პოლიციამ ქალაქ სამტრედიაში მდებარე სამი ტოტალიზატორის – ი/მ „ზურაბ ნიკურაძის“, ი/მ „გიორგი ჯავრიშვილის“ და ი/მ „გიორგი ნიკოლეიშვილის“ შემოწმება დაიწყო.** ქალაქ ზესტაფონში კი ტოტალიზატორი ი/მ „ალექსანდრე ჭიჭინაძე“ და შპს „ტოტალიზატორი ფორტუნა“ მოწმდება, ქალაქ წყალტუბოში – ი/მ „ზაზა ქუთათელაძე“.

ფინანსური პოლიციის წინასწარი ინფორმაციით ექსივე ტოტალიზატორის ხელმძღვანელობა ყალბ ანგარიშ-ფაქტურებს იყენებს, რის გამოც ტოტალიზატორებიდან ამოღებულია საბუღალტრო დოკუმენტაცია და რევიზია უტარდება.

* * *

**ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველომ ალურიცხავი სამრეწველო პროდუქციით დატვირთული ოთხი ავტომანქანა დააკავა.** ფინანსურ პოლიციაში განაცხადეს, რომ დაკავებისას მძღოლებმა სამართალდამცველებს ტვირთის წარმომავლობის დამადასტურებელი ვერანაირი დოკუმენტი ვერ წარუდგინეს. სავარაუდოდ, კონტრაბანდა საქართველოში ბაქოდან არის შემოტანილი.

მუნდიალი – 2006

# ვივა – იტალიას, ვავა – „ზიზუს“



მეოთხედი საუკუნის წინათ იტალიურ ფეხბურთში აგორებულმა კორუფციულმა სკანდალმა „სკუადრა აძურაზე“ სასიკეთოდ იმოქმედა – ენცო ბეარზოტის გუნდი ესპანეთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატიდან სამშობლოში მესამედ მოპოვებული ტიტულით დაბრუნდა. ისტორია გამეორდა – გერმანული მუნდიალის ტრიუმფატორი მარჩელო ლიპის ფორმაციის კრებული გახდა, თანაც მაშინ, როცა აპენინებზე მორიგი ვნებათაღელვა მძვინვარებს – მიზეზი ისევ გაყიდულ-გარიგებული თამაშები და მსაჯთა ოინებია. სხვათა შორის, ბევრი იმედოვნებს, რომ „ბერლინის ალებით“ სუპერკლუბები და მათი ვარსკვლავები თავს დააღწევენ მართლმსაჯულებას, რაც ერთობ საეჭვოა – იქ, სადაც კანონი კანონობს, ჩვენგან განსხვავებით, შემამსუბუქებელი გარემოებები პირობითი ცნებაა, იტალია კი ცივილიზებული სამყაროს ისეთ ქვეყნად ითვლება, სადაც დამსახურებისამებრ მიუზღავენ ხოლმე საკადრისს რანგისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად – შემოდგომაზე დანიშნული ექსპრემიერ სილვიო ბერლუსკონის სასამართლო პროცესი, ვფიქრობ, ამის საუკეთესო დადასტურებაა.

კიდევ ერთი პარალელი უახლოეს წარსულთან – 1990 წელს ბუნდესნაკრებმა საწადელს რომში მიაღწია, ამჯერად კი როლები გაიცვალა – ბერლინი „ცისფერმა გუნდმა“ აიღო.

რაც შეეხება თვით ფინალს, როგორც ყველა შეხვედრას, მასაც ჰყავდა გმირები და ანტიგმირები. პირველებს უდავოდ უნდა მივაკუთვნოთ კანავარო, პირლო, მატერაცი და გროსო, მეორეებს კი ტრეზეგე და, ჰოი საოცრებავ – ზიდანი, რომელმაც, უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ ალზევებიდან დაცემამდე ერთი ნაბიჯია: „ზიზუს“ საქციელი იმასაც მოწმობს, რომ გენიალურობასთან ერთად ტომით ალჟირელის გახედვნა, საფრანგეთში დაბადებისა და გაზრდის, აგრეთვე დიდების ზენიტში ყოფნის მიუხედავად, მეტისმეტად ძნელი საქმე ყოფილა. სხვათა შორის, როცა მის უსახელოდ დასრულებულ კარიერაზე ვსაუბრობთ, უნინდელი წითელ-ყვითელი ბარათების ბუკეტიც გვახსენდება.

გერმანულ მუნდიალს მომავალში მრავალჯერ დავუბრუნდებით, მანამდე კი შეგახსენებთ, რომ 2010 წელს ელიტა სამხრეთ აფრიკაში შეიკრიბება.

### გამოთხოვება მუნდიალთან

**ვერდის ქვეყანას რას ვერჩი,**
**ჩემპიონია როცა.**
**– ბერლინო, არივე დერჩი,**
**იტალიავ კი – ფორცა!**

**მე აქ, თბილისში, სხვას ვჩივი,**
**ფიქრი გამხელას ითხოვს:**
**ავტეხეთ ისეთი ჟივი,**
**სოხუმს ჩავედით თითქოს...**

**მოტობურ თელია**

ორბიტაზე

## ფედერერი – ოთხგზის გმირი

**ბოლო ორ წელიწადში რვაჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს შვეიცარიელი როჯერ ფედერერი და ესპანელი რაფაელ ნადალი. მერვე კვირას უიმბლდონი იყო. ჩოგბურთის მოყვარულებმა იციან, რომ უიმბლდონის შეხვედრამდე ანგარიში ესპანელის სასარგებლოდ იყო – 6:1.**



არადა, პლანეტის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე შვეიცარიელმა უკვე ზედიზედ სამჯერ იზეიმა გამარჯვება. ისე რომ, მსოფლიოს პირველი ჩოგანოსანი მოვალე იყო, გაემარჯვა.

ფედერერმა ბრძოლა სწორედ ასეთი აღტკინებით დაიწყო და პირველ სეტში „მშრალად“ გაიმარჯვა – 6:0, სამაგიეროდ, ნამდვილად „ფინალური“ პაექრობა გამოვიდა მეორე და მესამე სეტში – პირველი როჟემ მოიგო 7:6 (7:5), მეორე კი წააგო – 6:7 (2:7).

მეოთხე სეტი კი, ნადალის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, უკვე ფედერერისა იყო – 6:3 და ზედიზედ მეოთხე გამარჯვება უიმბლდონზე!

ქალთა შორის პირველი ფრანგი მორისმო იყო. პლანეტის პირველმა ჩოგანოსანმა, ბელგიელი ენენ-არდენი დაჯაბნა – 2:6, 6:3, 6:4.

## ლამაზმანების ტელემაღაზია

**ალბათ გახსოვთ, რამდენჯერმე ვწერდით ინგლისის ნაკრების ფეხბურთელების ცოლებისა და მათი „მოადგილეების“ გერმანიაში, საკურორტო ბადენ-ბადენის სასტუმროში ერთად ცხოვრებისა და მაღაზიებში ერთობლივი რეიდების შესახებ. სწორედ ამან უბიძგა ბრიტანული ტელევიზიის მუშაკებს გადაეღოთ ახალი რეალიტ-შოუ, რომელშიც, სხვებთან ერთად, მთავარი მოქმედი პირები იქნებიან უეინ რუნის დაქალი კოლინ მაკლაფლინი, ჯერმეინ დეფოს „გულის ვარდი“ შარლოტა მირსი და ჯორჯ ბესტის ქვრივი ალექსი (ფოტოზე).**

რეალიტ-შოუს ორგანიზატორების იდეის მიხედვით, თითოეული ქალბატონი გახსნის TB – მაღაზიას, რომელშიც მაყურებლებს შესთავაზებენ თავისებურ საქონელს. ვინც ყველაზე მეტს ივაჭრებს, აღიარებენ შოუს გამარჯვებულად, ხოლო შემოსულ თანხას საქველმოქმედოდ გამოიყენებენ.

მოსაწვევები გაუგზავნეს აგრეთვე სტივ ჯერარდის საცოლეს ალექს კურანსა და ტეო უოლკოტის 17 წლის მეგობარს მელანი სლეიდს. ამ უკანასკნელისთვის ასეთი საქმიანობა ახალი როდი იქნება, ის „არსენალის“ ფეხბურთელის გაცნობამდე სუპერმარკეტში გამყიდველად მუშაობდა.



ფეხბურთი

# ესაა „დინამო“?!

**ინტერტოტოს თასის გათამაშების II რაუნდის საპასუხო მატჩს ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დაახლოებით ათი ათასი მაყურებელი ესწრებოდა. თანამემამულეთაგან ათწლეულების განმავლობაში მოპოვებული წარმატებებით განებივრებულ ქართველ გულშემატკივარს ასეთი რაოდენობის აუდიტორია მართლაც რომ არ გააკვირვებს, თუმცა ისიც სათქმელია, თუ რამ მიიყვანა ამდენი ქომაგი დედაქალაქის პრესტიჟულ უბანში.**

ვითომ, თბილისის „დინამოს“ ოსტატობამ? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხის გაცემა გვიწევს. რაც შეეხება ჭეშმარიტებას, იგი ასეთი გახლავთ – ავსტრიის „რიდთან“ შეხვედრის დასრულების შემდეგ სპეციალურად დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური თამაშის პირდაპირი რეპორტაჟი იწყებოდა და თინეიჯერთა უმეტესობა სწორედ ამ დროს აპირებდა მოჭარბებული ემოციების გადმოფრქვევას.

ისე, კაცმა რომ თქვას, მთლად გასამტყუნარიც არაა ჩვენი ახალგაზრდობა – თანდათანობით ქართული საკლუბო ფეხბურთის განსახიერება (გვინდა თუ არა, ქვეყნის თორმეტგზის ჩემპიონები ბევრს ჯერაც ასეთად მიაჩნია) საკუთარ ხელწერას კარგავს და საექსპერიმენტო ბაზას ემსგავსება. ეს თანაბარწილად ეხებათ როგორც მწვრთნელს (გსმენიათ რამე კახა კაჭარავას დამსახურებებზე?), ისე „ფეხბურთელებს“ – ვინც კი გარკვეული ღირსებებით იყო დაჯილდოებული, ან გაყიდეს, ანაც გაანათხოვრეს. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ხელ- (უკაცრავად, – ფეხ) მოცარულთა თავშესაფრად ქცეულ გუნდს ალპური სახელმწიფოს შვილებმა მორიგი ალიყური უთავაზეს – 1:0 (პირველი მატჩი 3:1). არადა, ვინც სტუმართა გამარჯვებას დაესწრო, დაგვეთანხმება, რომ ესაა საშუალოზე საშუალო დონის მეტოქე.

**დანარჩენი შედეგები:** „დინაბურგი“ – **„ჰიბერნიანი“** 0:3 (0:5), **„ეთნიკოსი“** – „ოსიეკი“ 0:0 (2:2), **„კალმარი“** – „ტამპერე“ 3:2 (2:1), **„დნეპრი“** – „ნიტრა“ 2:0 (1:2), „ლეხი“ – **„ტირასპოლი“** 1:3 (0:1), **„მარიბორი“** – „ზეტა“ 2:0 (2:1), **„ქაისერისპორი“** – „სოპრონი“ 1:0 (3:3), „ზრინსკი“ – **„მაქაბი“** 1:3 (1:1), „ლოკომოტივი“ – **„ფარული“** 1:1 (1:2), „კეფლავიკი“ – **„ლილესტრიომი“** 2:2 (1:4), „რიპო“ – **„მოსკოვი“** 0:1 (0:2), „შელბურნი“ – **„ოდენსე“** 1:0 (0:3), „ტეპლიცე“ – **„გრასხოპერსი“** 0:2 (0:2).

* * *

***დღეს ვაკის სტადიონზე 19 საათზე კიდევ ერთი საერთაშორისო მატჩია დანიშნული – ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის სტარტზე ბოლნისის „სიონი“ აზერბაიჯანის „ბაქის“ მასპინძლობს. ვიმედოვნებთ, ქვემოქართლელები მაინც მოუფრთხილდებიან ქართული ფეხბურთის პრესტიჟს.***

მხატვრული ტანვარჯიში

# სტუმრებმაც იყოჩაღეს

**ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის თასი ჰქვია. შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად რუსეთის, უკრაინის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. გამარჯვებულები და პრიზიორები ოთხ ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდნენ როგორც მრავალჭიდში, ისე ცალკეული საგნებით ვარჯიშში. გაუწყებთ მათ ვინაობას:**

**მრავალჭიდი. ათწლიანები.** 1. იულია ზახაროვა (რუსეთი), 2. მარიამ აფხაზავა, 3. სალომე ბურდილაძე (ორივე – საქართველო); **თოთხმეტწლიანები:** 1. ელიზავეტა გრიბანოვა (უკრაინა), 2. მეგი ბალახაშვილი (საქართველო), 3. ლეილა შამილოვა (აზერბაიჯანი). **ახალგაზრდები.** 1. ნინო ქურდაძე, 2. ნათია ნაკაიძე, 3. მარიამ ჯანტეზი (სამივე – საქართველო). **დიდები.** 1. თათია დონაძე (საქართველო), 2. ოლია სკუდარნოვა (უკრაინა), 3. ელენე გავარდაშვილი (საქართველო) და თამარ ვეკუა (რუსეთი).

ამას წინათ საქართველოს ჩემპიონატში ქეთი ხატიაშვილმა პირველობა არავის დაუთმო, ამ ტურნირზე კი ორი სახეობის შემდეგ ძველმა ტრავმამ შეუშალა ხელი, მრავალჭიდში ბოლომდე ეასპარეზა.

შეჯიბრების მეორე დღე ცალკეული საგნებით პაექრობას დაეთმო. ასაკების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: იულია ზახაროვა (საგნებით და უსაგნოდ), ელიზავეტა გრიბანოვა (სახტუნელა, ბაფთა), ლეილა შამილოვა (რგოლი, გურზები), ნინო ქურდაძე (სახტუნელა, გურზები), ნათია ნაკაიძე (რგოლი, ბაფთა), თათია დონაძე (სახტუნელა, ბურთი, ბაფთა) და ქეთი ხატიაშვილი (გურზები).



საგულისხმოა, რომ რუსეთის სახელით მოასპარეზე თამარ ვეკუამ 4 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

**გიორგი გაგუა**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

ძიუდო

# გოგონებმა ვაჟებს აჯობეს

**სტამბოლში ძიუდოისტთა „ბოსფორის თასის“ გათამაშებამ 23 ქვეყნის წარმომადგენლებს მოუყარა თავი. მოასპარეზეთა შორის იყო საქართველოს ნაკრები. წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი გოგონები: თინათინ დინუაშვილმა (63) და ნინო ოქელაშვილმა (70), მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. ლია გვიანიძემ (78) და მარიამ ჩადუნელმა (+78) მესამე ადგილები დაიკავეს.**

ვაჟთაგან საქართველოს ნაკრებს ერთადერთი ბრინჯაოს მედალი ილია მჭედლიშვილმა (60) მოუტანა.



ნინო ოქელაშვილის მორიგი გამარჯვება.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

ხელბურთი

# ქართველ სტუდენტებს „ვერცხლი“ ხვდათ

**გდანსკში (პოლონეთი) დამთავრდა სტუდენტ ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობდა.**

B ჯგუფში შესანიშნავად ითამაშა საქართველოს ნაკრებმა, არადა ჩვენმა ხელბურთელებმა ტურნირი პოლონელებთან დაზავებით დაიწყეს, შემდეგ უნგრელებთან დამარცხდნენ, მომდევნო სამ მატჩში კი წარმატებას მიაღწიეს – ჯერ ხორვატებს მოუგეს, შემდეგ – ჩეხებს, ბოლო ტურში კი 6 ქულით დაწინაურებული იაპონელები დაამარცხეს 36:32 და 7 ქულით ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე-მეოთხე ადგილები 6-6 ქულით ჩეხებმა, იაპონელებმა და უნგრელებმა გაინაწილეს. მასპინძლები 3 ქულით მეხუთე ადგილზე გავიდნენ, ხორვატეთის ნაკრებმა ყველა მატჩი წააგო.

A ჯგუფში საუკეთესო იყო რუსეთის ნაკრები, რომელმაც ყველა ორთაბრძოლა მოიგო და ოქროს მედლებისთვის საქართველოს გუნდს შეხვდა.

მატჩი საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. ჩრდილოელმა მეზობლებმა ბოლო წამებზე შეძლეს ქართველი ხელბურთელების ერთი ბურთის სხვაობით (31:30) ძლევა. მესამე ადგილზე ბელარუსის ნაკრები გავიდა, რომელმაც გადამწყვეტ პაექრობაში ჩეხეთს აჯობა – 35:27.

ჭიდაობა

## თურქული ბარიერი ვერ გადალახა

**უნგრეთის ქალაქ სომბათჰეიში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე საქართველოს წარმომადგენლებმა მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ეს ჯილდო ქუთაისელ ლაშა გოგიტაძემ (50) ხვდა.** პირველ ორ შეხვედრაში ქართველმა ფალავანმა სომეხ ტიგრან გევორქიანს და რუს ანდრეი ბულეევს სძლია. ნახევარფინალში თურქ ჰარუნ ბოზოღლუსთან დამარცხდა, სამაგიეროდ, „ბრინჯაოსთვის“ პაექრობაში უკრაინელ მიხაილ ტიმოშჩენკოს აჯობა.

## მეგობრის ხსოვნას

# მალხაზ ყიფშიძე



ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ მძიმე დანაკარგი განიცადა. გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ახალგაზრდობის მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეორიული და ზოგადი თბოტექნიკისა და თბოენერგეტიკული დანადგარების კათედრის გამგე, პროფესორი **მალხაზ ყიფშიძე.**

იგი დაიბადა 1938 წლის 12 იანვარს ქ. თბილისში ცნობილი ეკონომისტისა და მოღვაწის იესე ყიფშიძის ოჯახში.

1955 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის 55-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე.

1960 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1962-1965 წლებში იგი სწავლობდა მოსკოვის ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1966 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1965-1971 წლებში მ. ყიფშიძე მუშაობდა თბილისის სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ უმცროსი, ხოლო შემდეგ უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

1971 წლიდან გარდაცვალებამდე ბატონმა მალხაზმა ილვაწა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დოცენტის, პროფესორის, ხოლო, 1977 წლიდან კი – თეორიული და ზოგადი თბოტექნიკისა და თბოენერგეტიკული დანადგარების კათედრის გამგის თანამდებობებზე.

1998-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პირველ მოადგილედ.

პროფესორმა მ. ყიფშიძემ მთელი თავისი სამეცნიერო შემოქმედებითი საქმიანობა მიუძღვნა ენერგეტიკულ დანადგარებში აღძრული არასტაციონარული თერმოჰიდროდინამიკური პროცესების კვლევას ამ დანადგარების საიმედოობისა და უსაფრთხოების ამაღლების მიზნით. ამ კვლევების შედეგებმა პრაქტიკული გამოყენება ჰპოვეს წყალ-წყლიან რეაქტორებიანი ატომური ელექტროსადგურების ავარიული რეჟიმების გაანგარიშებისა და კონსტრუქციული სქემურ-შეთანწყობითი გადაწყვეტების მიღებაში. აღნიშნული მიმართულებით შესრულებული სამეცნიერო კვლევის შედეგები ასახულია მის სადოქტორო დისერტაციაში: „წყალ-წყლიანი ბირთვულ-ენერგეტიკული დანაგდარების პირველადი კონტურის ჰერმეტულობის დარღვევისას წარმოქმნილი არასტაციონარული პროცესების თერმოჰიდროდინამიკა“, რომელიც წარმატებით დაიცვა 1984 წელს მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტში.

ენერგეტიკული დანადგარების საიმედოობისა და უსაფრთხოების დარგში პროფ. მ. ყიფშიძის მიერ მიღებულმა მეცნიერულმა შედეგებმა აღიარება ჰპოვეს არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. 1975-1988 წლებში მ. ყიფშიძის უშუალო ხელმძღვანელობით წარმატებით შესრულდა ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო საქართველოსა და პრაღის პოლიტექნიკურ ინსტიტუტებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული სამუშაოს შედეგები დაინერგა ქ. ბოგუნიცების (ჩეხეთი) ატომურ თბოელექტროსადგურში, ხოლო ჩეხოსლოვაკიის ატომური ენერგიის გამოყენების კომისიის სპეციალური დადგენილებით პროფ. მ. ყიფშიძის მეცნიერული ნაშრომი გამოიცა ჩეხურ ენაზე მონოგრაფიის სახით.

პროფ. მ. ყიფშიძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდა სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობითა და ხელშეწყობით არის შესრულებული 4 სადოქტორი და 12 საკანდიდატო დისერტაცია. იგი 180 ნაშრომის ავტორია, რომელთა შორის 3 მონოგრაფია და 30 სახელმძღვანელოა. მისი ხელმძღვანელობით შესრულებული სახელმძღვანელოსათვის „ენერგეტიკული დანადგარები“, იგი 1990 წელს დაჯილდოვდა საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიით, ხოლო 2005 წელს კი საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრემიით სახელმძღვანელოსათვის „საქვაბე დანადგარები“. პროფესორ მ. ყიფშიძის ლექციები გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალური დონით, რითაც სტუდენტებში დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

1980 წელს პროფ. მ. ყიფშიძე აირჩიეს ატომური ენერგიის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული ატომბირთვული ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საკავშირო საკოორდინაციო საბჭოს, ხოლო 1987 წელს – ენერგეტიკის საკავშირო სასწავლო-მეთოდური გაერთიანების კომისიის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ენერგეტიკის პრობლემების სამეცნიერო საბჭოს წევრად. 1992 წელს იგი აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1996 წელს კი ამავე აკადემიის აკადემიკოსად. 1995 წელს ბატონი მალხაზი აირჩეულ იქნა საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის წევრად და ვიცე-პრეზიდენტად, 2002 წელს კი ინჟინერ-ენერგეტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის და ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო საზოგადოება Sigma Xi-ის საქართველოს განყოფილების წევრად. მრავალი წლის განმავლობაში იყო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოების თავმჯდომარე.

პროფ. მ. ყიფშიძე აქტიურად მონაწილეოდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ენერგეტიკის პრობლემათა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ და სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომისიის წევრად.

პროფ. მ. ყიფშიძე გულისხმიერი, პრინციპული და მაღალი ზნეობის პიროვნება იყო. კათედრის უნარიანმა ხელმძღვანელობამ, აქტიურმა სამეცნიერო-პედაგოგიურმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ განაპირობა ის დამსახურებული პატივისცემა და ავტორიტეტი, რომლითაც სარგებლობდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის.

წავიდა ჩვენგან სახელოვანი მამულიშვილი, მეცნიერი და აღმზრდელი, პროფესორი მალხაზ ყიფშიძე, რომელმაც ღირსეულად მოიხადა ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი;**
**ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი;**
**თეორიული და ზოგადი თბოტექნიკისა და**
**თბოენერგეტიკული დანადგარების კათედრა**

## არდავიწყება

# მალხაზ ყიფშიძე



დიდი დანაკლისი განიცადა საქართველოს ენერგეტიკამ. გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ღირსეული მამულიშვილი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მალხაზ ყიფშიძე.**

მალხაზ ყიფშიძე დაიბადა 1938 წელს ქალაქ თბილისში. 1960 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი სპეციალობით „სამრეწველო თბოენერგეტიკა“. თავისი სამეცნიერო საქმიანობა დაიწყო ა. დიდებულიძის სახელობის საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. შემდგომ ჩაირიცხა მოსკოვის გ. კრჟიჟანოვსკის სახელობის ენერგეტიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1965 წელს და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მისი სამეცნიერო საქმიანობა გრძელდება ქ. თბილისში სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ჯერ უმცროსი, ხოლო შემდეგ უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1971 წლიდან გარდაცვალებამდე მალხაზ ყიფშიძე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწეობს. იგი 1971-77 წლებში თბოენერგეტიკული დანადგარების კათედრის დოცენტია, ხოლო 1977 წლიდან გარდაცვალებამდე „თეორიული და ზოგადი თბოტექნიკისა და თბოენერგეტიკული დანადგარების“ კათედრის გამგეა. 1998-2000 წლებში ბატონი მალხაზი საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილეა.

1994 წლიდან ბატონი მალხაზ ყიფშიძე არჩეულ იქნა საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო 1996 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსად. ბატონი მალხაზის საქმიანობის სფერო საკმაოდ ვრცელი იყო და არ შემოიფარგლებოდა ისეთი წმინდა თბოტექნიკური და თბოენერგეტიკული პრობლემებით, როგორიცაა ენერგეტიკულ დანადგარებში წარმოქმნილი არასტაციონარული პროცესების თერმოგაზოდინამიკა, ანდა ენერგეტიკული მოწყობილობების ელემენტებში თბოფიზიკური პროცესები და სხვა. მის სამეცნიერო საქმიანობას განეკუთვნება ისეთი პრობლემებიც, როგორიცაა ატომური ელექტროსადგურების მუშაობის იმედიანობის ამაღლება, ენერგეტიკის ეკოლოგიური ასპექტები, ენერგიის დაზოგვა და სხვა. უკანასკნელ ხანს იგი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს ნახშირების ენერგეტიკულად გამოყენების პრობლემებს, რაც ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების ერთ-ერთ წინაპირობად მიაჩნდა.

ბატონი მალხაზი იყო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. იგი ამავდროულად ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებულ ენერგეტიკულ პრობლემათა კოორდინაციის სამეცნიერო საბჭოს. იყო სერტიფიცირებული მენეჯერი და საქართველოსა და ქ. ატლანტის (აშშ) საინჟინრო-ენერგეტიკული ასოციაციის წევრი. 2003 წელს იგი არჩეულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო საზოგადოება Sigma Xi-ის წევრად.

ბატონი მალხაზი 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთაგან ოცამდე სახელმძღვანელოა, ხოლო სამი მონოგრაფიაა. სახელმძღვანელოსათვის „ენერგეტიკული დანადგარები“ იგი დაჯილდოვდა საქართველოს განათლების სამინისტროს პრემიით, ხოლო მისმა მონოგრაფიამ „საქვაბე დანადგარები“ 2005 წელს მოიპოვა საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრემია. ბატონ მალხაზს მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები.

ბატონი მალხაზ ყიფშიძის გარდაცვალების გამო გამოვხატავთ ღრმა მწუხარებას, თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს და ყველა ჭირისუფალს. ბატონი მალხაზის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულში.

**საქართველოს ენერგეტიკის აკადემია;**
**საქართველოს საინჟინრო აკადემია;**
**გ. ჩოგოვაძის სახელობის საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ**
**ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**

## ხსოვნა

# მალხაზ ყიფშიძე



ცნობილი ქართველი მეცნიერის, თბოტექნიკის დარგის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს ენერგეტიკული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

**მალხაზ იესეს-ძე ყიფშიძის**

გარდაცვალების გამო გამოვხატავთ ღრმა მწუხარებას, თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახსა და ყველა ჭირისუფალს.

მეტად დასანანია ისეთი პროფესიონალის, დიდი ბუნების ადამიანის, ქვეყნის და ოჯახის ჭეშმარიტი პატრიოტის, მეგობრისა და კოლეგის უდროოდ დაკარგვა, როგორიც იყო ბატონი მალხაზ ყიფშიძე.

ბატონი მალხაზის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

**სს „თბილსრესის“ კოლექტივი**

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) მწუხარებას გამოთქვამს თვალსაჩინო ენერგეტიკოსის, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრის, ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

მალხაზ ყიფშიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---



გ. ჩოგოვაძის სახელობის საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ენერგეტიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მალხაზ ყიფშიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გურამ ახალაია, გია არაბიძე, მერაბ ჯანელიძე ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი დროის დიდი მეცნიერი, ქართველ ენერგეტიკოსთა არაერთი თაობის აღმზრდელი, საინჟინრო აკადემიის წევრი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თბოენერგეტიკული დანადგარების კათედრის გამგე, პროფესორი

მალხაზ ყიფშიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

## უჭირმძიმებენ

# სამძიმარი ტრაგედიის გამო

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2006 წლის 9 ივლისს რუსეთის ქალაქ ირკუტსკში მომხდარი ავიაკატასტროფის შედეგად საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრებისა და მგზავრების ტრაგიკულ დაღუპვასთან დაკავშირებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს.**

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს.**




## კოკა წყალზე ტყდება

# ბასაევის აღსასრული

**რუსეთის საინფორმაციო სააგენტოების მონაცემებით, ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის თავმჯდომარემ ნიკოლოზ პატრუშევმა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოკლულია ჩეჩენი საველე მეთაური შამილ ბასაევი.**



პატრუშევის განცხადებით, ბასაევის სიკვდილი ცნობილი გახდა ინგუშეთში ჩატარებული ოპერაციის შემდეგ. გავრცელებული ინფორმაციით, ბასაევის გარდა, მოკლულია კიდევ რამდენიმე კაცი.

ნიკოლოზ პატრუშევმა ასევე განაცხადა, რომ ყველანი მონაწილეობას იღებდნენ ტერორისტული აქტის მომზადებაში. „ისინი აღნიშნული დივერსიულ-ტერორისტული აქტის გამოყენებას აპირებდნენ რუსეთის ხელმძღვანელობაზე იმ დროს, როცა რვა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა სამიტი უნდა შემდგარიყო“, – იმოწმებს პატრუშევის სიტყვებს სააგენტო „ინტერფაქსი“.

ელამი სარკე

# თემიდა გარდაიცვალა

ეს ერთი კვირაა, გიგას თავი ურო-სავით დაუმძიმდა. ამ დილასაც ძლივს აიზლაზნა ლოგინიდან, ერთი სული აქვს, თავისი ნაჭრილობევი გრძნობები ვინმეს გაუზიაროს. ბედად ნიკუშა არ გამოჩნდა? მასთან ლაპარაკი მაინცა და მაინც არ ეპიტნავება, მაგრამ...

— ღმერთირჯული უდენობა მერჩია ასეთ სინათლეში ყოფნას, — შესჩივლა გიგამ.

— შენც ადექი და გამორთე, — მოუჭრა ნიკუშამ, — ვიკლუჩატელი ხო გიყენია?

— დამაცა ჯო, რას გეუბნები. დენი რო არა მქონდა, მთელი ღამე ფეხგაუნძრევლად მეძინა, ხანდახან დედაკაცი თუ გამაღვიძებდა, ეგ იყო და ეგა.

— ახლა რა სიზმრებმა გადაგრია?

— სიზმრებმა კი არა, ტელევიზორმა. რეებსა ვხედავ, კაცოო. ტვინი ისედაც არეული მქონდა და ამდენი ცემა-ტყეპისა და ლანძღვა-გინების ყურებამ კიდევ უფრო ამირია.

— მოგცლია ერთი, მაგათი ყაყანი გულზე კი არ უნდა მაიხვედრო, — დაარიგა ნიკუშამ, — ყველას თუ უსმინე, სად წავა. საკუთარი ტვინი ხო გაქ, იმას დაუჯერე და გაათავე.

— აბა რას მეუბნები, პრეზიდენტი რო ლაპარაკობს, იმას არ დავუჯერო?

— მაინც რას ლაპარაკობს?

— როგორ თუ რასა, აგე ამერიკაში რო იყო, ვერ გაიგე რა თქვა? დემოკრატია ავაყვავეთ, ბიუჯეტი გავახუთმაგეთ, პენსიები ორჯერ და მეტად გავზარდეთ, მთელ დუნიაზე სამაგალითო ქვეყნად ვიქეცითო.

— მერედა არ გაგიხარდა, ეს რო მოისმინე?

— გამიხარდა რომელია, ალტაცებისგან ცაში დავფრინავდი, მაგრამა, შინ რომ შევიხედე და საჭმელი არ დამხვდა? სახვალიოდაც რო არაფერი მაქ?

— შენ არა გაქ, სამაგიეროდ მთავრობასა აქ.

— მერე მთავრობის მუცლით ვიარო?

— მაიცა, კაცო, ნუ იცი ეგეთი გაუგებარი ლაპარაკი. ი რაღაც ბიუჯეტია, ყველას ხო არ გასწვდება, ჩვენ რო მშივრები ვართ, ის არ გვეყოფა, ახლა მთავრობაც არ ვაშიმშილოთ? მთელ მსოფლიოში ცნობილები ვართ ჩვენი პურმარილითა და ახლა მთავრობა რო დაგვემშეს, ხო თავი მოგვეჭრა!



— მთელი ცხოვრება ძლესა იყავ და ძლესად დარჩი, — გული მოუვიდა გიგას, — სწორია ახლა რასაც შენ ლაპარაკობ?

— ბოკერიები, თარგამაძენადირაძეები, მთელი მაგათი ბატალიონი პრეზიდენტის მაქებარია და მე ვინა ვგდივარ რო შევედავო?

— შენ არ შეედავები, სხვები შეედავებიან. ხო ხედავ, როგორ ბობოქრობენ ოპოზიციური პარტიები — მეტს ველარ მოვითმენთ, ან ჩვენ ვიქნებით ან ეგენიო.

— ეგენი სუ მაგრე იმუქრებიან, მაგრამ დღემდე მთავრობას კანჭიც ვერ გაუკაწრეს. გირგვლიანის სასამართლოზეც ხო ნახე, ხმა არავის აამაღლებინეს. ნათელაშვილი რო ნათელაშვილია, იმასაც კი ერთი რეპლიკისთვის 500 ლარი ჯარიმა აჰკიდეს.

— სამაგიეროდ გარეთ რა აქციები მოაწყეს და ტელევიზიაში რეები ილაპარაკეს? ყველაფერი, რაც კი ქვეყანაში უკანონობა და უსამართლობა ხდება, სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის ბრალიაო. პრეზიდენტს თუ უნდა ხალხი ჩააწყნაროს, ეს უქნარა მინისტრი უნდა მოიცილოსო.

— ეგ არ გამოუვა, სააკაშვილი ვანოსა თითსაც ვერ დააკარებს.

— რატო რა, პრეზიდენტი მაგეთი მშიშარა გგონია?

— შიშზე კი არ არი, კაცო. ვერ გაიგე ბერძენიშვილმა რა თქვა? ქვეყნის მთავარი ბოძი ვანო მერაბიშვილიაო, ეგ თუ წაიქცა, მთავრობაც ზედ დაეცემაო.

— ეგ მეც მოვისმინე, მაგრამ ე ბოძის ამბავი მთლა კარგად ვერ გავიგე.

— რა ვერ გაიგე, ჯო, აგე შენმა ვირმა ეზოში პალო რო მოგლიჯოს და გაიქცეს, ხო დაილუპე. სახელმწიფოც ეგრეა, უსამართლობის ბოძი თუ წაექცა, თვითონაც ჩაიფუშება. სამართალი კიდევა, ხო ხედავ, აღარ არი. მართლმსაჯულება ჩვენში კარხანია გარდაიცვალა.

— მა რა ვქნათ, კაცოო?

— ავიღოთ და დავასაფლაოთ. ცოცხლად რო ვეღარ დაიგულებენ, არც მაშინ შაგვეშვებიან?

— მერე ყურძენსაც იოლად ჩაიბარებენ, არა? — გაიხარა გიგამ.

— ჩაიბარებენ რომელია, შეიძლება შესყიდვის ფასიც გაზარდონ და კოლმეურნეობებიც აღადგინონ.

— ეგ ვიღამ გითხრა?

— ხმა გამოვიდა, სააკაშვილს ბუშისთვის უთქვამს — ხალხი კოლმეურნეობების აღდგენას მოითხოვსო.

— მერე, ბუში დათანხმებულა?

— კიო, უთქვამს, აღადგინეთ, ოღონდ რეფორმა დაარქვითო.

— მერე, მოხერხდება?

— რატომაც არა, კოლმეურნეობას უბრალოდ შპს დაერქმევა, თავმჯდომარეს — დირექტორი, ეკონომისტს — მენეჯერი და ასე შემდეგ. რაც მთავარია, რეფორმა სოფლადაც გველირსება.

გიგას უნდოდა ეკითხა: ეს შპს სადაური ხურმა არიო, მაგრამ ნიკუშას ეჩქარებოდა და სათქმელი სახვალიოდ შემოიტოვა.

**ოთარ ხუციშვილი**

ერიჯა...

## გაშიშვლება მაკარტნის მაღაზიაში

**პენსიაზე გასულმა „ფლეიბოის“ ვარსკვლავმა პამელა ანდერსონმა დაბადების დღისათვის კვლავ ჩვეული საქმე გააკეთა (39 წლის გახდა ამასობაშიძ: საჯარო სტრიპტიზი მოაწყო.**



აფუებული მკერდი მან საჭვრეტად პირდაპირ ლონდონის იმ მაღაზიის ვიტრინაში „გამოფინა“, რომელიც პოლ მაკარტნის ქალიშვილს სტელას ეკუთვნის. მეპატრონე როდი განაწყენებულა შიშველ ლამაზმანზე — პირიქით, მხარი დაუჭირა.

საქმე ისაა, რომ ამით პამელა, უბრალოდ, გამოვიდა ცხოველთა დასაცავად: აქაოდა, სჯობს დედიშობილა იაროო, ვიდრე ქურქებშიო. საქციელი ასე ახსნა ვარსკვლავმა — აქ რაც შეიძლება მეტი ფულის შესაგროვებლად ვარ ცხოველებთან სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ საბრძოლველადო.

ჰოდა, კაი გვარიანი შეგროვილი თანხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მამაკაცებმა დაუფასეს პამელას „მსხვერპლი“, უბედური მხეცუნების გასახარად...

ცხრა მთას იქით

## პრინცი ჩარლზი მეუღლეს განერისხდა

**ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, ყოველი უბედური კი თავისებურადაა უბედური. ყველაფერი აირია... ვინძორების სახლში. მემკვიდრე ბრიტანელი პრინცი ჩარლზი მაგრად „წაესკანდალა“ ახალ მეუღლეს კამილას (ახლა უკვე, თქვენ რომ იცოდეთ, უელსის ჰერცოგის ცოლსძ.**

მთელი წელიწადი ბუკინჰემის სასახლეში შეფარული სიხარულით ადევნებდნენ თვალს გაუთავებელ „თაფლობის თვეს“ მეუღლეთა შორის. პირველ ცოლს, პრინცესა დიანას ხომ ჩარლზი ქორწილიდან ექვს კვირაში წაეკიდა, აქ კი მყუდროება



და სიწყნარე სუფევდა. არ გინდოდა ასეთი რამე?..

მაინც რისთვის იჩხუბეს? ღალატის მიზეზით ხომ არა, რისი დიდოსტატიც, აქვე სათქმელად, ორივენი არიან? არა. ჩარლზმა უკმაყოფილოდ აღმოაჩინა, რომ კამილა ძალიან იშვიათად „ესწრება უმაღლესად“ წარმომადგენლობით ღონისძიებებს. მის რბილ საყვედურზე — აქაოდა, მონარქულ ოჯახში ეს მიღებული არ არისო, — ჰერცოგის ცოლმა ჯიუტად განაცხადა, რომ საპროტოკოლე ტუსოებზე „აკიაფებას“ არ აპირებს.

საქორწინო შეთანხმების შესაბამისად, კამილა, პრინცზე გათხოვებისას, ვალდებულებას იღებდა, რომ არ ექნებოდა პრეტენზია გვირგვინზე, როცა მეუღლე, ბოლოს და ბოლოს, ტახტზე დაჯდებოდა. რაკი ასეა, აბა რა აზრი აქვს გულისამრევ ოფიციალურ ცერემონიებში მონაწილეობას, თუნდაც მეფური იყვნენო?

სასახლიდან ხმა გამოცოცდა, თითქოს ჩარლზი ამის გაგონებაზე ისე გააფთრდა, რომ ხელთმოყოლილი უძვირფასესი ანტიკვარული სკამი ნამტვრევებად აქცია.

ვაითუ მერე ოჯახური ცხოვრებაც დაამსხვრიოს...

ანეკდოტები

**— მიხო, — ეუბნება მარო შვილს, — რად უმალავ და არ აჩვენებ მეზობლებს ახალ სათამაშოებს? მაშ, რისთვისღა გიყიდე ისინი?**

* * *

**— რაო, რაკი არაყი დაგილევია და ლუდიც მიგიყოლებია, გგონია, ვერ მივხვდები, რომ სიგარეტი გაქვს მოწეული? — იქედნურად ეუბნება მამა მოსწავლე შვილს.**

* * *

**ღვიძლს რომ ხელები ჰქონდეს, ყელს დაახრჩობდა.**

* * *

**განცხადება საპენსიო ფონდის შესასვლელში: „გახსოვდეს, წლები თავისას აკეთებენ — დღეს ეიფელის კოშკივით აღნაგი, ხვალ პიზის კოშკივით მოიღუნები“.**

* * *

**ზის ორი ნარკომანი. სხვა რა გზა აქვთ: ჩასვეს და...**

* * *

**რატომ არ აიგივებენ ხელფასის მომატებისთვის მოწყობილ მიტინგებსა და აქციებს ექსტრემიზმთან?**



**იმიტომ, რომ მაშინ მინიმალური ხელფასი გენოციდთან უნდა გაიგივდეს.**

* * *

**— რა არის, რომ მის დაკრულ სალამურზე ცეკვავთ?**

**— ეს სალამური კი არა, ლულაა...**

ზაფხულია, ზაფხული

# როგორ ვებრძოლოთ კოღოებს?

**კოღოებთან ბრძოლის ყველაზე პოპულარული საშუალებაა ფუმიგატორები, რომლებიც მწერებს კლავს. მეორე და მესამე ადგილებზეა აეროზოლები და კრემები, რომლებიც მათ აფრთხობს. ყველაზე მეტად კოღოები ღამე გვაბეზრებენ თავს, ამიტომაც არის ფუმიგატორები უფრო პოპულარული: მათ შეუძლიათ ზედიზედ 10-12 საათი იმოქმედონ და დახურული სათავსოებისთვის იდეალური სახმარია. კომბინირებული ფუმიგატორები კი კოღოების გარდა, ჩრჩილებსა და ბუზებსაც სპობს.**



აეროზოლები და კრემები კოღოებისგან თავდასაცავად დღისით იხმარება. აეროზოლები არ სვრის. ასე რომ, შეგიძლიათ ისინი ტანსაცმელზე ან თმაზე მიისხუროთ, კრემის წასმა კი სხეულის ღია ადგილებზე სჯობს. მაგრამ სიცხეში ისინი ძალზე სწრაფად ორთქლდება და მათი მოქმედების დროც მცირდება.

წლევანდელი ზაფხულის სიახლეა როგორც ნატურალური, ისე ხელოვნური ნივთიერებების საფუძველზე დამზადებული კრემები. მიხაკის და ანისულის ზეთზე დამზადებული მთლიანად ნატურალური რეპელენტები (რეპელენტები აფრთხობენ მწერებსძ, ადრე ეფექტურად რომ ითვლებოდა, წელს ხმარებიდან ამოღებულია.

ბევრი ფირმა უშვებს კოღოების საწინააღმდეგო სპეციალურ რეპელენტებიან სანთლებს ან სპირალებს, რომლებიც ღია ცის ქვეშ ვახშმობის დროს ან ლაშქრობებში გამოსაყენებლად არის განკუთვნილი.

ხშირია შემთხვევები, როდესაც მწერებთან ბრძოლის საშუალებებს (30%ძ აყალბებენ. უკეთეს შემთხვევაში ყალბი ფუმიგატორები თუ რეპელენტები არაეფექტიანია, უარესში კი — მომხმარებლისთვის საშიში. ასე მაგალითად, ყალბ ფუმიგატორს ხანძრის გამოწვევაც კი შეუძლია, რადგან ბევრ შემთხვევაში სიყალბის გამოვლენა ძნელია, უმჯობესია რეპელენტები მხოლოდ დიდ მაღაზიებში შეიძინოთ და ამასთან ცნობილი მარკები აირჩიოთ.

### ხალხური რეცეპტები

**რითი აფრთხობდნენ კოღოებს ძველად?**

წყალნარევი ძმრით, მიხაკის, ანისულის, ლავანდის ზეთებით, გვირილის, ანწლის, შოთხვის ყვავილების თაიგულებით, აბზინდას ნახარშით.

ლარის კურსი

**11 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2767 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7710 | ლარი |
| ევრო | 1 | 2,2676 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0659 | ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9821 | ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4237 | ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5332 | ლარი. |

დარია თუ ავდარია

### ამინდი 11 ივლისს

**დასავლეთ საქართველოში** — მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +22° – +29°, ღამით +15° – +19°.

**აღმოსავლეთ საქართველოში** — მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +22° – +28°, ღამით +15° – +20°.

**თბილისში** — მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით +20°, დღისით +30°.



**ბათუმი** — ღ. +20°, დ. +28°; **სოხუმი** — ღ. +21°, დ. +30°; **ქუთაისი** — ღ. +21°, დ. +27°, **ოზურგეთი** — ღ. +17°, დ. +25°, **ზესტაფონი** — ღ. +19°, დ. +27°; **რუსთავი** — ღ. +20°, დ. +30°, **ფოთი** — ღ. +21°, დ. +30°; **მესტია** — ღ. +15°, დ. +19°; **სტეფანწმინდა** — ღ. +14°, დ. +19°; **თელავი** — ღ. +20°, დ. +31°; **გორი** — ღ. +19°, დ. +29°; **ახალციხე** — ღ. +15° დ. +26°; **ბორჯომი** — ღ. +16°, დ. +27°; **ცხინვალი** — ღ. +12°, დ. +25°; **სამტრედია** — (წვიმა) ღ. +20°, დ. +31°; **ზუგდიდი** — (წვიმა) ღ. +18°, დ. +30°; **ჭიათურა** — (წვიმა) ღ. +17°, დ. +29°.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.